სარჯიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 12 ივნისი 1998 №88 (623) ფასი 50 თეთრი

იტალია — ჩილე 2:2

კამერუნი — ავსტრია 1:1

REUTERS პორტიდან

მარსელო სალასმა ახალდაწყებულ მსოფლიოს ჩემპიონატში პირველმა მოახერხა ერთ მატჩში ორი გოლი, თანაც იტალიელთა კარში და დაამტკიცა, რომ მართლაც ჩინებული ბომბარდირია. სალასმა ამ ორთაბრძოლაში კანავაროს აჯობა და მეორე გოლი გაიტანა

დღეს სამი მატჩია

პარაგვაი — ბულგარეთი
მონპელიე. 16[30]

საუდეთი — დანია
ლანსი. 19[30]

საფრანგეთი — ს. აფრიკა
მარსელი. 23[00]

FRANCE 98

მარსელო სალასი... უთვალავჯერ გაგონილი პირველად ვნახეთ. ვნახეთ და დავრწმუნდით, რომ ეს ბიჭი კიდევ ბევრ მეკარეს წაუხდენს გუნებას. გუშინდელი თამაშით სალასმა 70-იანი წლების გერმანელი ბომბარდირი, ლეგენდარული გერდ მიულერი გაგვახსენა: თითქოს ბევრიც არაფერიო, მაგრამ საჭირო დროს საჭირო ადგილზე ჩნდება და უმთავრესს ახერხებს — გოლი გააქვს! სალასი ბომბარდირთა შორის დაწინაურდა. ისე კი, გუშინდელი დღე ზავიანობისა იყო. იტალიამ დაკარგა ორი ქულა თუ ჩილემ? ან იქნებ მათ თითო ქულა მოიპოვეს და ორი ქულა მხოლოდ კამერუნელებმა დაკარგეს? ვნახოთ, ხვალეც ამ თვისაა.

ახალგაზრდები რეჯინასთან დაგვიმარცხდნენ

ფეხბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა იტალიური ტურნეს პირველი მატჩი ითამაშა რეჯინას ამავე სახელწოდების გუნდთან და პირველი მარცხიც იგემა. ჩვენებმა, უპირატესობის მიუხედავად, მინიმალური სხვაობით 2:3 წააგეს.

მეორე მატჩს საქართველოს ახალგაზრდული გუნდი 14 ივნისს „პერუჯასთან“ გამართავს, 17-ში კი სერია B-ს თანატოლთა ნაკრებს გაეჯიბრება.

ჩეზარე, ყველაფერი დამნაშავე შენა ხარ!

ექსპერტის კომენტარი: *ვლადიმერ პანოვი*



დაპირებისამებრ, მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების კომენტარისთვის საქართველოს ეროვნული გუნდის მწვრთნელის თანაშემწეს ვლადიმერ პანოვს გუშინაც მივმართეთ.

— დავიწყებ იტალიით, რომელიც მრავალი სპეციალისტის აზრით, ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია. მათი გუშინდელი თამაში ძალიან არ მომეწონა. შესაძლოა, პირველი მატჩის ფაქტორმა განაპირობა მათი უაზროდ სირბილი, მაგრამ, ჩემი აზრით, ყველაფრის თავი და თავი იტალიელთა მწვრთნელია. ძირითად აქცენტს დაცვით ფეხბურთზე აკეთებს და ხეირიანად ესეც ვერ ასწავლა ფეხბურთელებს. უნებურად ბოლო ევროპის ჩემპიონატის, საკისდროინდელი ნაკრები მახსენედება, რომელიც გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე მალდინის გაწვრთნილი გუნდი. ამათ აშკარად აკლიათ მწვრთნელის ხელი და თუ იტალია ჩემპიონატს ნაადრევად გამოეთიშა, დამნაშავე ჩეზარე მალდინი იქნება. იტალიელთა თამაშში ვერაფერი მნიშვნელოვანი ვერ შევნიშნე, მათზე მეტი პერსპექტივა ჩილელთა გუნდს უფრო აქვს. სამართალი რომ ყოფილიყო, ამერიკელებს უნდა მოეგოთ და ალალიც იქნებოდა. დარწმუნებული ვარ, ჯგუფიდან უპრობლემოდ გავლენ, ალბათ, მაინც იტალიელებთან ერთად, შემდეგ კი მეტოქეს გააჩნია, თუმცა ჩილე ისეთი გუნდია, რომელსაც ნებისმიერის დამარცხება შეუძლია. სამორანოსა და სალასის მსგავსი თავდამსხმელებით ბევრი ნაკრები ვერ დაიტრაბახებს. იტალიელებზე კი სათქმელიც არაფერი მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ბაჯოსაც და ვიერისაც დიდ პატივს ვცემ. მოკლედ, იტალია სახელიღაა დარჩენილი, თუ რამეს მიაღწევენ, ისევ გამოცდილების ხარჯზე.

კამერუნზე და ავსტრიაზე რა ვთქვა. ორივე სენსაციის გუნდია. ერთხელ იქნება, გაუვარდებათ, რომელიმე მეტოქეს გაამწარებენ. ძალიან მესიამოვნა, ამათი მატჩი ფრედ რომ დასრულდა, ერთ-ერთის მოგების შემთხვევაში გამარჯვებულს საქმე გაუიოლდებოდა და დანარჩენებზე ნაბიჯით წინ იქნებოდა. შედეგი კანონზომიერად მიმაჩნია, საგოლე მომენტებიც თანაბრად ჰქონდათ, თუმცა ოდნავ უკეთესი შთაბეჭდილება ავსტრიელებმა დატოვეს. გაშვებული გოლის შემდეგ არ გატყდნენ და რამდენჯერმე რეალურადაც დაემუქრნენ კამერუნელებს, რომლებიც დაცვაში ისე ცდებოდნენ, გამართლებას ვერ მოუძებნი. ორივე, ვიმეორებ, სენსაციის გუნდია, ნერვებისმომშლელ ფეხბურთს თამაშობენ. არა მგონია, ამათ ჯგუფიდან გააღწიონ.

პირველი და, იქნებ, ბოლოც

მატჩი №4. 11 ივნისი. ტულუზი. სტად მუნისიპალი. 37 000 მაყურებელი

კამერუნი 1:1 ავსტრია

1:0 ნჯანკა (77); 1:1 პოლსტერი (90)

კამერუნს ალბათ თავი ქუდში და უკვე B ჯგუფის ლიდერი ეგონა, 34 წლის ტონი პოლსტერმა თავისკბილა ჟაკ სონგოს კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი რომ გაუტანა.

ავსტრიამ ბოლო წუთზე იხსნა ქულა, ანგარიში მეტოქის მცველთა პოზიციური შეცდომით გაათანაბრა.

მსოფლიოს ჩემპიონატზე გასამართი 64 მატჩიდან ჯერ მხოლოდ მეოთხე ჩათავდა და გამორიცხული ნამდვილად არაა, წუხანდელივით ულიმღამო თამაში კიდევ გაიმართოს. მსგავსი მატჩები უფრო ბოლო ტურში, უკვე გარკვეული სიტუაციისასაა მოსალოდნელი და გუშინდელი გასაკვირი მით უფრო იყო.

აქედანვე ცხადია, B ჯგუფში პირველი ტურის წყვილი ფრეს გათვალისწინებით, ბოლო მატჩები უშელავათო იქნება. უშელავათობას ვერც გუშინდელ მატჩს დავუწუნებთ, მაგრამ ასე ულაზათოდ, უკბილოდ შეტევა და მშვიდობიანად დაშორება ხელს არცერთს უნდა აძლევდეს.

ერთთავად ბრძოლა, ცრუ-ცდა, თავში პანღურების ცემა და თავით ფეხებში ვარდნა, თუნდაც ნჯანკას და პოლსტერის ეფექტური გოლების ფონზე პირველი ტურისთვის ნამეტანი ხომ არ იყო? ცხადია, იყო. ტოლძალოვანმა გუნდებმა ერთმანეთს თუ არ შესთავაზეს მთელი თავისი არსენალი, როდისღა და ვისთან გამოადგებათ?

პირველი მატჩი არც იტალიას გამოუვიდა, მაგრამ „სკუადრა აძურა" ხომ ყოველთვის ასე მძიმედ იწყებს. ავსტრია და კამერუნი კი... იტალიის მომგები არც ერთი უნდა იყოს. კი ბატონო, მსოფლიოს ჩემპიონობაზე ვერცერთი ილცნებებს, მაგრამ ფინალურ ეტაპზე მხოლოდ ოლიმპიური დევიზითაც არცერთი წასულა.

ნუ დავუკარგავთ, მონდომებაც და კლასიც ფრანგი თავკაცის, კლოდ ლერუას ნაკრებს, კამერუნელ ლომებს მეტი და მაღალი ჰქონდა. მაგრამ აფრიკელთა აღმატება, ბებერ ევროპულ გუნდზე, იმოდენა არ იყო, მოსაგებად რომ ჰყოფნოდათ.

და რა მოუვიდათ ავსტრიელებს? იქნებ, არც რა მოსვლიათ და ავსტრიული ფეხბურთის ნაღდი სახე გუშინ ვნახეთ? ძნელი სათქმელია.

ამბობენ, ავსტრიის ნაკრები გერმანული გუნდის ცუდი ვარიანტიაო. გუშინ კამერუნს ავსტრიული გუნდის ცუდი ნაირსახეობა ეთამაშა. იდგა ჰერცოგი, ნაკრების ლიდერი და იდგა მთელი გუნდი.

ჰერცოგი რაცაა, ბუნდესლიგაში გვიხილავს, მაგრამ შავი სამუშაოს შესრულებაზე მეტად შეტევათა ორგანიზება რომ ეხერხება, რა ახალია. არადა, შავი საქმე, შავკაცებთან რომ უფრო შავდება, რა ძნელი მისახვედრია და ჰერცოგს გუშინ ვერავინ შეეშველა. პფაიფენბერგერს, მუხლში მირტყმულმა სიმოს ქაცვებმა წაახდინა თუ რა, ერთი, სონგის მოგერიებული დარტყმის გარდა, არაფერი გაუთეთრებია.

ავსტრიული ნახევარდაცვა ხომ უცნაურად მეჩხერი ჩანდა, კამერუნელებს ცენტრის გავლისაც დაბრკოლებები არც ექმნებოდათ, მაგრამ შეტევის დაგვირგვინებას ხან კონსელი და ფაირზინგერი უშლიდათ, ხანაც წარმოსახვის ვიწრო უნარი.

კამერუნელებს თითქოს ბევრად მეტი რამ გამოსდიოდათ, უფრო გაშლილი თამაშიც, ბურთის უკეთ და მეტხანს ფლობაც, მაგრამ ბოლო მათიც გაშიფრული ჩასაშლელ-მოსაგერიებლად განწირული იყო.

ავსტრიელებში ისევ შევერცხლილი პოლსტერი გამოირჩა, კამერუნელთაგან 23 წლის ნჯანკამ ივაჟკაცა.

ნჯანკა ნაკრებში მესამე მატჩს თამაშობდა და სხვა დროს თუ მართლა ახალბედა გამოუცდელივით ალმა-დალმა დაყიალობდა, გოლი, ბევრ პოლსტერის ასაკისას რომ შეშურდებოდა, ისეთი გაიტანა.

მოკლედ, ერთმა ტექნიკურად მოუხეშემ, მეორე, უკბილო და ბებერი ერთხანს თითქოს დაჩაგრა, მაგრამ ბოლოს პოლსტერის ალღო-გამოცდილებამ თავის გაიტანა. გაიტანა და საკუთარ გუნდს პირველი (იქნებ ბოლოც) ქულა მოუპოვა.

ბევრი იქნება კიდევ ასეთი მატჩები? არა, ღმერთმა ნუ ქნას!

ვახტანგ ბზიკაძე

ჰერბერტ პროჰასკა, ავსტრიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „მინდა ვთქვა, რომ ფრე აშკარად დავიმსახურეთ. მართალია, კამერუნელებს მთელი მატჩის განმავლობაში მცირედი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ თუ სიტუაციას რეალურად შევაფასებთ, მათ გატანილი გოლის გარდა სხვა რამ ღირსშესანიშნავი ჩვენს კართან ნამდვილად არ შეუქმნიათ. ავსტრიის ნაკრები განსაკუთრებით ნახევარდაცვაში მოიკოჭლებდა. ალბათ შეამჩნევდით, რომ ანდრიეას ჰერცოგი სულ არ ჰგავდა იმ ფეხბურთელს, რომელმაც თამაში უნდა დაალაგოს და შეტევების ორგანიზებასაც მოაბას თავი. მიუხედავად ნაკლოვანებებისა, გუნდმა ბოლომდე იბრძოლა და ეს შემართება მატჩის მიწურულს დაუფასდა. ბოლო წუთებში ჩემმა გუნდმა სწორედ ის თამაში აჩვენა, რომლის წყალობითაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ბრწყინვალედ ჩავატარეთ და რომლის იმედზეც საფრანგეთში ჩამოვედით. მთლიანობაში მშვენივრად ვირჯებოდით, მაგრამ საბოლოო დარტყმა რატომღაც არაფრით გამოგვდიოდა. არადა, გოლი აუცილებლად გვჭირდებოდა და სწორედ ამიტომაც იყო შეხვედრის მიწურულს მოედანზე სამი თავდამსხმელი რომ შეუშვი. მინდა გამოგიტყდეთ, რომ სანამ მეტოქე ანგარიშს გახსნიდა, ჩემს გუნდში შეცვლების გაკეთებას საერთოდ არ ვაპირებდი, რადგან პირველ შეხვედრაში ნულოვანი ფრე არც თუ ურიგო შედეგი იქნებოდა და ამიტომ ტაქტიკურ განლაგებაში გადაადგილების მოხდენა არასწორად მიმაჩნდა. თუმცა 77-ე წუთის შემდეგ იძულებული ვიყავი გადამჭრელ ზომებისათვის მიმემართა."

კლოდ ლერუა, კამერუნის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „მე ვფიქრობ, კამერუნელი ხალხი უნდა ამაყობდეს ასეთი გუნდის ყოლით. ბიჭებმა თავდაუზოგავად იბრძოლეს და გამარჯვებამდეც აღარაფერი უკლდათ, მაგრამ გამოუცდელობამ თავისი გაიტანა და ახალგაზრდა ფეხბურთელებმა ბრძოლებში გამობრძმედი ავსტრიელების დაწოლას ველარ გაუძლეს. არადა, მოგების უდიდესი შანსი გვქონდა და რომ არა მსაჯის მიერ წამატებულ დროში მიღებული ბურთი, ახლა ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერები ვიქნებოდით. თუმცა მიმაჩნია, რომ შემდეგ ეტაპზე გასვლის კარგი შანსი გვაქვს, რადგან ქულები მეტოქეებმაც დაკარგეს."

ტონი პოლსტერი: „როცა ზურგს უკან უდიდესი გამოცდილება გაქვს, იცი, რომ თამაში იქამდე არ არის წაგებული, სანამ მსაჯი საფინალო სასტვენს არ მისცემს. ავსტრიის ნაკრებს კი გამოცდილება ნამდვილად არ აკლია. ჰოდა, გუნდმაც ბოლო ძალები მოიკრიბა და სასურველი გოლიც გაიტანა. მთლიანობაში ცუდად ნამდვილად არ გვითამაშია. მართალია, პირველ ნახევარში შეცდომები ბლომად გვქონდა და ინიციატივაც მეტოქეს დავუთმეთ, მაგრამ მეორე ტაიმში თამაშში მთელი სული და გული ჩავდეთ, რაც საბოლოო შედეგშიც აისახა. ჩემს თამაშს რაც შეეხება, მხოლოდ ერთს ვიტყვი. პოლსტერს არავისთვის არაფრის დამტკიცება არ სიჭირდება. მე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში შვიდი გოლი გავიტანე და ასეც რომ არ იყოს, ხომ არ შეიძლება ბებერ თავდამსხმელს ყოველ თამაშში სამ-სამი ბურთის შეგდება მოსთხოვო. საფრანგეთში ეს მის უმეტეს არარეალურია."

რიგობერგ სონგი: „ბავშვური შეცდომები დავუშვით და ამისათვის დავისაჯეთ კიდეც. გატანილი გოლის შემდეგ მთელმა გუნდმა საბოლოო გამარჯვება ირწმუნა და საგრძნობლად მოეშვა. გამოცდილმა ავსტრიელებმა მაშინვე იგრძნეს ჩვენს თავს რაღაცა რომ ხდებოდა და გააფრთებული შტურმის მოწყობით ანგარიშიც გაქვითეს. დასანანია, გოლი უკანასკნელ წუთზე რომ მივიღეთ, მაგრამ ყურების ჩამოყრას ნამდვილად არ ვაპირებთ. ჩვენს ჯგუფში ხომ ორივე შეხვედრა ფრედ დამთავრდა, რაც იმის ნიშანია, რომ ფაქტობრივად ყველაფერი ახლიდან იწყება.

კამერუნი

1. სონგო

4. სონგი

5. კალა — 3. ვომე

14. სიმო — 6. ნჯანკა

15. ნდო — 18. იპუა — 8. ანგიბედო

7. ომამ ბიიკი — 10. მბომა

22. კუხბაუერი — 19. პოლსტერი

15. ვეტლი — 10. ჰერცოგი — 13. ჩერნი

8. პფაიფენბერგერი — 17. მაილიხი

4. პფეფერი — 3. შოტელი

5. ფაიერზინგერი

1. კონსელი

ავსტრია

შეცვლა: **სიმო — 20. ოლემბე (65), იპუა — 21. ჟობი (65), ჩერნი — 7. ჰაასი (83), პფაიფენბერგერი — 18. შტოიგერი (83), ჰერცოგი — 9. ვასტიჩი (83), ომამ ბიიკი — ჩამი (84)**

გაფრთხილება: **პფეფერი, იპუა**

მთავარი მსაჯი: **ე. ჩავესი (პარაგვაი)**

REUTERS ტუდუ ზილდან

ავსტრიელმა ანტონ პოლსტერმა (№19) კამერუნელებს საპასუხო გოლი მატჩის ბოლო წუთზე კუთხურიდან ჩაწოდებისას გაუტანა

მატჩის სტენოგრამა

18 წუთი. კამერუნელთაგან ყველაზე გამოცდილი ომამ ბიიკი თავით ურტყამდა, მაგრამ კონსელმა ბურთი მოიხელთა.

24. იგივე პოლსტერმა გაიმეორა, სონგომ იყოჩაღა.

27. მარცხნიდან შეტევისას ანგიბედოს ბურთი აეჭრა, ჩაწოდების ნაცვლად კარისკენ წავიდა, თუმცა მეკარემ ნახტომში კუთხურზე გადააგდო.

33. ისევ ანგიბედო სახიფათოდ ურტყამდა, ააცილა.

35. დაახლოებით 30 მეტრიდან სონგმა ჯარიმა შეასრულა. კონსელმა გაჭირვებით მოიგერია ბურთი.

57. ისევ შორიდან დაარტყეს აფრიკელებმა. ამჯერად ვომემ, მაგრამ კვლავ კონსელმა ივარგა.

70. პოლსტერმა საჯარიმოს ხაზიდან მეტრის დაცილებით დანიშნული ჯარიმა კარს დაუმიზნა, სონგომ გაჭირვებით უკუაგდო ბურთი, მცველმა კუთხურზე მოიგერია.

73. პფაიფენბერგერმა ცენტრში ჩაჭრა კამერუნელთა შეტევა, ბურთი თავადვე წაიღო და შორიდანვე დაარტყა. ბურთი ცხრიანში მიფრინავდა, მაგრამ მეკარეც გაფრინდა — ისევ კუთხური.

77. ავსტრიელის რეიდის მსგავსი ნჯანკამ გაიმეორა, მეტოქის საჯარიმოს მიუახლოვდა, ცრუმოძრაობით შოტელი კინაღამ ტრიბუნაზე აიყვანა, მერე ბურთი გაისწორა და კამერუნი დააწინაურა.

81. პფაიფენბერგერი კვლავ შეტევაში ჩაერთო, კარამდე სამიოდ მეტრი იყო დარჩენილი, მაგრამ ხეირიანად ვერ შესწვდა ბურთს და დარტყმაც არ გამოუვიდა.

86. კამერუნელთა კუთხურს ალფონს ჩამი თავით აგვირგვინებს. ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს.

88. შტოიგერმა სახიფათოდ დაარტყა, თუმცა კი ააცილა, მაგრამ ჰაასს სანტიმეტრები დააკლდა ბურთამდე, ცოტა რომ ფეხი გაეშალა, ალბათ, ანგარიში ადრე გათანაბრდებოდა.

90. ავსტრიელთა კუთხური მოუსვენარმა პოლსტერმა გოლად აქცია. მცველები უხეშად შეცდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათეთრებული ციფრები

მატჩი №3. 11 ივნისი. ბორდო. სტად ლესიური. 35 200 მაყურებელი

იტალია 2:2 ჩილე

1:0 ვიერი (10); 1:1, 1:2 სალასი (45, 50); 2:2 რ. ბაჯო (85პ)

REUTERS ბორდოდან

კანავარომ მარგასს კი აჯობა, მაგრამ სალასს — ვერა

...1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალი. ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონი იტალია მიშელ პლატინის საფრანგეთთან მარცხდება — 0:2. მას შემდეგ თორმეტი წელიწადი გავიდა, ჩაიარა 1990 და 1994 წლების უდიდესმა საფეხბურთო ტურნირებმა, რომლებსაც იტალიისთვის არანაირი წარმატება არ მოუტანია. ორივე პირველობაზე იტალია საკმაოდ კარგი გუნდი იყო, თუმცა ჩემპიონთათვის განკუთვნილ ოქროს თასს ვერ იქნა და ვერ შეწვდა — რვა წლის წინ შინ, აპენინებზე მესამე გახლდათ, ოთხი წლის მერე ამერიკაში კი მეორე. თუ ამ კანონზომიერებას მივყვებით, გამოდის, რომ წლეულს „სკუადრა აძურა“ მეოთხედ უნდა გახდეს მსოფლიოს ჩემპიონი. ვნახოთ, რა იქნება, ისე კი, გუშინდელი თამაშით თუ ვიმსჯელებთ, საეჭვოა, ჩეზარე მალდინის გუნდი შორის წავიდეს.

ბოლოს მეტოქენი 32 წლის წინ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მაშინ ინგლისში იტალიამ მოიგო. გუშინდელ შეხვედრამდე ქომაგთა და სპეციალისტთა უმეტესობა გამარჯვებას სწორედ იტალიელებს უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ ჩილელთა იმედმა მარსელო სალასმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა — „სკუადრა აძურა“ ბოლო წუთებზე გადარჩა მსოფლიოს ჩემპიონატის მარცხიან სტარტს.

იტალიელთა ცუდ თამაშს მსოფლიოს ჩემპიონატის დასაწყისში ლამის უკვე ჩვეულებრივ მოვლენად, მეტიც, კანონზომიერებად მივიჩნევთ. ჩილელებთან შეხვედრაც „სკუადრა აძურამ“ მდორედ დაიწყო, უმეტესწილად სამხრეთამერიკელები ფლობდნენ ბურთს, თუმცა აპენინელთა თამაშში შეიმჩნეოდა, რომ მეტოქეს მახეს უგებდნენ.

ამ ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის გადამწყვეტი მატჩის წინ, როცა იტალია — ინგლისის შეხვედრას საფრანგეთის საგზურის მფლობელი უნდა გაერკვია, ალბიონელთა თავკაცმა გლენ ჰოდლმა მასპინძლებთან მეტად მახვილგონივრულად შებრძოლება არჩია — მწვავე იერიშები არ განუხორციელებია, რადგან იცოდა, რომ იტალიელთაგან პასუხად უსწრაფეს და ძალიან სახიფათო კონტრშეტევებს მიიღებდა. ინგლისელებმა მთელი შეხვედრა დინჯად ითამაშეს. „სკუადრა აძურამაც“ სიმენის კართან ვერანაირი მომენტი ვერ შექმნა, ხოლო როცა შეხვედრის ბოლოსწინა წუთზე იან რაიტმა პერუცის კარის დალაშქვრა მოინდომა და არ გამოუვიდა, ბრიტანელები კინაღამ დაისჯნენ — კრისტიან ვიერიმ ელვისებური კონტრშეტევა სათანადოდ ვერ დააგვირგვინა.

გუშინ ჩილელებიც ფრთხილობდნენ პალიუკას კართან მიახლოებისას, ხოლო როცა უკვე შედარებით თავისუფალი თამაში დაიწყეს, იმწუთსვე დაისაჯნენ — მილანის „ინტერის“ თავდამსხმელმა ივან სამორანომ მალდინისთან ორთაბრძოლისას ბურთი დაკარგა, ამას კი უმალ იტალიელთა კონტრშეტევა მოჰყვა. ტაპიას კარს მიახლოებულმა რობერტო ბაჯომ ტერფის ნაზი მოქნევით ბურთი ვიერის დაუგორა, კრისტიანის დარტყმას კი ტაპია წინ ვერ აღუდგა — 1:0. იტალიელთა პირველი დარტყმა ჩილელთა კარში გოლით დასრულდა. ეს წმინდა იტალიური შეტევა გახლდათ.

შეხვედრამდე ორიოდ დღით ადრე ჩეზარე მალდინიმ განაცხადა, ალესანდრო ნესტას ივან სამორანოს მივუჩენ, მის განეიტრალებას ასე შევეცდებიო. მატჩის დასაწყისში ლაციოელი სამორანოსთან მართლაც ხშირად იმყოფებოდა, გასაქანს არ აძლევდა, მაგრამ შემდეგ, დაახლოებით ტაიმის შუაში, ნესტამ სამორანოს წინააღმდეგ პერსონალური მეურვეობა შეწყვიტა და ჩილელთა მეტად სახიფათო იერიშებსაც სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი, უმეტესწილად სამხრეთამერიკელი გოლს გადარჩნენ — მოუმატა თუ არა „სკუადრა აძურამ“ ტემპს, ჩილელთა ერთი შეხედვით შეთამაშებული გუნდი ნელ-ნელა დაიბზარა. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ ტაპიას კარს სამჯერ ერთობ სახიფათოდ დაესხნენ იტალიელები, თუმცა სამჯერვე უშედეგოდ. კაცმა რომ თქვას, ჩილელთა დაულაგებელი თამაში მოულოდნელი სულაც არ ყოფილა — რას უნდა ელოდე გუნდისგან, რომელსაც ორი, მაქსიმუმ სამი მაღალი კლასის მოთამაშე ჰყავს. ალბათ, ბევრს არაფერს, მაგრამ თუ ჩილელთა საქმე ასეა, მაშ, რითი შეიძლება აიხსნას პირველი ტაიმის ბოლოს იტალიელთა უსახური თამაში? ალბათ მცველთა, კონკრეტულად კი მარსელო სალასის ფლანგზე გამწესებული ფაბიო კანავაროს შეცდომით, რომელიც მისდა სამწუხაროდ, მეორე ტაიმშიც გაგრძელდა.

ოთხშაბათს ივან სამორანომ განაცხადა, იტალიელებს ნაკრებთა დონეზე პირველად ვუპირისპირდები, ყველა ღონეს ვიხმარ, თავი კარგად დავამახსოვროო. ექსრეალელმა მართლაც ძლიერად ითამაშა, თუმცა მეწყვილეს მაინც ვერ ავჯობა — მარსელო სალასი ამიერიდან უამრავი იტალიელი მცველის საფიქრალი იქნება, ამას თქმა არ უნდა — მომავალ სეზონში სალაციოდ გამზადებულმა სალასმა ორი გოლი გაიტანა და ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაშიც დაწინაურდა. სხვათა შორის, ორივე გოლის შემთხვევაში სალასის მეურვე ფაბიო კანავარო პოზიციურად შეცდა — პირველ, ისევე როგორც მეორე შემთხვევაში, ჩილელმა ფორვარდმა იტალიელ მცველს წამით დაასწრო, ბურთთან პირველი გაჩნდა. შემდეგ კი საქმე სათანადოდ დაგვირგვინა.

იტალიელთა პირველმა გოლმა ჩილელები დაანა. ეს ხუთ წუთს გრძელდებოდა, თუმცა მეტოქემ ამით ვერ იხეირა. როცა ნელსონ აკოსტას ბიჭებმა გააყაიმეს, ტაიმიც დასრულდა, მაგრამ გაუვალი დაცვით განთქმული „სკუადრა აძურასთვის“ გოლი იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ თამაშის განახლებიდან ათ წუთზე მეტი ხნის მანძილზე აპენინელი უკანახაზელნი ვერა და ვერ დალაგდნენ. სალასმა „დუელი“ სწორედ ამ წუთებში შეასრულა.

ბურთით ჩამორჩენის შემდეგ ჩეზარე მალდინიმ ნაკრების მოქმედებაში კორექტივების შეტანა განიზრახა — ხუთ-ხუთი წუთის ინტერვალით სამი მოთამაშე შეცვალა, თუმცა ახლების შესვლით გუნდს არაფერი დაეტყო. იტალიელები შეტევების განხორციელებას ცდილობდნენ, მაგრამ თავს ვერა და ვერ პოულობდნენ.

რობერტო ბაჯო — მოთამაშე, რომლის სამსოფლიოსჩემპიონატო ნაკრებში ჩართვა-არჩართვის გამო ატეხილი დავა თვეების მანძილზე გრძელდებოდა, ფეხბურთელი, რომელიც გუშინ იტალიელთაგან საუკეთესო გახლდათ, თავდამსხმელი, რომელმაც უდიდესი ფსიქოლოგიური წინააღმდეგობა დაძლია და ბოლო წუთებზე შეგდებული პენალტით „სკუადრა აძურა“ სამარცხვინო მარცხისგან იხსნა. ბორდოში რობერტო ბაჯო მართლაც შესანიშნავად ირჯებოდა და გარდა იმისა, რომ გოლი შეაგდო და ვიერის საგოლედ უპასა, თავის მოქმედებით კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მწვრთნელებმა მისნაირი მოთამაშეების ნაკრებში წაყვანა-არწაყვანაზე ჭოჭმანს თავი უნდა ანებონ.

განა მომხდარა, მებრძოლთ მთავარსარდლის გარეშე ომი მოეგოთ? არასოდეს. მართალია, გუშინ იტალიელებმა ჩილელები ვერ დაამარცხეს, მაგრამ სწორედ ლიდერის ბრწყინვალე მოქმედების წყალობით რომ გააყაიმეს, ფაქტია.

დაზავებულ მეტოქეებს ჯგუფში კიდევ ორი მატჩი დარჩათ სათამაშო. სწორედ კამერუნთან და ავსტრიასთან შეხვედრებში გაირკვევა მერვედფინალისტთა ვინაობა, თუმცა ვინაიდან მეორე ტურამდე ჯერ ადრეა, B ჯგუფის გუნდების შესაფასებლად გუშინდელი თამაშებით დავკმაყოფილდეთ.

სულ ბოლოს კი ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ მაინც ინფორმაციას მოგაწვდით — 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში იტალიამ 0:2 წააგო საფრანგეთთან. მას შემდეგ გუშინდლამდე მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე „სკუადრა აძურას“ ერთ შეხვედრაში ორი გოლი არ გაეშვა.

ლაზა გოდუაძე

მატჩის შემდეგ

ჩეზარე მალდინი, იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: ვფიქრობ, მატჩის ფრედ დამთავრება ყველაზე სამართლიანი შედეგი იყო. შესაძლოა, ბევრი არ დამეთანხმოს, მაგრამ მიმაჩნია, რომ იტალიის ნაკრებმა ფრე სავსებით დაიმსახურა. მართალია, დაცვაში ძალიან ცუდად ვითამაშეთ, ხოლო ცალკეული ხარვეზები არც სხვა რგოლებში დაგვკლებია, ფრეს დღევანდელ შეხვედრაში მაინც სამართლიან შედეგად ვთვლი. კი, დაცვა მეტად უსუსურად გამოიყურებოდა, მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ, რომ გუნდები ჩემპიონატში თავიანთ პირველ თამაშს თამაშობდნენ და ამით გამოწვეული მღელვარებაც უშლიდათ ხელს. ისე კი, მინდა ვთქვა, რომ შეცდომები ყველას მოსდის და ამისგან ტრაგედიის შექმნა არა მგონია, გამართლებული იყოს. მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში მაინც სულ სხვაა და ეს ნებისმიერი მოთამაშის გამოსვლას თავის დაღს ასვამს. შეხვედრა კარგად დავიწყეთ. ბიჭებს ეტყობოდათ, თავიანთ თავში დარწმუნებულნი რომ იყვნენ. მაგრამ პირველი გოლის გატანის შემდეგ რატომღაც გუნდი ანერვიულდა და ინიციატივა მეტოქეს გადაბარა. ვიცი, ეს ყველაფერი პირველი მატჩის მღელვარებით იყო გამოწვეული, ამიტომ არანაირი საბაბი არ მაქვს, რომ მომავალს იმედის თვალით არ ვუყურო. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ მთლიანობაში გუნდის თამაშით მეტად კმაყოფილი ვარ. განსაკუთრებით კი მატჩის მსვლელობისას ჩემს მიერ გაკეთებული შეცვლები მინდა აღვნიშნო, რადგან მოედანზე მოგვიანებით შესულმა ფეხბურთელებმა მწვრთნელის ყველა დავალება ზედმიწევნით ზუსტად შეასრულეს. ბოლოს კი იმ სკეპტიკოსების მოსაზრებას მინდა გამოვეხმაურო, რომლებიც საფრანგეთში გამართულ მატჩებს მეტად უსახურად და შინაარსმოკლებულად მიიჩნევენ. ვფიქრობ, ეს ადამიანები ძლიერ ცდებიან, რადგან ამ ჩემპიონატს ოთხი წლის წინ ამერიკაში გამართულ მე-15 მსოფლიოს ჩემპიონატთან საერთო არაფერი აქვს და ისინი ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა.

ნელსონ აკოსტა, ჩილეს ნაკრების მთავარი მწვრთნელი: ამჯერად განგებამ ზურგი შეგვაქცია. ჩვენ დღევანდელ მატჩში მეტოქეზე გაცილებით უკეთ ვითამაშეთ და მოგებასაც ვიმსახურებდით. თუმცა უკანასკნელ წუთებზე მსაჯის მიერ სრულიად უსამართლოდ დანიშნული თერთმეტმეტრიანის გამო იძულებულნი გავხდით, ერთ ქულას დავჯერებოდით. მართალია, ჩვენი საჯარიმო მოედნიდან რამდენიმე ათეული მეტრის მოშორებით ვიყავი და ბუნებრივია, ხელით თამაშის მომენტი კარგად ვერ დავაფიქსირე, მაგრამ ყველამ უნდა აღიაროს, რომ პენალტი მსაჯის გამოგონილი იყო. საბოლოო ჯამში მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან პირველ ნახევარში დაცვაში დიდი პრობლემები გვქონდა და მატჩში მოვლენები სრულიად შესაძლოა, სხვაგვარად განვითარებულიყო. მეორე ტაიმში კი ალბათ ყველამ დაინახა, რომ თამაში ჩვენს სასარგებლოდ შემოვაბრუნეთ და რომ არა მსაჯის შეცდომა, გამარჯვებასაც მივაღწევდით.

რობერტო ბაჯო: მინდა დაგარწმუნოთ, რომ 1994 წელს ფინალურ მატჩში გაფუჭებული პენალტი ჩემი მეხსიერებიდან კარგა ხანია, სამუდამოდ ამოიშალა. მაგრამ, ამის მიუხედავად, დღეს თერთმეტმეტრიანი დარტყმის ნიშნულთან მიახლოებისას არაბუნებრივად ვღელავდი. ვიცოდი, თამაში რომ წაგვეგო, ჩემი სახელი იტალიელი გულშემატკივრების გულებში საბოლოოდ მოკვდებოდა.

კრისტიან ვიერი: ჩილეს ნაკრებმა ბრწყინვალედ ითამაშა და მათ მიერ გატანილი ორი გოლი სრულიად ლოგიკური იყო. მეტოქის გუნდიდან განსაკუთრებით ივან სამორანოსა და მარსელო სალასს გამოვყოფდი.

REUTERS ბორდოდან

არეულობა იტალიელთა დაცვაში: სალასი ანგარიშს ათანაბრებს



შეცვლა: დი მატეო — 14. დი ბიაჯო (58), დი ლივიო — 20. კიეზა (62), მარგასი — 5. რამირესი (64), ვიერი — 19. ინძაგი (71), ესტეი — 10. სიერა (81), აკუნია — 19. კორნეხო (82)

გაფრთხილება: დი ლივიო, კანავარო, პარაგუსი, აკუნია, როხასი

მთავარი მსაჯი: ლ. ბუშერდუ (ნიგერი)

მატჩის სტენოგრამა

10 წუთი. მალდინის ორმოცმეტრიან პასს რობერტო ბაჯომ ერთი შეხებით ვიერისკენ მისცა მიმართულება. მეკარესთან პირისპირ დარჩენილ იტალიელს კი გოლის გატანა აღარ გასჭირვებია.

12. იტალიელთა მორიგი კონტრშეტევა. ისევ ვიერის დარტყმა, ამჯერად არაზუსტი.

15. რობერტო ბაჯო მცველებში დატრიალდა, იქვე ბურთს დი მატეო დაეუფლა, ურტყამდა კიდეც, მაგრამ მცველმა კუთხურზე მოიგერია.

23. სამორანომ თავით სალასს უპასა, ამ უკანასკნელმა ნახევარი მეტრიდან ასევე თავით კარს ზემოდან გადააცილა.

26. ვიერის დარტყმულს მარგასმა მკერდი შეუშვირა.

45. მსაჯმა ტაიმს სამი წუთი წაამატა და გოლიც გავიდა. ესტაის კუთხურიდან ჩაწოდებული სამორანომ თავით მოიგო, მეკარის საჯარიმოში არეულობა შეიქნა, იქ კი სალასმა იყოჩაღა და ანგარიში გაათანაბრა.

50. როხასის საჯარიმოში ჩაწოდებულს სალასი კანავაროზე ადრე შესწვდა, ისევ თავური და ჩილე დაწინაურდა.

56. ვიერის უაზრო პასი გამოუვიდა, რეიესი უხეშად შეცდა, მაგრამ რობერტო ბაჯომ ასპროცენტიანი მომენტი გააცუდა. ტაპიამ იმარჯვა.

58. ვიერიმ ისევ არაზუსტად დაარტყა.

79. რობერტო ბაჯო ისევ სამ მცველში დატრიალდა და ინძაგის სასწაულად უპასა, მეკარის ცხვირწინ დარჩენილმა იუვენტუსელმა კი ტაპიას თითქოსდა შეგნებულად მოარტყა.

85. კვლავ რობერტო ბაჯო. საჯარიმოს მარცხენა ხაზთან ფუენტესს მარჯვენა ხელზე მოარტყა ბურთი. პენალტი. ბაჯომ გაათანაბრა.

87. რობერტო ბაჯომ ჯარიმა დაარტყა. ტაპიამ მუშტებით გაჭირვებით მოიგერია, გადმოვარდნილი ბურთი ალბერტინიმ უკანვე დაარტყა, მაგრამ მცირედით ააცილა.

ურჯუკთა ომი

ბულგარელები პარაგვაელებს ხვდებიან

მატჩი №5. პარაგვაი — ბულგარეთი. მონპელიე 16:30

REUTERS კოდრედან

სტოიჩკოვი (მარჯვნივ) და კოშიშევი პარაგვაელთა დამარცხებას გეგმავენ

დღეს აქ კოჭების წვა იქნება. გეტრებში სავალდებულოდ ჩატენილი დამცავი საგნები დაილეწება. აფრიალდება ყვითელ-წითელი ბარათები და საერთოდაც, ეს იქნება ჩემპიონატის ყველაზე ხისტი და უხეში მატჩი.

საშინელი დასაწყისია, არა?

რას იზამ, ჩვენ არაფერში ვართ დამნაშავე. ასე ფიქრობს თავად ბულგარელთა მწვრთნელი ხრისტო ბონევი. ბოლო სამი დღეა ბულგარელები ხისტ, ძალისმიერ გარჯას მისდევენ. მათ მწვრთნელს პარაგვაელთა თამაშების ვიდეოჩანაწერებით სავსე კასეტები უწყვია მაგიდაზე და ამბობს, რომ მეტოქედ ჰყავს, უხეში, ძალისმიერი და ეშმაკი გუნდი. ამიტომაც, ბრძოლა მინდვრის ყოველი გოჯისთვის მოუწევს, ამიტომაც, ძიძგილაობასა და მუჯლუგუნებს ვარჯიშზევე უნდა გაეჩვიოს.

REUTERS კოდრედან

ხრისტო ბონევი

მგონი ჩვენ მიგვავიწყდა კიდეც, რომ ბულგარელები მეოთხენი იყვნენ წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე. ბულგარელები ამბიციით არიან სავსენი და რა თქმა უნდა, მუხლჩაუხრელად ემზადებიან. ნაკრების უფროსობას შემორიგებული ხრისტო სტოიჩკოვიც კი ცხრა პირ ოფლსა ღვრის.

ისე, საუცხოო, დიდად ეგზოტიკური რამ გამოვა. აქედან წინა ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლე ხრისტო, აუტანელი, ჭირვეული, ბრაზიანი, ბილწსიტყვაობის ოსტატი და იქედან მეკარეთა შორის სწორუპოვარი ბომბარდირი ასევე შმაგი, ჭიჭყინა, მუშტის ჯიბეში არშემნახავი, მედიდური ხოსე ლუის ჩილავერტი.

ხრისტო ღიად ტრაბახობს (ეს თვისება ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი) რომ ჩილავერტს ერთ-ორ გაკვეთილს ჩაუტარებს და ხასიათსაც წაუხდენს. ხოსე ლუისი კი, როგორც ყოველთვის, სკანდალშია გახვეული. პარაგვაელთა გუნდის მეკარე, კაპიტანი და ჯერჯერობით ერთადერთი ვარსკვლავი ისეთ ქვეყანაში მისდევს საკლუბო თამაშს, სადაც ყველას ეზიზღება თავისი კლუბის, „ველეს სარსფილდის“ ქომაგების გარდა. დიახ, უსაზღვროა არგენტინელი ხალხის სიძულვილი ჩილავერტის მიმართ. ეს ხომ ის კაცია, რომელმაც არგენტინის ნაკრებს ბუენოსაირესში შეუგდო გოლი და ამის შემდეგ ეყო ნამუსი ბუენოს-აირესში დარჩენილიყო.

ჩილავერტი საუცხოოდ ერთობა იმით, რომ არგენტინელებს სძულთ. ხან სასამართლოში აქვს საქმე და ხან უსაფუძვლო დისკვალიფიკაციას ითმენს. უქმად ყოფნის ჟამს კი ცეცხლზე ნავთს ასხამს და არგენტინელებს ჭკუიდან შლის.

აი, ახლაც, ხოსე ლუისმა სახალხოდ გამოაცხადა, იაპონიის ნაკრების ბანაკში უნდა მივიდე და მათ მწვრთნელს არგენტინელთა დაჯაბნვის და დამარცხების ჩემეული ხერხები ვასწავლოო. ამან იმგვარად აღაშფოთა არგენტინელები, რომ ბუენოს-აირესის იურისტთა ასოციაციამ ჩილავერტის არგენტინაში არშეშება მოითხოვა. „პერსონა ნონგრატა“ იყოსო.

ბულგარელებს კი ჩილავერტი პირიქით ემუქრება, გოლს გაგიტანთო. ლონდონელ ბუკმეკერებს ჩილავერტის საუკეთესო ბომბარდირობის ფსონი ერთი ათასზე აქვთ, ესე იგი, დადებ ფუნტს, მოიგებ ათას ფუნტს. მაგრამ ჩილავერტი ხომ ვერ გახდება მსოფლიო ჩემპიონატის უპირველესი მეგოლე?

პარაგვაელთა ბრაზილიელი მწვრთნელი პაულო სეზარ კარპეჟიანი, რომელსაც თავად უთამაშია მსოფლიო ჩემპიონატზე 1974 წელს, მეკარის ბომბარდირობას ნაღდად ვერ გამოეკიდება. შეტევის ხაზში მას უფრო ლისაბონის „სპორტინგში“ მოთამაშე სეზარ რამირესის და მექსიკაში გადაბარგებული ხოსე კარდოსის იმედი აქვს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ პარაგვაელები იმთავითვე გამოირჩეოდნენ დაბალი შედეგიანობით. და ბოლოს ამხანაგურებშიც უბადრუკად გამოიყურებოდნენ.

„მე ვფიქრობ, რომ ჩვენ კარგი გუნდი გვყავს“, — აცხადებს კარპეჟიანი სკეპტიკოსთა გასაგონად — „ამხანაგურების შედეგებს დიდად არ ვაქცევთ ყურადღებას. მთავარია, რომ ფეხბურთელებს კარგად ესმით ერთმანეთისა და გარჯას არ თაკილობენ“.

კარგი გარჯაა, ჩვენმა მზემ, თუ კოჭები დაგალეწეს. პარაგვაელებს მართლაც შეუძლიათ სხვისი თამაშის დანგრევა, მაგრამ საკუთარი შემოქმედების განხრით გვარიანი პრობლემები აქვთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ გუნდის „სარაგოსელი“ ფლეიმეიქერი რობერტო აკუნია ტრავმებით ტანჯული ფეხბურთელია და ბოლო დრომდე ვერ იდგა ჯანზე. ტრავმები პრობლემა იყო ფრთის მცველ ფრანსისკო აიალასთვისაც, რომელიც დღემდე ვერ არის საფეხბურთო ხასიათზე.

საექიმო საქმეებს ბულგარელთა მწვრთნელიც მისდევს, მაგრამ ეს უფრო ფსიქოლოგიური ექიმობაა. ბონევის მიზანი ხომ 1994 წლის გმირ ვეტერანთა და ახალბედა ბულგარელთა ურთიერთგაგებისა და ნდობის ჩამოქნაა. ძველ ბოლგართათვის საფრანგეთი ტკბილ მოგონებათა გაღვიძების ადგილია. ემილ კოსტადინოვის გოლმა სწორედ პარიზში მოუპოვა ბულგარელებს 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური.

ეს კარგია, მაგრა არცთუ გადამწყვეტი.

ბონევი ფიქრს შეუპყრია და აგრე შთამბეჭდავად აღწერს პარაგვაელთა თამაშს:

„ისინი ძალიან კარგად იპყრობენ შუა მოედანს და სწრაფად ბრუნდებიან დაცვაში. ჩვენ უნდა ვცადოთ მათი ჯებირების გარღვევა იმ ძალით, რომელიც ყოველთვის გაგვაჩნდა. ეს ნამდვილად შეგვიძლია. ამ თამაშის ბედი შუა მოედანში წყდება და არა სადმე სხვაგან“...

ასე რომ თამაში მძიმე იქნება. თუმცა რა „თამაში“? თამაში კი არა ნამდვილი ომი. მითუმეტეს რომ ჭიჭყინ-ზუზუნა ძიძგილაობა, რომელსრაც სრულიად მოულოდნელად ლამაზი გოლები მოჰყვება ხოლმე, ორივე გუნდს ძალუძს.

გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

ბულგარეთი: ზდრავკო ზდრავკოვი, რადოსტინ ქიშიშევი, ტრიფონ ივანოვი, ივაილო პეტკოვი, ივაილო იორდანოვი; ზლატკო იანკოვი, ემილ კოსტადინოვი, ხრისტო სტოიჩკოვი; კრასიმირ ბალაკოვი, სტოიჩო სტოილოვი

პარაგვაი: ხოსე ლუის ჩილავერტი, ფრანსისკო არსე, სელსო აიალა, კატალინო რივაროლა, დენის კანისა; რობერტო აკუნია, ედგარ აგილერა, მიგელ ბენიტესი, ხულიო სეზარ ენსისო; ხოსე კარდოსო, სესარ რამირესი

ირაკლი გაბურელიძე

მატჩი №6. საუდეთი — დანია. ლანსი 19:30

გახსოვთ 1994 წელი?

საუდეთი შესაძლოა კერკეტი კაკალი აღმოჩნდეს

ფოტოზე ალ ალ ოვაირანი

საიდ ალ ოვაირანი (10) საუდეთის ნაკრების მთავრი იმედი

გახსოვთ 1994 წელი? ამერიკაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველასათვის უცნობმა საუდეთის ნაკრებმა ნამდვილი სენსაცია მოახდინა და ჰოლანდიის, ბელგიისა და მაროკოს ნაკრებებთან ერთად ჯგუფში მოხვედრილმა შემდეგ ეტაპზე გააღწია. ის კი არა, აზიელებს ოდნავ რომ გამართლებოდათ, უფრო შორსაც წავიდოდნენ. არა, იმის მტკიცებას სულაც არ ვაპირებთ, საუდელები ამჯერადაც წარმატებას მიაღწევენ და მსოფლიოს აალაპარაკებენო, მაგრამ ის, რომ ტექნიკური აზიელებით დაკომპლექტებულ გუნდს საფრანგეთში ყველა ანგარიშგასაწევ ძალად მიიჩნევს, გულშემატკივრებმა კარგად უწყიან. და დანია? ალბათ ღირს, ევროპის ყოფილმა ჩემპიონებმა ოთხი წლის წინ ბელგიელების მიერ დაშვებული შეცდომა გაითვალისწინონ. ამერიკაში, სადაც სხვათა შორის დანიის ნაკრები საერთოდ არ მონაწილეობდა, საუდელებმა საიდ ალ ოვაირანის მართლაც ფანტასტიკური გოლის წყალობით „წითელი ეშმაკუნები“ 1:0 დაამარცხეს და მერვედფინალის საგზურიც მოიპოვეს. დანიელთა ბრწყინვალე გოლკიპერ პეტერ შმაიხელს ყველაზე მეტად სწორედ ალ ოვაირანის უნდა ეშინოდეს, რადგან ამ ნახევარმცველის მიერ მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ბელგიელების კარში გატანილი ბურთი ერთ-ერთ ულამაზეს გოლადაა მიჩნეული. ასეთი რამ კი შემთხვევით ნამდვილად არ ხდება. ბრაზილიელი „ფენომენი“ — რონალდოს სტილში თავგადაპარსული ალ ოვაირანი საფრანგეთშიც ჩავიდა და მისი წინამძღოლობით საუდეთის ნაკრების სულ მცირე ოთხი წლის წინანდელ შედეგის განმეორებას შეეცდება. ალ ოვაირანისა და კიდევ ერთი პირველხარისხოვანი მოთამაშის სამი ალ ჯაბერის დუეტი მრავალი წლის განმავლობაში ყალიბდებოდა და მათი შეჩერება ნებისმიერი გუნდისთვის უეჭველად დიდი პრობლემა გახდება.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მეკარე შმაიხელი დანიის ნაკრებში ყველაზე საიმედო მოთამაშეა. მისი ვაჟკაცური შემართება და ბრძოლის ჟინი კი მართლაც იშვიათია. პიტერი დანიელთა გუნდის ნამდვილი ლიდერია. გუნდისა, რომლის ბოლოდროინდელი თამაში გულს უკლავდა მის ერთგულ გულშემატკივრებს. დანიელებს, სხვა ევროპული ნაკრებებისგან განსხვავებით, მეტად უცნობი ხასიათი და არასტაბილურობა ახასიათებთ, რაც წინასასაფრანგეთო მზადების ციკლში აშკარად ცუდად ჩატარებულ ამხანაგურ შეხვედრებშიც აისახა. გუნდმა ჩემპიონატის მონაწილე ნორვეგიისა და კამერუნის ნაკრებებთან შინ განცდილ მარცხებს სულ რამდენიმე დღის წინ საერთოდ საფრანგეთს მიღმა დარჩენილ შვედეთთან 0:3 განადგურება დაუმატა.

სპრეგიელის არქივიდან

შმაიხელი დღეს კარის მშრალად შენახვას შეეცდება

დანიელები საღღეისოდ საფრანგეთის ჩრდილოეთით მდებარე ლენსში არიან დაბინავებული და საუდელებთან შეხვედრისთვის სწორედ იქ ემზადებიან. გუნდის ექიმის განცხადებით, ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა, თუმცა არის ერთი დაშავებული, რომელზეც ბევრადაა დამოკიდებული ამ გუნდის წარმატებული თამაში. ალბათ მიხვდით, საუბარია პიტერ შმაიხელზე, რომელმაც ზურგის ტრავმა სულ ახლახანს მოირჩინა და ჩვეული ფორმაც აღიდგინა, მაგრამ ახლა თურმე თეძო ასტკივდა.

შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, დანიის ნაკრების თავკაცი ბო იოჰანსონი იხტიბარს არ იტეხს და აცხადებს, რომ მისი ბიჭები მშვენიერ ფორმაში არიან და ყველაფერი წინასწარ დადგმული სცენარის მიხედვით მიდის. რაც შეეხება სწრაფ, უაღრესად ნიჭიერ და იმავდროულად საუცხოოდ მომხადებულ საუდეთთან დღევანდელ თამაშს, მის პროგნოზირებისგან მწვრთნელმა თავი შეიკავა. იოჰანსონმა მხოლოდ ის აღნიშნა, რომ აზიელებმა მასზე დიდი შთაბეჭდილება გასულ თვეს ლონდონში ნათამაშევი შეხვედრისას დატოვეს, როცა მასპინძელი ინგლისელები ნულოვან ფრეს დააჯერეს. იმ მატჩში საუდელებმა მართლაც გააზრებული ფეხბურთი აჩვენეს და მოედნის შუაგულში პირდაპირ გატანჯეს ბრიტანელები. საუდეთის ნახევარდაცვა — აი, ის რგოლი, რომელსაც დღევანდელ თამაშში ყველაზე უფრო უნდა უფრთხილდნენ დანიელები.

— ისინი ძალიან ტექნკურები არიან, სწრაფადაც მოძრაობენ და არც თამაშის ორგანიზაცია დაეწუნებათ. თუ ვინმეს მიაჩნია, რომ საუდეთი დაცვაში ჩადგება და მხოლოდ საკუთარი კარის მშრალად შენახვაზე იფიქრებს, ძალიან ცდება. დარწმუნებული ვარ, ამ აზრის მომხრეებს დიდი სიურპრიზი ელით — ამბობს დანიელთა მთავარი მწვრთნელი.

დანიის ნაკრების დადებით მხარეებზე თუ ვისაუბრებთ, ძმებ ლაუდრუპებს გვერდს ვერ ავუვლით, რადგან თუ ვინმე ითავებს გუნდის წინამძღოლობას, იგი აუცილებლად ერთ-ერთი მათგანი იქნება. უფროსი, მიქაელი, დღევანდელ ნაკრებში ერთადერთია იმ ლეგენდარული გუნდიდან, რომელიც მექსიკაში 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის აღმოჩენად იქცა და შიშის ზარს ჰგვრიდა ნებისმიერ მეტოქეს. „აიაქსის“ თავდამსხმელი დღეს ეროვნული გუნდის მაისურს მეასედ მოირგებს. უკეთესი მაჩვენებელი მხოლოდ მანჩესტერელ შმაიხელს აქვს, რომელმაც საუბილეო მეასე შეხვედრა ორიოდ კვირის წინ კამერუნის ნაკრებთან 1:2 წაგებული ამხანაგური მატჩისას ჩაატარა. უმცროსი ლაუდრუპი შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსში“ გატარებული ოთხი სეზონის შემდეგ როგორც იქნა, ინგლისში გადაბარგდა და შემოდგომიდან იქაურ „ჩელსის“ ღირსებას დაიცავს. ამ ტრანსფერის განხორციელებით მეტად კმაყოფილი ბრაიანი საფრანგეთში ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე ითამაშებს („ჩელსიში“ გადასვლის პროცედურა უსაშველოდ გაიწელა, რაც უმცროს დაუდრუპს მეტად არასასურველ დისკომფორტს უქმნიდა) და შეეცდება, გუნდის ლიდერობა იტვირთოს.

— ჩვენ ვიცით, რომ პარასკევს გაცილებით უკეთესად უნდა გავსარჯოთ, ვიდრე ამას ბოლო ხანებში ვაკეთებდით. შეხვედრას საკმაოდ დაწყნარებული, საკუთარ თავში დარწმუნებული ვხვდებით და იმედი გვაქვს, მეტოქეს შანსს არ დავუტოვებთ — ბრაიან ლაუდრუპი დღევანდელი თამაშის წინ ოპტიმისტურადაა განწყობილი.

საგულისხმოა, რომ იოჰანსონს თამაშის წინ დიდი თავსატეხი გაუჩნდა. მწვრთნელს ორ სხვადასხვა პოზიციაზე წყვილ-წყვილი კანდიდატი ჰყავს და აქამდე ვერ გადაუწყვეტია, უპირატესობა ვის მიანიჭოს. მარცხენა მცველის ადგილზე მიჰაელ შეონბერგი და იან ჰაინცე აცხადებენ პრეტენზიას, ხოლო ცენტრალური ნახევარმცველის პოსტზე ტომას ჰელვეგი და მორტენ ვიგჰორსტი ეცილებიან ერთმანეთს. ამათგან საუკეთესო ალბათ დღეს მოედნის შუაგულში ალან ნილსენის მსარდამხარ ითამაშებს.

კიდევ ერთი სიახლე ის გახლავთ, რომ მოსალოდნელია, დანიის ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში თავდამსხმელი ებე სანდი ვიხილოთ. ეს ფეხბურთელი დანიის ჩემპიონ „ბრონდბიუს“ ღირსებას იცავს და წელს ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოც გახლდათ.

საუდელთა მთავარ მწვრთნელ, ბრაზილიელ კარლოს ალბერტო პარეირას თავისი გუნდის დიდი იმედი აქვს. 1994 წელს ბრაზილიის ნაკრების გაჩემპიონების სულისჩამდგმელს ახალ ქვეშევრდომებთან ერთად დიდი მიზნები დაუსახავს და მიუხედავად ათიოდე დღის წინ ნორვეგიელ ვიკინგებთან ამხანაგურ შეხვედრაში 0:6 განადგურებისა, მაინც მხნედ გამოიყურება.

გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

დანია: შმაიხელი, შეონბერგი (ან ჰაინცე), რიპერი, ჰოგი, კოლდინგი, ჰელვეგი (ან ვიგჰორსტი), იორგენსენი, ნილსენი, მ. ლაუდრუპი, სანდი, ბ. ლაუდრუპი

საუდეთი: ალ დეია, ალ ჯაპანი, ალ ხილავი, ზუბრომავი, ალ შაჰრანი, ამინი, სულიმანი, ალ ოვაირანი, ალ მუვალიდი, ალ მუპალელი, ალ ჯაბერი

ირაკლი ხმელიძე

ვაჰ, დრონი, დრონი...

მატჩი №7. საფრანგეთი — ს. აფრიკა. მარსელი 23⁰⁰

გაჭიანურებული მოლოდინი დასრულდა. საფრანგეთის ეროვნული ნაკრები დღეს მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველ მატჩს ითამაშებს, ბიბლიაში წერია საქმემან შენმან წარმოგაჩინოსო — უტყუარი სიტყვებია.

20 წელიწადია მსოფლიოს პირველობის მასპინძელ ქვეყანას თასი არ აღუმართავს. 1978 წელს არგენტინამ გაახარა გულშემატკივარი. მას მერე მასპინძლები მარცხდებიან. დამარცხდა ესპანეთი, მექსიკა, იტალია და აშშ. მათმა წარუმატებლობამ შვა ნაირ-ნაირი თეორია. ამბობდნენ მიზეზი ისაა, რომ მასპინძლების ფინალურ ეტაპზე უკონკურსოდ რომ უშვებს ამით მთელი ორი წლის განმავლობაში ნაღდ ბრძოლაში წრთობა აკლდებათო. მეორე ვერსია ფსიქოლოგიასთანაა დაკავშირებული. მის თანახმად ფეხბურთელებს საკუთარი კედლების ზეწოლა აწუხებთ, იბოჭებიან და სილაღე უქრებათ.

ახლა საშუალება გვეძლევა, ვნახოთ რა მოხდება არგენტინელთა ტრიუმფიდან 20 წლის შემდეგ. შეძლებენ ფრანგები თეორიების მსხვრევას?

დღეს მათ სუსტ მეტოქესთან უწევთ თამაში. მეტოქეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაკრები ჰქვია. იგი მსოფლიოს პირველობათა დებიუტანტია და სათავეში ფრანგი კაცი ფილიპ ტრუსიე უდგას.

საფრანგეთი ამ თორმეტი-ოცი წლის წინ ძალიან ძლიერი გუნდი იყო. შედეგებიც ამის დასტურია: 1982 და 1986 წლებში ნახევარფინალში გავიდა (ორივეჯერ გერმანიის ნაკრებთან დამარცხდა), 1984-ის ევროპის პირველობაზე კი ჩემპიონი გახდა.

შედეგი შედეგად და სასწაულად თამაშობდა. სამფეროვანთა მაშინ, ჯერ კიდევ ძირითადად თეთრკანიანი ნაკრები. საუცხოო ანსამბლს დღეს მოსუქებული და გაჩინოვნიკებული მიშელ პლატინი მიუძღოდა. პლატინი გახლდათ ჭკვიანური, ნატიფი, ელეგანტური ფეხბურთის რაინდი. იგი არეგულირებდა თამაშის ტემპს, რიტმს, ცვლიდა შეტევათა მიმართულებას, მოედანზევე ატყობდა სად და რა იყო საჭირო. განსაკუთრებით მომხიბვლელი მისი პასი გახლდათ. საღღაც მოედნის სიღრმიდან გაფრენილი ბურთი თავდამსხმელს ისეთ ადგილას, ისეთი სიზუსტით დაუსკუპდებოდა ცხვირწინ, რომ სიზუსტეს თავი დავანებოთ, შეტევის ასე გაგრძელება ათ ნომერს აზრად საიდან მოუვიდაო, გაოცდებოდით. და ამას ბომბარდირის ნიჭიც დაუმატე...

პლატინის მხარდამჭერ იმედად ნაკრებში თამაშობდნენ უბადლო ფეხბურთელები ჟან ტიგანა, ალენ ჟირესი, მანუელ ამორო... მწვრთნელი კი 1978 წლიდან ევროპულ ტრიუმფამდე, რომანტიკოსად შერაცხული მიშელ იდალგო გახლდათ, 1986 წელს კი ის ანრი მიშელი, რომელიც 78-ში თავად ფეხბურთელი გახლდათ, გუშინწინ კი როგორც ხელმძღვანელმა, ტუნისის ნაკრებს ნაქებ ნორვეგიასთან ფრედ დაამთავრებინა შეხვედრა.

ფრანგთა დღევანდელი ნაკრები სხვა ელფერის გუნდია. მას რომანტიკული, ელეგანტური ფეხბურთისა აღარაფერი სცხია და ამასწინათ, ერთობ მიგნებულად, ერომა ამერიკის საკალათბურთო გუნდს „კლივლენ კავალიერზს“ შეადარა.

მაშ ასე, ამ „კლივლენდ კავალირზს“ დღეს სამხრეთ აფრიკასთან გამოცდა აქვს ჩასაბარებელი. გამომცდელები ფრანგი გულშემატკივრები იქნებიან.

მიუხედავად საკლუბო ფეხბურთში დაგდებული დიდი სახელისა, გამოცდაზე სამფეროვანთა გამთამაშებელი ზინედინ ზიდანიც გავა. ზიდანი ერთადერთია, ვინც თამაშის ყაიდით ძველ გვარდიას წაგავს. მან „იუვენტუსში“ საკმაოდ რთული და მეტისმეტად დამღლელი სეზონი ჩაატარა და ახლა მსოფლიოს ჩემპიონატი აქვს ზედ დასაყოლებელი. ამოცანა ერთობ ძნელია. თან, თუ ზიდანის ერთ-ერთ ინტერვიუს გავიხსენებთ, იგი ამბობს, რომ თავის მთავარ ნაკლად უნებლიე ჩავარდნები მიაჩნია, ხოლო დიდი სეზონის შემდეგ ჩავარდნა გამოსარიცხი სრულებითაც არ გახლავთ.

მკითხაობას თავი დავანებოთ. კარგ ფორმაშია არაბული წარმოშობის ფრანგი თუ ცუდში, ამ საღამოს მარსელში, „ველოდრომზე“ გამოჩნდება, ხოლო ფრანგ ფეხბურთელთა წარმოშობა ერთობ საინტერესო თემაა.

აგერ, სააგენტო „როიტერმა“ მასპინძელთა სავარაუდო ნაკრები ჩამოწერა. ტურამი და დესაი აფრიკული ფესვებისანი გახლავან, ლისარასუ ბასკია, ჯორკაეფი ყალმუხი თუ სომეხი, ზიდანზე მოგახსენეთ, ტრეზეგეს მამა არგენტინელი ჰყავს, დანარჩენები კი რამდენადაც ვიცით, ნაღდი ფრანგები არიან. თუ ოცდაორკაციან სიას გადავხედავთ, ისეთ ფეხბურთელს, წინაპრები სხვა ქვეყანაში რომ უნდა ვეძიოთ, მეტს ვნახავთ.

ისე, არც ფრანგთა ძველი, ლეგენდარული ნაკრები იყო ეთნიკურად ერთგვაროვანი. თავად მიშელ პლატინი სისხლით იტალიელი ბრძანდება. ბაბუამისი ფრანჩესკო პლატინი ტურინის შორიახლო რაიონიდან გადაბარგებულა ცოლშვილიანად საფრანგეთში. მისმა ვაჟმა, ალდომ ფრანგის ქალი ითხოვა და მიშელი შვა. ლუის ფერნანდესი ბასკი გახლდათ, მანუელ ამორო — ესპანელი, ტიგანა და ტრეზორი — აფრიკელები.

სამხრეთ აფრიკა როგორც მოგახსენეთ, მსოფლიოს პირველობათა დებიუტანტია. ადრე ამ ქვეყანას საერთაშორისო სანქციები ზღუდავდა, 1994 წლის ჩემპიონატის შესარჩევში კი გუნდი პირველივე რაუნდიდან გამოეთიშა შეჯიბრებას.

მოკლედ, საფრანგეთი ფავორიტია, მაგრამ სამხრეთაფრიკელთა მწვრთნელი ტრუსიე იმედს არ კარაგვს.

„ჩვენ ასპოცენტიანი შანსი გვაქვს და ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ფეხბურთში ლოგიკა არ არსებობს. ასეთი დონის შეხვედრაში ყველა გუნდი ერთნაირ მდგომარეობაშია“ — თქვა ტრუსიემ ვიშეში, საწვრთნელ ბაზაზე მოწყობილ პრესკონფერენციაზე.

სამხრეთ აფრიკამ პოლიტიკური იზოლაციის დროს დაკარგული აინაზღაურა. ამაზე მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლაც მეტყველებს და, ბუნებრივია, 1996 წელს აფრიკის თასის მოპოვებაც.

„ფრანგებს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ, მაგრამ ისეთი მატჩების ბედი დღეს რომ უნდა ვითამაშოთ, იმდენად კლასზე არაა დამოკიდებული, რამდენადაც ატმოსფეროზე. ხანდახან მხარს რომ გიჭერენ, თამაში უფრო მეტად გიჭირს“ — დასძინა ტრუსიემ.

ქომაგებზე საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა, ემე ჟაკემაც გაამახვილა ყურადღება. ჟაკემ იცის, რომ მისმა გუნდმა ბოლო რამდენიმე შეხვედრაში გულშემატკივარი ვერ გაახარა, მაგრამ იმედი აქვს, რომ ამისთვის ობსტრუქციას არ მოუწყობენ.

ტრუსიემ აზრი უფრო განავრცო, კიდევ კარგი პირველი თამაში საფრანგეთთან გვაქვს და არა დანიასთან ან საუდის არაბეთთანო.

„სამხრეთაფრიკელებს მეორე ეტაპზე გასვლა გვსურს. მწამს, ჯგუფში პირველ ან მეორე ადგილს დავიკავებთ და თუ გზიდან საფრანგეთი ჩამოვიცილეთ, პრობლემა აღარ გვექნება“ — თქვა მან.

ტრუსიეს მთავარი პრობლემა თავდასხმაში ფილ მასინგას პარტნიორის სწორედ შერჩევაა. ერთი ვარიანტია ამსტერდამის „აიაქსის“ წევრი ბენედიქტ მაკარტი, მეორე — შონ ბარტლეტი.

თავდამსხმელის ამოცნობა ჟაკესაც უჭირს, თუმცა ბევრის აზრით, იგი მაინც იმავე შემადგენლობას ათამაშებს, რომელმაც გასულ პარასკევს ჰელსინკიში ფინეთის ნაკრებს 1:0 მოუგო. და მაინც, არაა გამორიცხული, რომ სტეფან გივარში დავიდ ტრეზეგემ შეცვალოს. ტრეზეგემ ჰელსინკიში გივარში 75-ე წუთზე შეცვალა და შვიდი წუთის შემდეგ გოლიც გაიტანა.

„მე მზად გახლავართ და სიამოვნებითაც ვითამაშებდი თავიდანვე. მაგრამ გადაწყვეტილება მწვრთნელმა უნდა მიიღოს“ — თქვა ტრეზეგემ.

გივარშს კი სამხრეთ აფრიკასთან დაკავშირებით საგანგებო მოგონებები უთბობენ გულს. გასული წლის ოქტომბერში, ლანსში, სწორედ ამ მეტოქესთან ითამაშა პირველად ეროვნულ გუნდში და ჯერჯერობით ერთადერთი გოლიც გაიტანა.

„საფრანგეთის ნაკრებში ისე ლაღად, როგორც მაშინ, აღარ მითამაშია“ — ალალად აცხადებს გივარში, ხოლო მცველი, ლილიან ტურამი ფრთხილობს, ისეთ გუნდთან, როგორიც სამხრეთ აფრიკაა, შეიძლება სულაც ვერ გავიბრწყინოთო.

„ერთადერთი, რასაც მნიშვნელობას ვანიჭებ, შედეგია. ცუდად რომ ვითამაშოთ, მაგრამ მოვიგოთ, უბედნიერესი კაცი ვიქნები“ — ბრძანა „პარმას“ მოთამაშემ.

მეტოქეთა სავარაუდო შემადგენლობები

საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი, ბლანი, დესაი, ლისარასუ, დეშამპი, პეტი, ზიდანი, ჯორკაეფი, გივარში (ან ტრეზეგე), დუგარი

სამხრეთ აფრიკა: ვონკი, ჯეკსონი (ან მნგუნი), ფიში, რადებე, ნიატი, მკალელე, მოშოუ, ავგუსტინი, ფორტუნი, მაკართი (ან ბარტლეტი), მასინგა

ილია ბაბუნაშვილი

FRANCE FOOTBALL

სტეფან გივარშმა ნაკრებში ჯერჯერობით ერთადერთი გოლი სწორედ სამხრეთ აფრიკელებთან ამხანაგურ მატჩში გაიტანა

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

FRANCE 98

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში თბილისში, კინოთეატრ რუსთაველის მეოთხე სართულზე, კროკოს კლუბში შეგეძლებათ თამაშების პირდაპირი რეპორტაჟების ნახვა და ფსონების დადება.

კროკო ფეხბურთის ყველაზე აზარტულ მოყვარულებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რუსთავში მოემსახურება.

მსოფლიოს ჩემპიონატი

12 ივნისი			
პარაგვაი — ბულგარეთი	3,6	2,9	1,9
საუდეთი — დანია	7,0	3,8	1,35
1:0	2,3	3,2	2,0
საფრანგეთი — ს. აფრიკა	1,2	5,0	9,0
0:1	1,6	3,2	3,5
13 ივნისი			
ესპანეთი — ნიგერია	1,6	3,2	5,0
კორეა — მექსიკა	4,0	3,0	1,8
ჰოლანდია — ბელგია	1,6	3,2	5,0
14 ივნისი			
იუგოსლავია — ირანი	1,1	6,0	12,0
0:1	1,5	3,2	4,0
არგენტინა — იაპონია	1,1	6,0	12,0
0:1	1,5	3,2	4,0
იამაიკა — ხორვატია	9,0	5,0	1,2
1:0	2,9	3,2	1,8
15 ივნისი			
ინგლისი — ტუნისი	1,15	5,6	10,0
0:1	1,6	3,2	3,5
რუმინეთი — კოლუმბია	2,0	2,9	3,5
გერმანია — აშშ	1,2	5,0	9,0
0:1	1,6	3,3	3,4
16 ივნისი			
შოტლანდია — ნორვეგია	3,2	2,9	2,1
ბრაზილია — მაროკო	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2

ჩემპიონი (ფინალში გასვლა)

ბრაზილია	4,0	(2,0)
გერმანია	4,0	(2,0)
საფრანგეთი	5,0	(3,0)
იტალია	5,0	(3,0)
ინგლისი	6,0	(3,0)
არგენტინა	10,0	(5,0)
ჰოლანდია	15,0	(7,0)
ესპანეთი	15,0	(7,0)
იუგოსლავია	25,0	(15,0)
ნორვეგია	25,0	(15,0)
ნიგერია	50,0	(25,0)
ხორვატია	50,0	(25,0)
რუმინეთი	50,0	(25,0)
დანია	50,0	(25,0)
კოლუმბია	50,0	(25,0)
ბელგია	75,0	(40,0)
ჩილე	75,0	(40,0)
შოტლანდია	75,0	(40,0)
მექსიკა	75,0	(40,0)
ბულგარეთი	75,0	(40,0)
ავსტრია	100,0	(50,0)
აშშ	100,0	(50,0)
პარაგვაი	100,0	(50,0)
კამერუნი	200,0	(100,0)
ს. აფრიკა	200,0	(100,0)
მაროკო	200,0	(100,0)
ტუნისი	500,0	(250,0)
კორეა	500,0	(250,0)
იამაიკა	500,0	(250,0)
საუდეთი	1000,0	(500,0)
ირანი	1000,0	(500,0)
იაპონია	1000,0	(500,0)
ფინალში გასვლაზე შეიძლება გადამრავლდეს ორი გუნდის კოეფიციენტი		
ბომბარდირი	5,0	
ანგარიში	5,0	

ჯგუფში I ადგილი

(ფრჩხილებში ჯგუფიდან გასვლა)

A ჯგუფი		
ბრაზილია	1,05	(—)
ნორვეგია	5,0	(1,8)
შოტლანდია	15,0	(2,5)
მაროკო	30,0	(2,5)
C ჯგუფი		
საფრანგეთი	1,15	(1,01)
დანია	5,0	(1,5)
ს. აფრიკა	20,0	(2,5)
საუდეთი	75,0	(6,0)
D ჯგუფი		
ესპანეთი	1,5	(1,05)
ნიგერია	3,5	(1,6)
ბულგარეთი	6,0	(2,3)
პარაგვაი	20,0	(3,5)
E ჯგუფი		
ჰოლანდია	1,3	(1,05)
ბელგია	4,5	(1,4)
მექსიკა	6,0	(2,0)
კორეა	50,0	(5,0)
F ჯგუფი		
გერმანია	1,2	(1,01)
იუგოსლავია	3,0	(1,05)
აშშ	50,0	(3,5)
ირანი	100,0	(10,0)
G ჯგუფი		
ინგლისი	1,3	(1,01)
რუმინეთი	4,0	(1,5)
კოლუმბია	7,0	(1,8)
ტუნისი	75,0	(8,0)
H ჯგუფი		
არგენტინა	1,4	(1,01)
ხორვატია	2,5	(1,1)
იამაიკა	75,0	(6,0)
იაპონია	75,0	(6,0)

რამდენ ქულას დააგროვებს ჯგუფში?

	0	1	2	3	4	5	6	7	9
იტალია	500,0	250,0	50,0	15,0	10,0	5,0	3,0	1,8	1,8
საფრანგეთი	1000,0	500,0	75,0	20,0	10,0	4,0	4,0	1,8	1,8
ესპანეთი	500,0	100,0	25,0	15,0	7,0	4,0	4,0	2,0	2,0
ჰოლანდია	500,0	100,0	25,0	15,0	7,0	4,0	4,0	2,0	2,0
გერმანია	1000,0	500,0	100,0	50,0	15,0	8,0	4,0	1,8	1,6
ინგლისი	500,0	100,0	25,0	15,0	7,0	4,0	4,0	1,8	1,8
არგენტინა	1000,0	500,0	100,0	25,0	10,0	4,0	4,0	1,8	1,6

ფსონები მიიღება ყოველდღე 13-დან 16 საათამდე.

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან;

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

ბათუმში — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

რუსთავში — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო

ჩემპიონატის დღიური

10 ივნისი

ლაშა გოდუაძე

FRANCE 98

ჰაჯი, მეტსახელად ქაჯი

„მუსტაფა, ჩვენ შენ გვიყვარხარ!", „მუსტაფა, შენ უძლიერესი ხარ!" — ასეთ შეძახილებს გუშინწინ საღამოს მონპელიეში ხშირად მოისმენდით, თუ, ცხადია, ინგლისურის რაიმე გაგეგებათ. მაროკოელ გულშემატკივრებს, მრავლად რომ სტუმრობდნენ საფრანგეთის ამ ქალაქს, თავიანთი კერპი უკვე შეერჩიათ. ისე, მუსტაფა ჰაჯი მსოფლიოს ჩემპიონატამდეც გუნდის ლიდერად ითვლებოდა, თუმცა ოთხშაბათს დაამტკიცა, რომ მართლაც ძლიერი მოთამაშეა. ნორვეგიელებთან იგი გამორჩეული გახლდათ — ბრწყინვალედ თამაშობდა, გოლიც შესანიშნავი გაიტანა და საერთოდ, ალბათ, შეხვედრაში მონაწილე მობურთალთაგან საუკეთესოც იყო. მაროკოელი ისე დაჰქროდა ნორვეგიელთა შორის, არც მეტი არც ნაკლები, პატარა" მუსტაფა ჰაჯი გაგახსენდებოდათ. დიახ, პატარა მუსტაფა ჰაჯი, რომელიც არც ყრმობისას ყოფილა მშვიდი.

— ბავშვობაში ქაჯს ვეძახდით, მხიარული ყმაწვილი იყო. ისე, არც ახლაა მთლად დალაგებული — ვის-ვის და მაროკოელთა ლიდერის უახლოეს მეგობარს ჯამალ კარაბის მუსტაფას ხასიათი არ ესწავლება. გუშინწინ კარაბი მონპელიეში გახლდათ, ძმაკაცს ქომაგობდა. ჯამალს დრო ტყუილად არ დაუკარგავს — მუსტაფამ საუცხოოდ ითამაშა, გოლიც შეაგდო, მერე კი გახარებული სწორედ ჯამალისკენ გაიქცა, თუმცა მოზეიმე თანაგუნდელებმა მაყურებლებთან მისვლის შანსი არ მისცეს. მიუხედავად ამისა, მეგობრები ერთმანეთს მაინც გადაეხვივნენ, თუმცა შეხვედრის შემდეგ.

— ო, ძალიან რთული მატჩი იყო. ერთობ ვღელავდი, ვაითუ თამაში არ წამივიდეს-მეთქი, მაგრამ ამდენ ქომაგს რომ მოვკარი თვალი, დავრწმუნდი, უფრო სწორად, ავლეგზნე, საბრძოლველად მოვემზადე. რაც შეეხება გოლს, ბადეში შევარდნილი ბურთი რომ დავინახე, ბავშვივით გამეხარდა, თუმცა მივხვდი, რომ სტადიონზე ანცობა სასაცილო იქნებოდა. ისე კი, ის რომ გიამბოთ რაც ჩვენ გასახდელში ჩავიდინეთ, სიცილით დაიხოცებით — ყაიმით მაროკოელები გახარებული ჩანდნენ, მათ შორის, მუსტაფა ჰაჯიც. ერთი ნაკრების მწვრთნელი ანრი მიშელი გახლდათ უკმაყოფილო. მიზეზი გასაგებია — მაროკო ორჯერ იგებდა, მაგრამ მაინც ფრეს დასჯერდა.

შეხვედრის შემდეგ მონპელიე დუღდა და გადადუღდა. ნორვეგიელები და მაროკოელები ბარებს მოედვნენ. დაახლოებით ერთ საათში კი ქალაქი შეზარხოშებული გულშემატკივრებით აივსო.

— მუსტაფა? ო, ის ბრწყინვალე ფეხბურთელია. ჯერ კიდევ წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოირჩეოდა, ნუთუ არ გახსოვთ? არა, მუსტაფა უძლიერესი მოთამაშეა. აი, ნახავთ, თუ მაროკო მერვედფინალში არ გავა — მეგობრებით გარშემორტყმული აბდულა მაზარის ის-ის იყო მეშვიდე კათხა ლუდი ჩაეთავებინა, მუსტაფაზე რომ ალაპარაკეს. თუმცა რატომ ალაპარაკეს? მას საყვარელ მობურთალზე საუბარი ერთობ სიამოვნებდა.

— რას ამბობთ! ჰაჯი დიდი მოთამაშეა. მას ყმაწვილკაცობიდან ვქომაგობ, ახლა „დეპორტივოშია", თუმცა უნდა გენახათ, „სეტატში" როგორ ფეხბურთს თამაშობდა, ან რას ჩადიოდა! იგი გენიოსია, ცელქი გენიოსი — მაზარის მეგობარ ალი ალ ხიტის ჰაჯის სიყვარული მოსძალებოდა.

სარბიელის არქივიდან

და კიდევ ამბობენ ჰაჯი ქაჯი არ არისო

ეს ყველაფერი გუშინწინდელი ღამის, უფრო სწორად, გუშინდელი განთიადის ამბებია, გუშინ, ხუთშაბათს კი მუსტაფა კვლავ მოექცა ყურადღების ცენტრში: თურმე ნუ იტყვით, ფათერაკიანმა ჰაჯიმ ნაკრების ხელმძღვანელობა ფინანსურად (საკმაოდ სერიოზული თანხით) აზარალა — სასტუმროს ბარიდან მუსტაფას ორი ბოთლი ვისკი წაუღია, თანაგუნდელებთან ერთად წინა დღის მიღწევა რომ „დაესველებინა", კიბეზე ასვლისას ფეხი დასცურებია, ხელი მოაჯირისკენ გაუწვდენია და... სასტუმროს ხელმძღვანელობაც აღუშფოთებია. ბოთლების ნამსხვრევებისგან კიბე, ცხადია უმალ გაწმინდეს, მაგრამ დალაქავებული ხალიჩის შეცვლას სამიოდ საათი მოანდომეს. ფრანგები, მოგეხსენებათ, მეტად ეკონომიური ხალხია, ჰოდა, სასტუმროს ხელმძღვანელობამაც მაროკოელებს ზარალის ანაზღაურება მოსთხოვა, მერე რა, რომ ესენი მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილენი იყვნენ. სხვა გზა არ იყო — ფრანგებმა მისაღები მიიღეს.

როგორც ჩანს, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია. ბავშვობის მეტსახელი „ქაჯი" მართლაც რომ ზედგამოჭრილია ჰაჯისთვის.

...შემდეგი თამაში მაროკოს 16 ივნისს აქვს ნანტში, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებთან. მაროკოელი ფანები ამბობენ, თუ ნაღდი მუსტაფა ჰაჯის ნახვა გსურთ, ნანტში წამოდით, მუსტაფას, როგორც ასეთს, იქ იხილავთო.

მართალია ნანტში ვერ წავალთ, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატი თბილისიდანაც მშვენივრად იყურება. ჰაჯის თამაშსაც ცხადია ვიხილავთ, ასე რომ...

ქუჩური ჩხუბის მსოფლიოს ჩემპიონატი

იშვიათი გამონაკლისის გარდა დიდ საფეხბურთო ტურნირებში მუდამ მონაწილეობენ ბრიტანელები, ამათი გულშემატკივრების გადამკიდე კი ჩემპიონატების საორგანიზაციო კომიტეტებს ყოველთვის ერთიორად ემატებათ საქმე. ახლაც ასეა. მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრიტანეთს ინგლისი და შოტლანდია წარადგენს. ამ გუნდების თავქარიან გულშემატკივართა გამო კი მატჩების მასპინძელი ქალაქები უსაფრთხოებას ორმაგად საჭიროებენ.

ოთხშაბათს, მსოფლიოს რიგით მე-16 ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში, ბრაზილია შოტლანდიას დაუპირისპირდა. ეს გუნდები რომ პარიზში ითამაშებდნენ,

სარბიელის არქივიდან

სქოთი ქომაგი — შესაძლოა გულკეთილი, შესაძლოა ავი

კარგა ხნით ადრე იყო ცნობილი და მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტთან არსებულმა უსაფრთხოების სამსახურმა იმთავითვე იზრუნა გულშემატკივრებს შორის ყველანაირი შეტაკების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

ოთხშაბათს გიჟმაჟი სქოთი ფანები ბრაზილიელ ქომაგებს მაინც შეეჯახნენ. ისეთი ბრძოლა გაჩაღდა უეჭველად მელ გიბსონის პოპულარული ფილმი „ბრეივ ჰართი" (მამაცი გული) გაგახსენდებოდათ. შეტაკება დიდხანს არ გაგრძელებულა. არა, ქალი არ გამოჩენილა და მოჩხუბართა შორის მანდილი არ ჩაუგდია. უბრალოდ, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი წესრიგისდამცველნი გაჩნდნენ და გართულებები თავიდან აიცილეს. საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა, ერთი ეგ იყო, ორივე მხრიდან დარჩნენ თვალჩალურჯებულები.

ამჯერად კი დააშოშმინეს უმიზეზოდ მოჩხუბარნი, მაგრამ დაპირისპირებულთა შეტაკება შებინდებისას მაინც გაგრძელდა. ახლა აყალმაყალი სამხრეთელმა, ცხადია, ლუდით გაჟღენთილმა ტორსედორესებმა წამოიწყეს. მიზეზი კი მეტად სასაცილო ყოფილა, თუმცა ამჯერად მოკლედ თქმის პრინციპს ვუღალატებ და სათქმელს შორიდან დავიწყებ.

1996 წლის ნოემბერში თბილისს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის სათამაშოდ ინგლისელთა ნაკრები ეწვია. დამხვდურ ქართველ ჟურნალისტთა შორის მეც გახლდით და ინგლისელებთან შოტლანდიელი რომ შევენიშნე, გავოცდი. მერე სასტუმრო „მეტეხში" მოსულს ყურისწამლები ჭყვიტინი შემომესმა. უცბად ჩემს წინ ახმახი, წმინდა შოტლანდიურად შემოსილი ჭაბუკი აღიმართა, რომელიც გუდა-სტვირზე ურიტმოდ უკრავდა. თავი მარტო მე კი არა, ყველა იქ მყოფს სტკიოდა. თურმე იგი გლაზგოდან ჩამოჰყოლია პოლ გესქონს (იმ ხანებში გაზა „გლაზგო რეინჯერსში" ირჯებოდა) საგულშემატკივროდ.

ახლა კი სათქმელი — ბრაზილიელებსა და შოტლანდიელებს შორის მეორე შეტაკება შებინდებისას სწორედ გუდა-სტვირის ჭყვიტინის გამო მოხდა. პარიზის ერთ-ერთ მოედანზე, „სენ დენიზე" ვერმოხვედრილი ორივე გუნდის გულშემატკივრები შეკრებილიყვნენ, რომლებიც მატჩს დიდ ეკრანზე უყურებდნენ და თან ლუდს სვამდნენ. მეორე ტაიმის შუაში სამხრეთამერიკელ ქომაგებს შოტლანდიური გუდა-სტვირი და ყურისწამლები ძალით მელოდია მობეზრდათ და ჩხუბიც დაიწყო. დაახლოებით ხუთი წუთი ებრძოდნენ ერთმანეთს ნასვამი ევროპელი და სამხრეთამერიკელი გულშემატკივრები. ბოლოს წესრიგისდამცველებმა იმარჯვეს.

შოტლანდიელი და ბრაზილიელი ფანების დაპირისპირებას თითქოს გახსნის მატჩის დასრულებისთანავე უნდა მოღებოდა ბოლო, მაგრამ პირიქით კი მოხდა. სქოთთა დამარცხებიდან დაახლოებით საათნახევარი იყო გასული, ლე პერიოს ქუჩაზე გაბრაზებული შოტლანდიელები მოზეიმე ბრაზილიელებს რომ დაესხნენ თავს. სიტუაცია აქ გაცილებით სერიოზული აღმოჩნდა. სამართალდამცავებმა ნასვამი ტარტანელების (შოტლანდიელ ქომაგთა მეტსახელია) დაკავება მალევე მოახერხეს, თან რამდენიმე მათგანს დანაც აღმოუჩინეს. საერთო ჯამში ფრანგმა პოლიციელებმა 25 შოტლანდიელი ფანი დააკავეს. მეორე დღით, ანუ გუშინ კი ისინი სამშობლოში აფრინეს, რითაც, ცხადია, მათ გული დაწყვიტეს, თუმცა ჩემპიონატის უსაფრთხოებისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის დღეს ბრაზილიელები და შოტლანდიელები ერთურთს ოთხჯერ დაუპირისპირდნენ, მაგრამ თუ საფეხბურთო მინდორზე სამხრეთამერიკელებმა აჯობეს სქოთებს, ქუჩის შეჯახებები სამართალდამცავთა ზეობით დასრულდა.

მიეცით შუქი ქომაგებს!

ამას წინათ ჩვენთან, რედაქციაში ერთმა გულშემატკივარმა დარეკა:

— ალო, „სარბიელია"? გამარჯობათ, ნუცუბიძელები გაწუხებთ. გთხოვთ; ჩვენი სახელით გააკეთოთ განცხადება, რომ თუ თელასი მსოფლიოს ჩემპიონატის განმავლობაში კიდევ ერთხელ გაგვითიშავს შუქს, უბრალოდ, სისხლს დავღვრით. უკვე ვინ მოთვლის, მერამდენედ ხდება ასე — თამაში იწყება, ესენი კი დენს გვირთავენ. გთხოვთ, თუ შეგიძლიათ, განაცხადეთ ამის შესახებ.

ფეხბურთის თავგადაკლული ქომაგის გულისტკივილი სავსებით გასაგებია. განია ჩემპიონატია, ელექტროენერგია კი არ არის. ამ დროს გულშემატკივარმა ყველაფერი შეიძლება მოიმოქმედოს. არაა გამორიცხული, სისხლიც დაღვაროს, მაგრამ საკითხავია რატომ? გამწარებულ ადამიანს მართლაც ყველაფრის ჩადენა ძალუძს. ამის მიზეზი კი თელასის ჩამრთველ-გამომრთველი და მავანთა ბოროტმოქმედება იქნება.

დიახ, ბოროტმოქმედება, რადგან ფეხბურთის მატჩების დროს გულშემატკივართათვის ელექტროენერგიის წართმევას სხვას ვერაფერს უწოდებ.

ასე რომ, თელასელებო, გაიმეტეთ შუქი გულშემატკივართათვის. ხომ შეიძლება, მართლაც დატრიალდეს ტრაგედია? ამ შეჭირვებულ ცხოვრებაში მსოფლიოს ჩემპიონატის ხილვის ბედნიერებას მაინც ნუ წაართმევთ ადამიანებს.

ისიც ხომ შეიძლება, რომ უშუქობით გაგულისებულნი (არ აქვს მნიშვნელობა, ნუცუბიძელები იქნებიან თუ ოქროსუბნელები) ბოროტებაში ეჭვმიტანილ თელასის თანამშრომლებს ფიზიკურადაც გაუსწორდნენ? ეს ნურავის გაუკვირდება. გავიხსენოთ რამდენიმე წლის წინანდელი თბილისური რეალობა — განა იშვიათად მომხდარა ნერვებმოშლილ ხალხს მეშუქეები რომ უცემია?

იცით, რა მოხდა გუშინწინ ინდონეზიაში?

მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნამდე წუთებიღა რჩებოდა. ჯაკარტის ერთ-ერთი უბნის ქომაგები კინოთეატრში შეკრებილიყვნენ და სანატრელი სანახაობის დაწყებას უცდიდნენ. თავდაპირველად ყველაფერი მშვიდობიანად მიმდინარეობდა — შუქიც იყო და ფეხბურთიც, მაგრამ პირველი ტაიმის შუაგულში შენობა ჩაბნელდა. სიტუაცია დაიძაბა, თუმცა ათ წუთში ელექტროენერგიის მიწოდება აღდგა. თითქოს ხალხი არ უნდა გაავებულიყო, მაგრამ...

— ისინი თავს დაგვესხნენ! დანებით, ჯოხებით, ქვებით, ჩაქუჩებითაც კი! მათთვის რომ შეგეხედათ, იფიქრებდით, საგიჟეთიდან გამოიქცნენო. ისინი ჭკუაზე არ იყვნენ და შიშს გვგვრიდნენ — სწორედ ასე განუცხადა ერთ-ერთმა დაშინებულმა ადგილობრივმა მეშუქემ, შემთხვევის ადგილზე მისულ სამართალდამცავებს. პოლიციელები შენობას კი მიუახლოვდნენ, მაგრამ იგი ძლივს იცნეს — კარ-ფანჯრები ჩამსხვრეულიყო, ეზო გავერანებული, ერთი სიტყვით არცთუ სასიამოვნო სურათი იყო.

მართლაც შეუძლებელია, ასე სასტიკად მოექცე ადამიანებს, რომლებიც მთელი ოთხი წელი ელოდნენ მსოფლიოს ჩემპიონატს. დაფიქრდით, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს გულგრილობას.

ანალოგიური შემთხვევა ბანგლადეშშიც მოხდა. ორი ათასამდე ქომაგს დაბა სებას ცენტრალურ მოედანზე მოეყარა თავი. დაიწყო თუ არა რეპორტაჟი პარიზიდან, დენიც გამოირთო. წარმოიდგინეთ, რა დღე დაადგებოდათ იქაურ ენერგეტიკოსებს. გაბრაზებული ფანები მალევე დააშოშმინეს — იქაურობა კვლავ განათდა, მეორე დღეს (ესე იგი, გუშინ) კი ბანგლადეშის პრემიერ-მინისტრმა შეიხ ჰასინამ მომხდარი რომ შეიტყო, ქვეყნის ცენტრალური ელექტროსადგურების მუშაკებს სასტიკად უსაყვედურა, ამასთანავე, კატეგორიულად მოსთხოვა მსოფლიოს ჩემპიონატის დროს მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა.

დიახ, ზოგიერთ ქვეყანაში უშუქობით შეწუხებულ გულშემატკივართა ბედზე ხელისუფალნიც ფიქრობენ, ჩვენთან კი...

სარბიელის არქივიდან

ჰაჯის გარჯა თანაგუნდელმა ჩიპომ წყალში ჩაუყარა. წამიც და ჩემპიონატის პირველი ავტოგოლი გავა

REUTERS ბორდოდან

ფაბრიციო რავანელის და გუნდის გზა გაიყო

რავანელები ავად გამხდარან

წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატი ერთი რამით არის გამორჩეული — ტრავმების გამო იგი რამდენიმე ვარსკვლავს მოისაკლისებს. ეს ტენდენცია, რალა თქმა უნდა, არც ფეხბურთელებისთვის, არც მსოფლიოს პირველობისთვის და, მით უმეტეს, არც გულშემატკივრებისთვისაა სასურველი. ყველაზე მეტად ამ მხრივ იტალიის ნაკრებმა იზარალა: ანჯელო პერუცი, ჩირო ფერარა, ალესანდრო დელ პიერო და მორენო ტორიჩელი პირველ შეხვედრას გამოტოვებენ. ჩეზარე მალდინის დიდი პრობლემები გაუჩნდა, რომლებსაც, მისდა სავალალოდ, კიდევ ერთი — ფაბრიციო რავანელი დაემატა. „ძალიან ვწუხვარ ფაბრიციოს გამო. იგი ოთხი წელი ელოდა ამ დღეს და თავდაუზოგავადაც შრომობდა, მაგრამ რას იზამ, ყველაფერი ხდება, ჩვენ კი მოსაცდელი დრო აღარ გვაქვს“ — განაცხადა აპენინელთა თავკაცმა და ნაკრებში სასწრაფოდ იხმო პარმელი ენრიკო კიეზა, რომელსაც, ალბათ, გული უგრძნობდა, რომ რაღაც მოხდებოდა: „ბოლო ორი კვირის განმავლობაში სერიოზულად ვვარჯიშობდი. ნურავინ იფიქრებს, რომ ფორმაში არ ვარ. ყველაფრისთვის მზად გახლავართ და თუ საშუალება მომეცემა, ამას აუცილებლად დავამტკიცებ“.

რაც შეეხება დაზარალებულ რავანელის, იგი სამშაბათ დილით საგანგებო კონფერენციას არ დაესწრო, რის შემდეგაც მას დაუკავშირდნენ და გაირკვა, რომ ჭაღარა ფორვარდს მაღალი სიცხე ჰქონია. ფაბრიციო სასწრაფოდ მოინახულა გუნდის ექიმმა, რომელმაც მას სათანადოდ უწამლა, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. ფეხბურთელმა შეიტყო, რომ მისი სამი წლის ვაჟი ლუკა ანგინისა და ყელის ძლიერი ტკივილების გამო საავადმყოფოში მოეთავსებინათ. მთავარი ჯერ კიდევ წინ იყო — მალე უფროს რავანელისაც იგივე სიმპტომები აღმოჩნდა და ნათელი გახდა: იგი მსოფლიოს ჩემპიონატზე ვეღარ ითამაშებდა. „სკუადრა აძურას“ ხელმძღვანელობამ უმალ მიმართა ფიფას ანალოგიური შემთხვევების შემსწავლელ კომისიას და შეცვლის უფლება ითხოვა. ფიფას წარმომადგენელთა ვერდიქტი ასეთი იყო — რავანელი სერიოზულად არის ავად. აქედან გამომდინარე, მარსელის „ოლიმპიკის“ ლიდერი ახალგაზრდა ენრიკო კიეზამ შეცვალა.

ასე დასრულდა ეს გულსატკენი ისტორია. გულსატკენი რავანელისა და მისი ქომაგებისთვის, თორემ კიეზა, ვინ იცის, როგორ ხარობს. 29 წლის ფაბრიციო კი თანამემამულე პერუცისა და ფერარას, ბრაზილიელ რომარიოს, ხორვატ ბოქშიჩის კომპანიას შეუერთდება და სანუგეშოდ იტალიელთა კაპიტანის პაოლო მალდინის სიტყვები თუ დარჩება: „ყველას გული გვტკივა, რადგან ვიცოდით, თუ როგორ სურდა რავანელის საფრანგეთში თამაში და თავის გამოჩენა. მინდა, მთელი გუნდის სახელით გუთხრა მას — ჩვენ შენ დიდ პატივს გცემთ და ძალიან გვიყვარხარ“.

ფრეინდის იძულებითი შვებულება

როგორც „სარბიელიდან“ შეიტყვეთ, ტრავმებმა გერმანიის ნაკრებსაც შეახლინა თავი. მართალია, კრისტიან ციგესა და ტომას ჰელმერს უკვე დაეტყოთ გამოჯანმრთელება და ალბათ პირველ შეხვედრაშიც მიიღებენ მონაწილეობას ამერიკელთა წინააღმდეგ, მაგრამ ამჯერად სხვა, გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი, დორტმუნდის „ბორუსიის“ ნახევარმცველი შტეფან ფროინდი დაშავდა. მან ნაკრების უკანასკნელ ვარჯიშზე მარჯვენა ფეხის კუნთი დაიჭიმა და ექიმების განცხადებით, სარეაბილიტაციოდ დაახლოებით ათი დღე დასჭირდება. გერმანელთა გუნდის წარმომადგენელმა ვოლფგანგ ნიერბახმა აღნიშნა, რომ ფეხბურთელი ხუთი დღის განმავლობაში ვარჯიშს ვერ შეძლებს, ხოლო შემდეგი ხუთი დღე მან ფორმის აღდგენას და გუნდთან ერთად წვრთნას უნდა მოანდომოს. რა თქმა უნდა, ეს დიდი დანაკლისი იქნება მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებისთვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ არ უნდა გაუჭირდეთ აშშ-ს საშუალო დონის ნაკრების დამარცხება, მით უმეტეს, რომ ისინი გახსნილად აცხადებენ თავიანთ სანუკვარ მიზანს — ტურნირის მეოთხედ მოგებას. ვნახოთ ყველაფერი მალე გაირკვევა. მანამდე კი შეგახსენებთ, გერმანელთა პირველი შეხვედრა აშშ-თან 15 ივნისს საფრანგეთის დედაქალაქში გაიმართება.

მობი ოპარაკუ

ოპარაკუ ჰოპლა...

ნიგერიის ნაკრების მარჯვენა მცველი იერო შაკპოკე, რომელმაც ამას წინათ ჰოლანდიის ნაკრებთან გამართული ამხანაგური მატჩის დროს მხრის ტრავმა მიიღო, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვეღარ ითამაშებს. მის ნაცვლად ნაკრებში მობი ოპარაკუ გამოიძახეს. ბელგიის მეორე დივიზიონის „კაპელენში“ მოთამაშე შაკპოკეს გარდა, ნიგერიელებს კიდევ ორი წამყვანი ფეხბურთელი — დანიელ ამოკაჩი და ნვანკო კანუ ჰყავთ დაშავებული, მაგრამ „სუპერარწივების“ ერთ-ერთი წარმომადგენლის — აუსტინ მგბოლუს განცხადებით, საფრანგეთი 98-ის პირველ შეხვედრაში ესპანელთა წინააღმდეგ ორივე მიიღებს მონაწილეობას.

ფეხბურთი მართლაც მსოფლიოს თამაშია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ, ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებულ ხალხს, ხშირად არ გვესმის იმ ადამიანებისა, ვისაც ეს თამაშში არ აინტერესებს და არც მის უთავბოლოდ ლანძღვა-გინებას ერიდება. აქაოდა ეგ თქვენი ფეხბურთი დიდი ვერაფერი სანახავია, მე ბუნებაში მშვიდად ყოფნა და ჩიტების ჭიკჭიკის მოსმენა მირჩევნიაო. რას იზამ, ყველას აქვს უფლება, თავისი (თუნდაც სხვებისთვის ძნელად გასაგები) აზრი ჰქონდეს. მაგრამ ერთში, ალბათ, ყველა დაგვეთანხმება — მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში, ოთხ წელიწადში ერთხელ რომ იმართება, მთელი დედამიწის ზურგზე მილიარდობით (!) გულშემატკივრის გულს იპყრობს და ამასთან ჩიტების ჟღურტული, აბა, რა მოსატანია. მაგალითად აზიის ბოგანო ქვეყანა ვიეტნამიც იკმარებს. ამათი ეროვნული გუნდი საფრანგეთში საერთოდ ვერ მოხვდა და მსოფლიოს უპირველეს სპორტულ სანახაობაზე, ალბათ, ვერც ვერასოდეს ითამაშებს, მაგრამ ამ დღეებში ვიეტნამი ფეხბურთმა წალეკა.

ქვეყნის გამოჩენილი თეატრის დირექტორი და მსახიობი დან ჰონგ განგი იმდენად ჩაუთრევია სამსოფლიოს-ჩემპიონატო გაწამაწიას, რომ მან 12 ივლისამდე სტუდია დახურულად გამოაცხადა და საფეხბურთო რეპორტაჟების მშვიდად საცქერლად მოემზადა. თეატრის შესასვლელში გამოკრული გიგანტური წარწერა იუწყება: „ფეხბურთის საყურებლად შეგიძლიათ შემობრძანდეთ, მაგრამ თუ სპექტაკლის ხილვა გსურთ, უკან გაბრუნება მოგიწევთ“. განგმა ესეც არ იკმარა და უკეთესი განწყობისათვის გრძელი თმები თავისი უსაყვარლესი ფეხბურთელის, რობერტო ბაჯოს დარად დაიწნა.

— კაცი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის დროს მუშაობს, გიჟად მიმაჩნია. ამიტომ დავხურე ჩემი სტუდია. არ გეგონოთ, ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ საფრანგეთის ცხელ მინდვრებზე ბრძოლები მხოლოდ ერთ თვეს გასტანს, თუ საჭირო გახდა, ფეხბურთის გამო თეატრის ერთი წლის გაუქმებასაც არ მოვერიდები — ამბობს ვიეტნამელი ხელოვანი, რომელიც ითხშაბათ საღამოს ტელეეკრანს ისე გაფაციცებით მისჩერებოდა, ვერც კი შენიშნა, ცხელმა ჩაიმ ხელები რომ დაუწვა.

— სტუდია იმიტომ დავხურე, რომ ფეხბურთი უზომოდ მიყვარს. დარწმუნებული ვარ, ვიეტნამში ძალიან ბევრი გამიგებს და მათ ყველას ჩემს სტუდიაში თამაშების სანახავად ვეპატიჟები — „ხალხის არტისტი“, როგორც მას ვიეტნამში უწოდებენ, ფეხბურთის ფანის ტიპური განსახიერებაა. განგს უდიდესი დამსახურება მიუძღვის ამ აზიური ქვეყნის კულტურის განვითარებაში. მას დღემდე 300-ზე მეტი პიესა შეუქმნია და ვიეტნამელი ხალხის უსაყვარლეს მსახიობადაც ითვლება.

საფეხბურთო ციებ-ცხელებამ ქვეყნის დედაქალაქი ჰანოი დიდი ხანია, შეიპყრო. ოთხშაბათ საღამოდან მოყოლებული ხუთშაბათ დილამდე ასიათასობით გულშემატკივარი გამოეფინა ქუჩებში და უდიდესი ზარ-ზეიმით აღნიშნა საფეხბურთო დღესასწაულის დაწყება. რესტორნებსა და კაფეებში ტევა აღარ იყო. ხალხი ყველგან იკრიბებოდა, სადაც კი ტელევიზორს მოჰკრავდა თვალს. ტროტუარებზე, მოედნებსა და ქუჩების გასწვრივ მდებარე სახლების ფანჯრებში ცისფერი ეკრანები ციმციმებდა, ისინი მხოლოდ ფეხბურთს უჩვენებდა და ნებისმიერ მსურველს შეეძლო ამ სანახაობით დატკბობა.

ერთ-ერთ ელექტრონულ მაღაზიაში თანამშრომლებმა და მათმა მეგობრებმა იაპონიიდან ახალმიღებული გრანდიოზული ტელევიზორები გახსნეს და დილამდე თვალი ვერ მოაშორეს.

2000-მდე წელზემოთ შიშველი ფანი ქალაქის ცენტრში მდებარე საგამოფენო დარბაზში შეიკრიბა და უდიდესი ეკრანის წინ ცეკვა-თამაში გამართა. ისინი ოვაციებით შეხვდნენ 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნას, ხოლო ბრაზილია — შოტლანდიის მატჩის დროს შენობა ლამის დაანგრიეს.

მსოფლიოს ჩემპიონატმა ჰანოის ზოოპარკის ბინადრებიც შეაივწროვა. აქ მომუშავე პერსონალმა საბრალო სპილოები და ლომები სხვა ცხოველებთან ერთად კუთვნილი გალიებიდან შედარებით მომცრო სამყოფელში მიაბრძანა, ხოლო გამოთავისუფლებულ ტერიტორიაზე დიდი ეკრანები დააყენა. თამაშების დაწყებამდე ფანებს პოპულარული ვიეტნამელი მომღერალი ართობდა, რომლის ჩაცმულობამაც იქ დამსწრე მამაკაცთა უმეტესობას ფეხბურთი ლამის საერთოდ დააავიწყა.

ეს ორი ადგილი მსოფლიოს ჩემპიონატის განმავლობაში ჰანოელი გულშემატკივრების თავშეყრის ცენტრად გადაიქცევა. ქვეყნის ხელმძღვანელებმა წინასწარ აღუთქვეს მათ, რომ საფეხბურთო მატჩების რეპორტაჟების დროს ელექტროენერგიის მიწოდება არ შეწყდება. თუმცა ეს სავსებით რეალურია, რადგან ორი კვირის წინ ჰანოის მახლობლად მდებარე ელექტროსადგურის რეზერვუარში წყლის დონემ კრიტიკულ ზღვარს დაბლა დაიწია.

ოთხშაბათს გაზეთმა „ლაო დონგმა“ ქვეყნის მცხოვრებლებს ამცნო, რომ დედაქალაქის ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტი მათ მსოფლიოს ჩემპიონატს დაწყებასთან დაკავშირებით სიურპრიზს უმზადებს და ერთი თვის განმავლობაში ტელეფონით უფასოდ სარგებლობის უფლებას აძლევს. არადა, ერთი სატელეფონო ზარის სატარიფო ღირებულება 1000 დონგია (8 ცენტი). კიდევ ერთი გაზეთის, „კო მუნგის“ ცნობით, ბაჩ ლონგ ვის („თეთრი დრაკონის კუდი“) კუნძულზე მცხოვრებმა გვარდიელებმა და მეთევზეებმა დიდი რაოდენობით საწვავი მოიმარაგეს, რათა დენის გამორთვის შემთხვევაში გენერატორების საშუალებით მაინც უყურონ თამაშებს.

გაზეთები ათასგვარი რჩევა-დარიგებითაა აჭრელებული. ორშაბათს „ჰანოი მოიმ“ (ახალი ჰანოი) გულშემატკივრებს მოუწოდა, ზედმეტად არ გადაიტვირთოთ თავი მატჩების ხილვით, ვინძლო ამან გავლენა არ იქონიოს თქვენს საქმიანობაზეო. გაზეთის აზრით, ხალხი ღამის ქურდებსაც უნდა ერიდოს, რომლებიც უეჭველად შეეცდებიან, შექმნილი მდგომარეობა თავიანთი შავბნელი საქმისათვის გამოიყენონ.

„ჰანოი დეიმ“ კი მკითხველებს უამბო, როგორ ესტუმრა ერთ-ერთი ფანი დედაქალაქის ცირკს (რა თქმა უნდა, ამ შენობაშიც დიდი ეკრანი იყო დამონტაჟებული) მცირეწლოვან შვილთან ერთად და იქედან ბრაზილიელების გამარჯვებით გულგახარებული გამოვიდა.

— ჩემი პირშუო სულ რაღაც თვრამეტი თვისაა, მაგრამ ფეხბურთზე მაინც წავიყვანე, რადგან ეს თამაში მამაზე მეტად უყვარს — უთქვამს ამ გულშემატკივარს.

დიახ, ფეხბურთის გამო ასეთი ამბებიც ხდება. თანაც სად — ღარიბ-ღატაკ ვიეტნამში. ამის მერე მავანი ადგება და იტყვის, ჩიტების ჟღურტულიო...

ბლაჟევიჩი გეგმებს აწყობს

გაზეთი ამბობს: ხორვატიის ნაკრებში საკადრო ცვლილებებია

ხორვატიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი მიროსლავ ბლაჟევიჩი პირველი სამსოფლიოსჩემპიონატო მატჩისთვის ემზადება და იამაიკელთა წინააღმდეგ სრულიად სახეცვლილ გუნდს გაიყვანს. მისი უპირველესი საზრუნავი, რაღა თქმა უნდა, ალენ ბოქშიჩის შემცვლელის პოვნა იყო, მაგრამ, ეტყობა, ბლაჟევიჩმა ეს პრობლემა გადაჭრა და, როგორც ამბობს, საკმაოდ კარგადაც. „შუკერის მეწყვილედ „პარმას“ ნახევარმცველი მარიო სტანიჩი მესახება. ვფიქრობ, ეს იდეალური დუეტი იქნება, რომელიც მეტოქის მცველებს გვარიან თავსატეხს გაუჩენს. სტანიჩით ზურგმომაგრებული შუკერი თავის ნიჭს ბოლომდე გამოავლენს“. ბლაჟევიჩმა, რომელმაც მსოფლიოს პირველობის ფინალისტებად თავისი გუნდი და მასპინძლები, საფრანგეთის ნაკრები დაასახელა, ისიც აღნიშნა, რომ „ვალენსიას“ თავდამსხმელის გორან ვლაოვიჩის თამაშით უკმაყოფილოა — იგი შუკერთან ერთად რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრაში მონაწილეობდა.

ხორვატთა თავკაცი იამაიკის ნაკრებთან მატჩში წინწაწეული სტანიჩის ადგილას ზაგრების „კროაციის“ 22 წლის ნახევარმცველის დარიო სიმიჩის გამწესებას აპირებს. ამ ფეხბურთელს მძიმე სამუშაო ელის, რადგან დაცვასაც უნდა მიხედოს. აი, აქ კი სერიოზული პრობლემებია — დაშავებულნი არიან „დერბი ქაუნთის“ მცველი იგორ სტიმაჩი და ევერტონელი სლავენ ბილიჩი, რომელმაც ტრავმა მაისში სლოვაკებთან გამართულ ამხანაგურ თამაშში მიიღო. „ყველაფერი ბილიჩზეა დამოკიდებული. თუ იგი მომჯობინდება, ხომ კარგი თუ არა და... მოკლედ, შაბათამდე უნდა მოვიცადოთ. იმედი მაქვს, სლავენი იმედებს არ გაგვიცრუებს“ — განაცხადა ბლაჟევიჩმა. საერთოდ, როდესაც ეს ორი ფეხბურთელი ჯანზეა, ისინი მარჯვენა ფლანგს აკონტროლებენ — ლიბერიდან ბილიჩი ირჯება, ხოლო მის წინ სტიმაჩი.

ხორვატიის ნაკრების თავკაცს არც „ჰაიდუკის“ ახალგაზრდა ნახევარმცველი იგორ ტუდორი დავიწყებია, რომლის შეძენაც თურმე თვით ტურინის „იუვენტუსს“ სურს. მწვრთნელის თქმით, გამოუცდელობის გამო 14 ივნისის შეხვედრაში ტუდორი ძირითად შემადგენლობაში, ალბათ, ვერ მოხვდება.

მოკლედ, ბლაჟევიჩი გეგმებს აწყობს და მომავალსაც იმედიანად შეჰყურებს. „რეგი ბოიზების“ დამარცხება ხორვატებს არ უნდა გაუჭირდეთ, თუმცა დაველოდოთ კვირას.

დავიდი და ემე

ტრეზეგე (მარცხნივ) „მონაკოს“ ლიდერია, ნაკრებისა კი ჯერ ვერა

სპორტიელის არქივიდან

— მზად ვარ, ნაკრებში ვითამაშო. საამისოდ ყველანაირი პირობა გამაჩნია, მაგრამ მწვრთნელი რატომღაც ყოყმანობს. მესმის მისი, მას თავისი ტაქტიკა აქვს, სხვანაირად უყურებს გუნდს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნაკრებში ფეხბურთელებიც არიან, ხალხი, რომელთაც თამაში სწყურიათ — საფრანგეთის ნაკრების ყმაწვილკაც ფორვად დავიდ ტრეზეგეს გულისთქმა ადვილი მისახვედრია.

...ზუსტად ორი წლის წინ ახალგაზრდა ყმაწვილმა „მონაკოსთან“ კონტრაქტი გააფორმა. არადა, მანამდე იგი პსჟ-ს დაეწუნებინა. პარიზელები არჩევანში რომ შეცდნენ, ტრეზეგემ ეს დაამტკიცა, თუმცა სურვილი, ეთამაშა საფრანგეთის ნაკრებში ჯერჯერობით არ აუხდა. არა, ქვეყნის ღირსება მან პირველად ამასწინათ დაიცვა ფინელებთან ამხანაგურ მატჩში (სხვათა შორის, შეცვლაზე შესულმა გოლიც გაიტანა), მაგრამ მას საფრანგეთის ნაკრებში თამაში ოფიციალურ შეხვედრებში სურდა და არა ამხანაგურში.

— ვიცი, რომ ნაკრებში ჩემზე გამოცდილებიც არიან, მაგრამ ეს არ მაშინებს. თავის დროზე მათაც სწორედ ჩემნაირად დაიწყეს. ისინიც გამოუცდელნი გახლდნენ, მაგრამ არ შეეპუენ წინააღმდეგობას და თავისი მაინც გაიტანეს. ვგონებ, მეც ასე მოვიქცევი. წინაღობანი აუცილებლად უნდა დავძლიო. გულში მწამს, რომ შემიძლია ღირსეული თამაში. მერწმუნეთ, გულით მინდა მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიბრწყინო — ესეც ტრეზეგეს სიტყვებია.

ამოვა თუ არა მსოფლიოს ჩემპიონატზე დავიდ ტრეზეგეს ვარსკვლავი, არავინ იცის, ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ მას ჯერაც დასამკვიდრებელი აქვს გუნდში ადგილი. დაახლოებით წლინახევრის წინ იგი თავის კლუბში სათადარიგო იყო, თუმცა მუხლჩაუხრელი შრომით ბევრს მიაღწია, საწადელიც აისრულა და კლუბის ძირითადშიც დამკვიდრდა, თუმცა ნაკრებში ვერა და ვერ მოხვდა.

— ბოლო ხანებში გუნდმა ცუდად ითამაშა, რაც შეუმჩნევლად ვერ ჩაივლის. ვფიქრობ, ნაკრების უსახური გამოსვლები ძირითადი მოთამაშეების გადაღლის ბრალია. უბრალოდ აუცილებელია, ქვეყნის პირველი გუნდის მაესური სხვა, ახალგაზრდა მოთამაშეებმაც მოირგონ. ტრეზეგე თავისას არ იშლის, ჟაკე კი ნაკრების ძირითადში ადგილს არ ანდობს.

ფრანგთა პირველი მეტოქე სამხრეთი აფრიკაა. არაა გამორიცხული, ემე ჟაკემ ტრეზეგე შეცვლაზე ათამაშოს, თუმცა ეს მხოლოდ და მხოლოდ ვარაუდია. ჯერჯერობით კი ყმაწვილკაც დავიდი თავის შანსს ელის.

ᲓᲘᲔᲒᲝ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ...

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი არგენტინის ნაკრები სენტ ეტიენშია დაბანაკებული. როგორც გახსოვთ, არგენტინელებმა და მათმა თავკაცმა დაწიელ პასარელამ მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი არცთუ სახარბიელოდ დაიწყეს, მაგრამ დროთა განმავლობაში მათ მობილიზება მოახერხეს, თამაშის ხარისხი გაუმჯობესეს და საკუთარი ამბიციები ამბიციებადვე არ დატოვეს — პასარელას გუნდმა შესარჩევი ტურნირის ბოლო ეტაპი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და ჯგუფში პირველი ადგილიც დაიკავა. ამას მოჰყვა ამხანაგური მატჩების მთელი სერია. სამხრეთამერიკელები თითქმის ყველა სათამაშო სტილის თუ ხელწერის გუნდს შეხვდნენ და საკუთარი გულშემატკივრების იმედები კიდევ უფრო განამტკიცეს — ექვსი ამხანაგური თამაშიდან ხუთი მოიგეს და მხოლოდ ერთში დამარცხდნენ. ამ ერთადერთმა მარცხმა ქვეყანაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, არგენტინელებს ხომ არც მეტი, არც ნაკლები ისრაელის უსახურმა ნაკრებმა სძლია. ის იყო, კრიტიკისა და ვნებათაღელვის ტალღა კვლავ უნდა დასტყდომოდა თავს პასარელას, მაგრამ ამ უცნაურმა კაცმა თავის ოპონენტებს ისეთი პასუხი გასცა (თანაც საქმით), რომ ყველამ, ვინც კი მისთვის საგინებელ სიტყვებს არ იშურებდა, ენას კბილი დააჭირა — ბატისტუტამ და კომპანიამ ბრაზილიაში, იქაურთა სათაყვანებელ „მარაკანაზე“ თავის მოსისხლე მტერი, ბრაზილიის ნაკრები პირღია დატოვა. ეს უკვე გმირობის ტოლფასი იყო და კმაყოფილი მწვრთნელი და მისი შეგირდები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სენტ ეტიენში დაბანაკდნენ.

10 ივნისს, მაშინ როდესაც სენ დენიში და მონპელიეში საფრანგეთი 98-ის პირველი მატჩები მიმდინარეობდა, არგენტინელები უკანასკნელ ამხანაგურ მატჩს მართავდნენ. მათი მოწინააღმდეგე ამავე ქვეყნის რეგიონალური კლუბი „რენატო სეზარინი“ იყო. საკუთარი გულშემატკივრების გულის გასახარად და გერმანიისა და ბრაზილიისგან განსხვავებით, რომლებმაც უკანასკნელი ამხანაგური მატჩები სამარცხვინოდ ჩაატარეს, მათ ამ შეხვედრაზეც მაღალი დონე აჩვენეს და გაიმარჯვეს 6:0. სამი გოლი ნაკრების საუკეთესო გოლეადორმა გაბრიელ ბატისტუტამ გაიტანა, ორი ხუან ვერონმა, ხოლო ერთი მარაკანული ტრიუმფის სულისჩამდგმელმა კლაუდიო ლოპესმა. არგენტინელთა შემადგენლობა ამ მატჩში ზუსტად ისეთი იყო, როგორიც 29 აპრილს ბრაზილიელთა წინააღმდეგ, მხოლოდ მეკარე იდგა სხვა — დაშავებული ხერმან ბურგოსის ნაცვლად, კარს კარლოს როა იცავდა. და კიდევ: პასარელამ მხოლოდ ერთი შეც-ვლა გააკეთა შვეიცარიის „ლუგანოში“ მოთამაშე ნელსონ ვივასი ტენერიფელი პაბლო პასით შეცვალა.

არგენტინის ნაკრები პირველ სამსოფლიოჩემპიონატო შეხვედრას 14 ივნისს, კვირადღეს, ტულუზაში გამართავს იაპონელებთან. ფეხბურთელები მშვენიერ ხასიათზე არიან, მოწინააღმდეგეც სუსტი ჰყავთ, მიზნებიც სერიოზული აქვთ და ჯიგარიც არ აკლიათ. მართალია, დიდი დიეგო საფრანგეთის მინდვრებზე აღარ იქნება, მაგრამ არა უშავს, არგენტინელებმა 1986 წელსაც ბოლო ამხანაგური მატჩი „რენატო სეზარინისთან“ გამართეს...

პასარელას თავისი ოპონენტები ჯერჯერჯერობით დადუმებული ჰყავს

სპორტიელის არქივიდან

ᲓᲝᲞᲘᲜᲒᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲦᲘᲐ

მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ორი მატჩის: ბრაზილია — შოტლანდიის და ნორვეგია — მაროკოს დასრულების შემდეგ ერთბაშად რვა ფეხბურთელს (თითო გუნდიდან ორ-ორს) დოპინგ-კონტროლი ჩაუტარდა. ფიფას ერთ-ერთი წარმომადგენლის კეიტ კუპერის განცხადებით, მოთამაშეთა საბედნიეროდ, ტესტის პასუხები უარყოფითი აღმოჩნდა. ესენი არიან ბრაზილიელთა მეკარე კლაუდიო ტაფარელი და მცველი გონკალვეში, შოტლანდიელთა კაპიტანი კოლინ ჰენდრი და ფორვარდი სკოტ ბუთი, მაროკოელები აბდერაჰიმ უაკილი და სალაჰედინ ბასირი, ნორვეგიელები ოივინდ ლეონარდსენი და სტალე სოლბაკენი.

მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში დოპინგ-კონტროლმა მხოლოდ სამი მოთამაშე ამხილა: 1974 წელს ჰაიტელი ერნსტ ჟან-ჟოზეფი, 1978-ში შოტლანდიელი ვილი ჯონსტონი და 1994-ში არგენტინელი დიეგო მარადონა.

ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ᲜᲐᲚᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

წინა „სარბიელში“ ჰაიტიში არსებულ ენერგოკრიზისზე ვწერდით, რის გამოც ამ ქვეყნის მცხოვრებლებმა შესაძლოა მსოფლიოს ჩემპიონატის ტელეტრანსლაციები ვერ იხილონ. ოთხშაბათ საღამოს ასეთი უბედურება ბანგლადეშელებს დაატყდათ თავს. ბრაზილია — შოტლანდიის მატჩის დროს ამ აზიური სახელმწიფოს ქალაქებში მოულოდნელად ერთიმეორის მიყოლებით გამოირთო შუქი. გაცეცხლებულმა ფანებმა (მათი რაოდენობა კი რამდენიმე მილიონი იყო) ხელკეტები და ქვები მოიმარჯვეს და იქაურ ენერგეტიკულ სადგურებში მიიჭრნენ.

ᲒᲕᲐᲜᲐᲮᲔᲗ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ!

— როცა რამუში ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდა, მატჩის მეორე ნახევარი მიმდინარეობდა და ვინაიდან იმ დროისთვის ანგარიში 1:1 იყო, ფეხბურთის ქომაგებმა ყოველივე განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვეს. ამის შემდეგ ნამდვილი კოშმარი დაიწყო. გაშმაგებულმა ხალხმა ქალაქის ცენტრალურ ელექტრობლოკს ალყა შემოარტყა და იქაურ თანამშრომლებს ქვები და ათასგვარი საგნები დაუშინა. რომ არა სამართალდამცავთა დროული დახმარება, ვინ იცის, საბრალო ენერგეტიკოსებს რა ელოდათ. ისინი რომ ვერ იგდეს ხელთ, გულშემატკივრები ავეჯს მიდგნენ და იქაურობა ნაცარტუტად აქციეს — განაცხადა ბანგლადეშის ქალაქ რამუს პოლიციის განყოფილების ერთ-ერთმა ოფიცერმა.

არადა, ქვეყნის ოფიციალურმა პირებმა ჩემპიონატის დაწყებამდე ელექტროენერგიის პრობლემის მოგვარება და გაუთვალისწინებელი მოვლენების თავიდან აცილება შესაბამისი ღონისძიებებით სცადეს. ბოლო დღეებში ენერგეტიკის მთავარი განყოფილების საბჭოს თხოვნით ბანგლადეშის არაერთ ქალაქში მაღაზიებისა და სხვა დაწესებულებების მუშაობა საღამოს შვიდი საათისათვის წყდებოდა. ეს აქცია, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ მაცხოვრებლების საკეთილდღეოდ ხორციელდებოდა, რათა მათ საფრანგეთში განვითარებული მოვლენებისათვის მშვიდად და აუღელვებლად ედევნებინათ თვალი.

— პირველი საღამო, რამუში მომხდარი ინციდენტს თუ არ ჩავთვლით, არცთუ ცუდად წარიმართა. ქვეყანას ელექტროენერგია ასე თუ ისე ნორმალურად მიეწოდებოდა. მომავალში კი შეეცდებით, ჩვენი საქმიანობა ნაყოფიერი გავხადოთ და უახლოესი ერთი თვის განმავლობაში მსგავსი შემთხვევები საერთოდ გამოვრიცხოთ — ენერგეტიკის მთავარი განყოფილების საბჭოს ერთ-ერთ წევრს ამბობდა სურს, ხალხს ფეხბურთით მინიჭებული სიხარული არ მოაკლდეს.

ბანგლადეშის მთავრობის განცხადებით, გუშინდელი მოვლენის შემდეგ პოლიცია საგანგებო რეჟიმით მუშაობს და ქვეყნის ყველა მნიშვნელოვან ელექტროსადგურს განსაკუთრებული გულისყურით იცავს. ეს მას შემდეგ გახდა აუცილებელი, რაც ფეხბურთის ფანები სატელევიზიო რეპორტაჟების დროს დენის შეწყვეტის შემთხვევაში ამ ნაგებობების დაწვით დაიმუქრნენ.

ქალაქ რანგპურში მერიამ პოლიციის ძალები არასაკმარისად მიიჩნია და მათ დასახმარებლად სამხედრო გარნიზონებსა და ქვედანაყოფებს უხმო.

ქვეყნის სამხრეთით მდებარე ხულნასა და მის შემოგარენში საგულისხმო რამ მოხდა. ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალის დაწყებამდე ფეხბურთის ფანატიკოსი გულშემატკივრები ადგილობრივ ენერგეტიკოსებს მიუვარდნენ და საკუთარ ოფისებში ჩაკეტეს.

მომხდარის გათვალისწინებით ბანგლადეშის პრემიერ-მინისტრმა შეიხ ჰასინამ ენერგეტიკის მთავარი განყოფილების საბჭოსა და დაკას ელექტროენერგიის მიწოდების ცენტრის წარმომადგენლებს საგანგებო მიმართვა გაუგზავნა, სადაც ამ პრობლემის დაუყოვნებლად გადაწყვეტა მოითხოვა.

ქვეყანაში საგანგებოდ მოწვეული ორი რუსი ექსპერტი ამაოდ ცდილობდა დაზიანებული 210-მეგავატიანი სადგურის შეკეთებას. თუმცა ისინი იმედოვნებენ, რომ რამდენიმე დღეში ყველაფერი მოგვარდება და გულშემტკივრებიც მშვიდად მიუსხდებიან ტელევიზორებს.

ოთხშაბათ საღამოს კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი მოხდა. რუპსაში ელექტროენერგიის უმარისობით გაცხარებული ფანები ქუჩაში გამოცვივდნენ და საცემრად რომ ვერავინ მოიხელთეს, ერთმანეთს დაერივნენ. ჩხუბში ყველაზე მეტად თურმე მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის — ბრაზილიისა და კიდევ ერთი სამხრეთამერიკული გრანდის — არგენტინის ქომაგები აქტიურობდნენ. ერომანეთისაღმი უდიდესი სიძულვილით გამსჭვალულებმა ისე გამალებით იქნიეს ხელკეტები, რომ რამდენიმე შფოთისთავი საავადმყოფოშიც კი მოხვდა.

არ დაგმართნიათ, გონებაგადღლილს რამე შეგშლიათ, მერე, რახან არაფერი გაეჭვებდათ, გადამოწმება, დაფიქრება აღარც გიცდიათ? უამისოდ არ იქნებოდა. შეუმცდარიც აბა ვინაა. მაგრამ შეცდომაცაა და შეცდომაც. ისიცაა, ნათქვამია, მხოლოდ ის ცდება, ვინც საქმეს აკეთებსო. მთლად ეგრეც როდია, ყველაზე დიდი შეცდომა არაფრის კეთებაა, მაგრამ ზოგჯერ ტყუილ მუშაობას ტყუილად ყოფნა სჯობს. ტყუილად ყოფნას და უმოქმედობას ვერავინ დაგვწამებს, მაგრამ გუშინწინ იმდენმა დაგვირეკა და ისე გულშემატკივრულად, კულტურულად გაგვიწყრა, გულის კუნჭულში გულისგულიც გვეტკინა. არადა, ის ხალხი მართალი იყო, ეს უკვე მოერედ სამშაბათის „სარბიელში“ შევცდით.

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საპლეიოფო ბადე შეცდომით დაგვიბეჭდავს და გამაწყრალთა სატელეფონო ზარებიც ამისა იყო.

კაცს ღმერთმა ენა, ჩვენ კი კალამი მისთვის გაუჩინა, სათქმელი ითქვას და დასაწერი დაიწეროს.

შეგვეშალა და ბოდიში გვითქვამს. ბოდიშიც ყოველთვის წამალი როდია. მაგრამ ახლა, მერვედფინალებამდე ორი კვირით ადრე მობოდიშება და შეცდომების გასწორება დროულია.

რა გაეწყობა, ჩანს ზოგჯერ უნდა შეცდე, საქმეს მეტი ყურადღებით რომ მოეპყრო.

პლეი ოფთა სწორ (მესამედ გადამოწმებულ) განრიგს ერთხელაც ვბეჭდავთ.

		მერვედფინალები			
1	B1-A2	მარსელი	27.VI	შაბათი	18.30
2	A1-B2	პარიზი	27.VI	შაბათი	23.00
3	C1-D2	ლანსი	28.VI	კვირა	18.30
4	D1-C2	სენ დენი	28.VI	კვირა	23.00
5	F1-E2	მონპელიე	29.VI	ორშაბათი	18.30
6	E1-F2	ტულუზი	29.VI	ორშაბათი	23.00
7	G1-H2	ბორდო	30.VI	სამშაბათი	18.30
8	H1-G2	სენტ ეტიენი	30.VI	სამშაბათი	23.00
		მეოთხედფინალები			
A	1-3	სენ დენი	03.VII	პარასკევი	18.30
B	2-4	ნანტი	03.VII	პარასკევი	23.00
C	6-8	მარსელი	04.VII	შაბათი	18.30
D	5-7	ლიონი	04.VII	შაბათი	23.00
		ნახევარფინალები			
1	B-C	მარსელი	7.VII	სამშაბათი	23.00
2	A-D	სენ დენი	8.VII	ოთხშაბათი	23.00
		მატჩი მესამე ადგილისთვის			
		პარიზი	11.VII	შაბათი	23.00
		ფინალი			
		სენ დენი	12.VII	კვირა	23.00

გიო ახვლედიანის

სამი სვეტი

სადა ხარ, მალანდრო?

ეი, რას ვფიქრობ — მუსტაფა ჰაჯი ნაღდად ღირსია, რომ „მილანში“ თამაშობდეს. უფრო სწორად, ცოდვაა, მუსტაფა ჰაჯი „მილანში“ რომ თამაშობდეს. რა დრო დაგვიდგა? ვარსკვლავები მაღრიბის მხარეში გამოჩნდნენ.

რაც გინდა დააბრალე მსოფლიო ჩემპიონატს, როგორც გინდა ისე ლანძღე ფიფას დიდმოხელენი, დაიწუნე რამე-რუმეები, მაგრამ ერთს ვერ დაუკარგავ — აქ ფეხბურთელები სხვანაირად ჩანან. აქ მართლაც ვარსკვლავური თამაშია და რამდენიც არ უნდა ირბინოს მუსტაფა ჰაჯიმ „დეპორტივოში“, მსოფლიო ჩემპიონატზე მაინც სხვაგვარად ჩანს.

მრავალ ტრადიციათა შორის მსოფლიო ჩემპიონატზე კიდევ ერთი ტრადიცია მკვიდრდება — ზედიზედ მეორე პირველობაა, რომ გაიბრწყინებს ვინმე ჰაჯი. არა აქვს მნიშვნელობა, სადაურია და რა კანის ფერისა ეს ჰაჯი, მთავარი ის არის, რომ ჰაჯი აუცილებლად გახლავთ შემტევი ნახევარმცველი და ძალიან მოხდენილი გოლები გააქვს. ამერიკაში გეორგე ჰაჯი იყო, საფრანგეთში მუსტაფა ჰაჯია.

არა, გეორგეც აქ არის, მაგრამ ამ ჯერზე არ შეეშვლება თუ ვიტყვი — სხვა ჰაჯის ისმის აქ ქრიამული...

ბოლო დროს მსოფლიო ჩემპიონატების საქმე ისე აეწყო, რომ კაცს უფრო ცალეული ფეხბურთელებით ტკბობა გიწევს, ვიდრე დაადი გუნდების თამაშით. ჯერჯერობით ეს ჩემპიონატიც საცქერლად საამო და გემრიელია, მაგრამ ღმერთმა იცის, რა იქნება მერვედფინალებიდან მოყოლებული. დაძაბულობა, რა თქმა უნდა, მოიმატებს, ნერვები, რა თქმა უნდა, დაგვაწყდება, მაგრამ თამაშის სილაღისა რა გითხრათ? პენალტები რომ გაგახსენდება კაცს, თანაც ბოლო ორი ჩემპიონატისა, აბა კარგ ხასიათზე დადგები?

და მაინც, ვარსკვლავთა გამოჩენას დავუბრუნდეთ. ისინი ყოველთვის გამორჩეული ისერისა და ფერისა იყვნენ, ყოველთვის სხვაგვარად გამოანათებდნენ ხოლმე. აბა როგორ იქნება, არ გაიხსენო ლეონიდას და სილვა, „ფლამენგოს“ ფეხბურთელი, რიოს პლაჟებზე ნაგდები ბიჭი, რომელიც 1938 წელს ფენომენული ჩამოვიდა მსოფლიოს ჩემპიონატზე და იქაურობა დაიპყრო. ლეონიდასმა ჰეთ-თრიქი შეასრულა სტრასბურში, პოლონელთა წინააღმდეგ და დღემდე ერთადერთი კაცია, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატზე ეს საქმე ბუცების გარეშე მოახერხა. დიახ, ლეონიდასს ბუცები არ ეცვა, გეტრებით თამაშობდა და ის გეტრებიც მსოფლიო ჩემპიონატის მკაცრ მესვეურთა დაჟინებული მოთხოვნის გამო ამოიცვა.

ეს იყო 60 წლის წინათ. ლეონიდას და სილვა ჭეშმარიტი დიდი ვარსკვლავი იყო.

და ვინ დათვალოს რონალდოს ბუცები? აჰ, რა მოხდენილი, თეთრით გაწყობილი ბუცები ეცვა იმ დღეს, აჰ როგორ დაუტრიალდა, თავსა დაუარა იმ ურჯულ კოლინ ჰენდრის. აქედანო, იქედანო, სამგზის გააცარა, ოთხგზის თავბრუ დაახვია და ა.შ. და ა.შ. მაგრამ რაც არ უნდა სამწუხარო იყოს რონალდო არ არის ლეონიდასი და არც ზიზინიო.

ძველი ბრაზილიელი ვარსკლავები... მალანდრო... ფაველაში...

განა ეს გვარები და მეტსახელებია? რიო დე ჟანეიროს შემოჯარულ მთებზე ღატაკთა ბარაკების უზარმაზარი „ქალაქი“ გაშენებული. ამ ადგილს ბრაზილიელები ფაველაშს ეძახიან. ფაველაში სახალხო გმირთა და ვარსკვლავთა სამჭედლო იყო. აქ განთავისუფლებულ ზანგ მონათა შთამომავლები სახელდებოდნენ და აქ იშვნენ იქაური ფეხბურთის ლეგენდები. ისინი შავები იყვნენ, ბარაკთა ქალაქში კი მეფობდა მალანდროს სული. მალანდრო კი ბრაზილიური ყოფის განუყოფელი ნაწილი იყო. ამ სიტყვით აღინიშნებოდა უკნარა და უდარდელი ბიჭი, საზოგადო წესრიგის არმიმღები და არმცოდნე, დახელოვნებული სამბას ცეკვაში და ბურთაობაში. სინატიფე და დახვეწილობა მალანდროს მიხრა-მოხრის გარეგნული ეერსახე გახლდათ. გულში კი იყო უდარდელობა და სრული გაუგებრობა სამოქალაქო ცხოვრებისა. ის ლეონიდასი, ის ზიზინიო, ის სხვანი და სხვანი, მანე გარინჩა, დიდი, თვით პელეს მალანდრონი იყვნენ. პელეც დღევანდელი, უაღრესად ციგილური ეერსახე სულაც არ გამორიცხავს მის გულში დაბუდებულ მალანდროს. უნდა გენახათ, რა ხდებოდა, როდესაც დიდმა თეთრკანიანი ცოლი შეირთო. შენ მალანდრო არ ყოფილხარო, შერისხეს დოსტებმა, ქალაქში გინდა იცხოვრო ქვითკირის დიდ სახლში, სადაც ოცი ოთახი მაინც იქნება, ან კი საერთოდ, რა ცოლი აგიტყდა თავისუფლებისათვის შობილ კაცსო.

ეს ადრე იყო, მაშინ, როცა პელე თვეში შვიდასი დოლარის ექვივალენტურ კრუზეიროებს იღებდა თვეში და ერთი პატარა საამქრო ჰქონდა სანტოსის გარეუბანში.

მალანდროები კი თანდათან ქრებიან ბრაზილიური ფეხბურთიდან. უფრო სწორად გაქრნენ კიდეც, რადგან უკანასკნელი დიდი მალანდრო რომარიო ფარიასი გახლავთ.

ის კი, მოგეხსენებათ, ბრაზილიის ნაკრებში არ არის.

მაინც ასე მგონია: ასეთი ხალხის გარეშე ბრაზილია ბრაზილიური ვერ არის, რადგან ფეხბურთი ისაა, რაც ხალხის სულებიდან მოედინება. ცეროდენა ბრიტანელმა ჩარლი მილერმა ბრაზილიაში ბურთი ჩაიტანა და სოკერის ანბანის ფეხით გაცოცხლება რომ დაიწყო, მის გვერდით შავტუხა მალანდრონი აღმოჩნდნენ. გარინჩამ ხეირიანად არც კი იცოდა, ვის წინააღმდეგ თამაშობდა, მას თავისი შვილების სახელებიც კი ერეოდა, მან არ იცოდა, რომ მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელია და პირადად იგებდა მსოფლიოს ჩემპიონატებს.

დღეს ყველამ ყველაფერი იცის: რონალდომ ის, რომ საუკეთესო ფეხბურთელია, რობერტო კარლოსმა ის, რომ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი დარტყმა აქვს... მაგრამ, ო, მაგრამ...

ჭეშმარიტად, სადა ხარ მალანდრო? ჩვენ კი მივუბრუნდეთ გზად შემოყრილ ნორვეგიელებს. მით უმეტეს, რომ ზემოთქმულის მიუხედავად ბრაზილიელები თავიანთ გზას ნახავენ.

ნორვეგია კი, რახან შემოგვეყარა ამ კარგ და გამოჩენილ ქართველებს, გაათკეცებული თვალისბრიალით ვუყურებთ მათ თამაშებს. სანამ ნორვეგიას მივადგებოდეთ, ის კი უნდა გთქვა, რომ ანრი მიშელი ყოველთვის ნაღდი ფეხბურთელი და ნაღდი მწვრთნელი მეგონა და ამაში ახლაც ვრწმუნდები. ოღონდ ეგ არის, რომ მაროკოელთა გამო გადარეგა მაინც არ ეგების, რადგან ამ გუნდისა ყველაფერი მაქსიმუმ ოთხ თამაშზე უნდა იყოს გათვლილი. ასეთ შემთხვევაში კი ხელ-ფეხი რომ უკეთ გეხსნება, ფაქტია. თანაც, მაღრიბელები ორჯერ იგებდნენ და ეს მოსაგები თამაში იყო.

ნორვეგიელთა გამო კი: მე არასოდეს მჯერა კომუნისტების, ამიტომაც არ მჯერა ეგილ ოლსენისა. არ შეიძლება კომუნისტს და თანაც ნორვეგიელს (!) ყველაფერი წესრიგში ჰქონდეს. ეს ერთი და მეორეც, ნორვეგიელთა თამაშს რომ გუყურებდი, ვერაფრით მოვიშორე თავიდან სულელური ფიქრი, რომ მაროკოს ნაკრებს ინგლისის „საუთჰემპტონი“ ეთამაშება. დიახ, სწორედ „საუთჰემპტონი“ და არა რომელიმე სხვა.

ის, რომ ნორვეგიელი ფეხბურთელები პრემიერლიგაში თამაშობენ, ცნობილი ამბავია. ახლა ისიც ცნობილია, რომ როცა ნორვეგიის ნაკრები ვერ აეწყობა, ის ბევრით არაფრით სჯობია საშუალო ინგლისურ კლუბს. ასეთ შემთხვევაში ნორვეგიელებს ბეჭითად ნამეცადინარი სტანდარტული სიტუაციები ეგლინებათ მხსნელად. მათდაგვარ თავურებს მგონი თავად ბრიტანელებიც აღარ ურტყამენ.

მოკლედ, ნორვეგია: რომ გაუჭირდება და არაფერი გამოსდის, იმას მისდევს, რაც დაზეპირებული აქვს

უკანასკნელი დიდი მალანდრო: საღსალამათი რომარიო ნაკრებს გარეთ სწორედ თავისი მალანდროული ხასიათის გამო დატოვეს, მიზეზად კი ტრავმა მოუდეს.

და ამ საქმეში უმართლებს კიდეც, რადგან კარის წინ ამ ვირგლა ბიჭებმა ჰაერის საზომი კარგად იციან.

მე თუ მკითხავთ, ნორვეგიელთა შეტევაში მთავარი პრობლემა პასის პრობლემა იყო. ნორვეგიელებმა ორჯერ ჩაკიდეს გაჩერებული ბურთი საჯარიმო დარტყმიდან და ორჯერვე გაიტანეს. მაროკოელთა კაპიტნის ნურედინ ნაიბეტის ორი საგოლე პასის დარი ნორვეგიელებს არაფერი გაუკეთებიათ. მათი პასები ყოველთვის საჭირო სივრცისკენ კი მიემართებოდა, მაგრამ სიზუსტე კი აკლდა. და კიდევ, მგონია, რომ ნორვეგიელთა ერთ-ერთი პრობლემა მოუქნელობაა. ეს გუნდი ძალიან საშიშია, როცა თავად გკარნახობს პირობებს და უბრალოდ საშიში, როცა შენ კარნახობ პირობებს.

განა შეედრება ეს ნორვეგია თავის სკანდინავიელ მეზობელს, ოდინდელ დანიის გუნდს?

დანიელები კი დღეს იწყებენ მსოფლიო ჩემპიონატს საუდელებთან თამაშით. საუდელებს კი გაუტანიათ ხოლმე ლამაზი გოლები, თუმცა ჩვენის ფიქრით, მსოფლიო ჩემპიონატებზე მაინც არის ხოლმე სამთქნარებელი თამაშები. თუ გახსოვთ, თორმეტი წლის წინათ გერმანია რომ მაროკოს ებრძოდა მეოთხედფინალში გასასვლელად? ქალაქ მონტერეის საუნივერსიტეტო სტადიონზე სულ 19 ათასი კაცი შეყრილიყო და მთქნარებით კვდებოდა. მერე, თამაშის მიწურულს, მაროკოელებმა ვიღაც წააქციეს და ლოთარ მათეუსმაც როგორც იყო გაიტანა.

აი, ასეთი მეოთხედფინალების მეშინია. ხომ გესმით ჩემი?

მალანდრო კი მაინც გვაყლია. განა ფეხბურთი არ ღირს იმად, რომ ჰირგეული ბიჭები მოვითმინოთ? განა ფეხბურთი დიდი რამ არ არის?

და მაინც, ვერ ვიშორებ იმ ფიქრს, რომ პლეიოფებში კარი დაიბეჭდება და პენალტისტების ამარა დავრჩებით.

ფეხბურთის რუკასთან

პოლონეთში ჩემპიონატის ბოლო ტურის უკანასკნელი შეხვედრა გაიმართა — ლოძის „ვიძევმა“ „ოსტროვიეცს“ უმასპინძლა და გაიმარჯვა 2:0. საბოლოოდ პირველი სამეული ასე გამოიყურება: LKS ლოძი (ჩემპიონი) — 66 ქულა, პოლონია — 63, ვისლა — 61. პირველი დივიზიონი დატოვეს „პეტროჩემიამ“, „აგროცლინმა“, „KSZO ოსტროვიეცმა“, „რაკოვმა“. მათ მაგივრად უმაღლეს ლიგაში რაძინოკოვის „რუხი“ და „ბელჩატოვი“ იასპარეზებენ. გაისად პოლონეთის პირველ დივიზიონში 16 გუნდი იქნება.

ესპანურმა „დეპორტივო ლა კორუნიამ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ საფრანგეთის წლევანდელი ჩემპიონის, „ლანსის“ ნახევარმცველის სტეფან ზიანის გადაბირება განუზრახავს. ზიანის საფრანგეთის ნაკრებში ჯერ არც ერთი შეხვედრა არ ჩაუტარებია, ჩემპიონატში კი წლეულს თერთმეტი გოლის გატანა მოახერხა. „დეპორტივოს“ ერთ-ერთი წარმომადგენლის თქმით, ახალგაზრდა ფეხბურთელთან ხუთწლიანი კონტრაქტი გაფორმდება, ხოლო სატრანსფერო თანხა 700 მილიონი პესეტა (4,6 მლნ. დოლარი) იქნება.

არგენტინის ნაკრების მცველმა ხოსე ანტონიო შამოტმა განაცხადა, რომ მადრიდის „ატლეტიკოს“ ხელმძღვანელობას უკვე შეუთანხმდა და მალე ამ კლუბში ითამაშებს. ესპანური რადიოს წარმომადგენლებთან სატელეფონო საუბრისას ფეხბურთელმა თქვა, რომ კონტრაქტი სავარაუდოდ ოთხწლიანი იქნება, ხოლო სატრანსფერო თანხაზე საუბარი არ ისურვა. „საუცხოო რამ მოხდა — გადავდივარ გუნდში, რომელიც ყოველთვის ქვეყნის ჩემპიონობისთვის იბრძვის და უმაღლესი დონის მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული“ — აღნიშნა 29 წლის შამოტმა. ამ ფეხბურთელით „ატლეტიკო“ მას შემდეგ დაინტერესდა, რაც უეფას კასის ნახევარფინალში „ლაციომ“ ესპანური გუნდი ასპარეზობას გამოთიშა. ესპანეთის ჩემპიონატის 1995-96 წლების სეზონის გამარჯვებულმა თურმე „ლაციოს“ მეორე ლეგიონერს, იუგოსლავიელ ვლადიმერ იუგოვიჩსაც დაადგა თვალი.

ინგლისურმა „ბლეკბერნ როვერსმა“ „ნიუკასლიდან“ თავისუფალ ტრანსფერზე მდგომი დარენ პიკოკი გადაიბირა, რომლითაც თურმე „საუთჰემპტონიც“ ყოფილა დაინტერესებული. პიკოკი „ნიუკასლში“ 1995 წელს გადავიდა „ქუინზ პარკ რეინჯერსიდან“ 2,7 მილიონ გირვანქად (4,4 მლნ. დოლარი), მაგრამ გუნდის მაშინდელი თავკაცის, კევინ კიგანის წასვლის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა და ახალ კლუბში გადასვლით ძლიერ კმაყოფილია: „ბედნიერი ვარ, „ბლეკბერნში“ რომ მოვხვდი. საამისოდ ბევრი მიზეზი მაქვს, თუმცა გულიც მწყდება და ვიცი, რომ „ნიუკასლი“ და მისი ქომაგები მომენატრებიან. ბედმა გამიღიმა — ერთი დიდებული კლუბიდან მეორეში აღმოვჩნდი.“ „ბლეკბერნის“ მენეჯერმა როი ჰოჯსონმა თქვა: „მოხარულნი ვართ, რომ ასეთი გამოცდილი და სტაბილური მოთამაშე შეგვემატა. დარენი ნიჭიერი ფეხბურთელია, მოედანზე ბოლომდე იბრძვის და დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონში პრემიერლიგასა თუ უეფას თასზე ძლიერ დაგვეხმარება.“

რუმინული ფეხბურთის ვარსკვლავი, ვეტერანი გეორგე ჰაჯი გაისადაც თურქულ „გალათასარაიში“ აპირებს დარჩენას. 33 წლის ფეხბურთელს, რომელიც რუმინეთის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშედაა მიჩნეული, ნაკრებში ჩატარებულ 111 შეხვედრაში ქვეყნისთვის სარეკორდო — 33 გოლი გაუტანია. რაც შეეხება მის საკლუბო მომავალს, ჰაჯიმ განაცხადა: „გალათასარაიში“ ვრჩები და გუნდის გამოცვლას ჯერჯერობით არ ვაპირებ. მართალია, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ჩემი სანაკრებო კარიერა დასრულდება, მაგრამ ეს ხელს არ შემიშლის, „გალათასარაისთან“ ერთად ზედიზედ მესამედ გავხდე თურქეთის ჩემპიონი.“

შორს არც ევროტურნირები

მართალია, მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში სხვა თემებზე სასაუბროდ არავის სცხელა, მაგრამ უდიდესი საფეხბურთო ბატალიების მიუხედავად, ცხოვრება ჩვეულ რითმში გრძელდება და კაცმა რომ თქვას, არც ევროტურნირებია შორს. გულშემატკივარი, ფაქტობრივად, დასასვენებლად ვერც მოიცლის და მე-16 ჩემპიონატის დასრულებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ევროპის საკლუბო ტურნირების მატჩებზე გადაერთვება. ამ დღეებში უეფაში გამართულ თავყრილობაზე ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე გუნდები დამსახურებების მიხედვით განთესეს. წინა გათამაშების გამარჯვებული მადრიდის „რეალი“ პირველ ნომრად დასახელდა და შემოდგომიდან ახალ გათამაშებაში წინასწარი ეტაპის გაუვლელად ჩებმება. სამეფო კლუბის გარდა კიდევ შვიდ განთესილს შორის იტალიის „იუვენტუსი“, გერმანული „კაიზერსლაუტერნი“, ფრანგული „ლენსი“, ჰოლანდიის „აიაქსი“, ინგლისის „არსენალი“, პორტუგალიის „პორტუ“ და ესპანეთის „ბარსელონა“ მოხვდნენ. აღსანიშნავია, რომ წლევანდელ ტურნირში ესპანეთი სამი გუნდით იქნება წარდგენილი. ამ ქვეყანას პირველ და მეოთხე ნომრად განთესილი „რეალისა“ და „ბარსელონას“ გარდა ჩემპიონთა ლიგაში კიდევ ბილბაოს „ატლეტიკი“ ჰყავს. თუმცა ბილბაელები იტალიის „ინტერის“, გერმანიის „ბაიერნის“, ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედის“, პორტუგალიის „ბენფიკასა“ და სხვა ძლიერი კლუბების მსგავსად მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან (ამ ეტაპის მატჩები 12 აგვისტოს ჩატარდება) იასპარეზებენ.

წლეულს სამივე ევროპულ ტურნირში გუნდების სარეკორდო რაოდენობა — 193 მიიღებს მონაწილეობას. ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩის დამთავრებიდან ათი დღის შემდეგ გაიმართება.

უეფას თასის გათამაშებაში წლეულს 104 გუნდი ჩაებმება. ამ ტურნირის, ისევე როგორც ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრები 22 და 29 ივლისისთვისაა დანიშნული.

დაბოლოს, სამივე ევროპული თასის კენჭისყრა მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრებამდე ექვსი დღით ადრე, 6 ივლისს ჟენევაში მოეწყობა.



LASPAN
ლასფანი
მეტალოპლასტიკის
კარ-ფანჯრები,
ტიხრები, ვიტრაჟები
მისამართი: თბილისი, მექანიზაციის ქ. №1 (სს „ავტომეყოთბლის“ ტერიტორიაზე)
ტ. 66-21-60
8-77-40-17-01

ვიტ ჯორჯია ელგუჯა გუგუშვილი ვეტერინართა გაწვრთნას შეეშვა

პროფესორი წავიდა?!

თავიდან „დიავაქი“, „მორკინალი“, ბოლოს კი „ვიტ ჯორჯია“. ფეხბურთის ქომაგებს კარგად მოეხსენებათ, რომ სამივე სახელი სხვადასხვა დროს ერთ გუნდს უტარებია, იმ ერთი გუნდის მწვრთნელიც აქამდე ელგუჯა გუგუშვილი ყოფილა. კაცი, რომელიც ერთდროულად მრავალ საქმეს სწვდებოდა, ბევრს ასწრებდა, მაგრამ ამქვეყნად ყველაფერს გააჩნია დასასრული. გუგუშვილი ზოოვეტერინარული ინსტიტუტის რექტორად დანიშნეს, მთავრობაშიც ხშირად უწევდა სირბილი. გასული ჩემპიონატი როგორღაც ჩაამთავრა, მაგრამ დღეს მხოლოდ დავალების გადაცემით და კონსპექტებით გუნდს რომ ვერ მოამზადებ, ფაქტია.

გუგუშვილს დრო არ ეყო, არც ადრინდელი ენერგია მოსდევს, ამიტომ მწვრთნელმა თავად გადათქვა ადრე ამოჩემებული სიტყვა — ნუ გგონიათ, რექტორობა და ფეხბურთი ერთმანეთს ხელს შეუშლის, პირიქით, სამუშაოებს ჰარმონიულად შეკვთავსებ, ისე, ყურადღება არც ერთს მოაკლდესო.

ელგუჯა გუგუშვილის ზეობა ფეხბურთში დასასრულს მიუახლოვდა. მწვრთნელი წავიდა. „ვიტ ჯორჯიას“ მისი თანაშემწე, სპარტაკ არჩვაძე გაწვრთნისო. ამ ინფორმაციამ გუშინწინ გამოჟონა, რომელიც მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. ვიტელთა ხელმძღვანელობა გუგუშვილის ამ ნაბიჯს დიდი ხანია, მოელოდა.

ფეხბურთში დავაუკაცებულ-დაღვინებულს, ბურთისა და მწვანე მინდვრის გარეშე გაუჭირდება. ამიტომ ელგუჯა გუგუშვილი კლუბის დირექტორატში აუცილებლად დარჩება, „ვიტ ჯორჯიას“ სხვაგვარად დაეხმარება.

ყველაფერი ზემოთ თქმული ჯერ ოფიციალურად არ გაცხადებულა. გადაწყვეტილება ოფიციალურად 15 ივნისს გამოქვეყნდება, როცა კლუბის შეკრებაზე პროფესორი ელგუჯა გუგუშვილი თავის საბოლოო სიტყვას ბეჭედს დაუსვამს.

მანამდე კი „ვიტ ჯორჯიაში“ ფეხბურთელთა მორიგი ყიდვა-გაყიდვა მიმდინარეობს. ამ პროცესს ყიდვა-გაყიდვა პირობითად თუ ეთქმის, თორემ ჩვენში მიღება-გაშვება უფრო ჰქვია. ვასილ მაისურაძე, რომ „ტორპედოში“ გადავიდა, ადრეც მოგახსენეთ, ახლა გუნდი ნადირაძეს და გოჩაშვილსაც მიუტოვებიათ. ნადირაძის საბოლოო არჩევანი ჯერაც უცნობია, ხოლო ჟომსკის გეზი ახლო უცხოეთისკენ აუღია. ამბობენ, ერთ-ერთ მოლდოვურ კლუბში უპირებენ მოწყობასო.

ვიტელთა ახალ თავკაცს ალბათ, ისევ სამი უერთგულესი მოთამაშის ირგვლივ მოუწევს გუნდის შეკრება. დავით კვლიშვილი, კახა ჭუმბურიძე და კახა დვალიშვილი ის ფეხბურთელები არიან, რომელთაც კლუბის სამივე სახელწოდებიანი მაისური უტარებიათ. მეკარე დავით ჯანელიძე, ალბათ, წავა, რომლის ადგილს ტრადიციისამებრ სათადარიგო და გაჭირვების ტალკვესი კოტე გუგუნავა დაიჭერს. დანარჩენთა ბედი უცნობია. ამბობენ, ზოგიერთის გაშვებას თავად ხელმძღვანელები აპირებენო. ისღა დაგვრჩენია, 15 ივნისს დაველოდოთ. ორშაბათს ყველაფერი საბოლოოდ უნდა გაირკვეს.

მამუკა კვანტალიანი

კოლხეთი ევროთასთა წინ ფოთში ჯერარნახული ფინანსური კრიზისია

ფოთელებს სურვილიღა შერჩენიათ

ვახტანგ ხაინდრავა, „კოლხეთის“ ვიცე-პრეზიდენტი ერთი კვირის წინ დაგვპირდა უახლოეს დღეებში პრეს-კონფერენცია გავმართავთ და თარიღს წინასწარ შეგატყობინებთო.

ფოთელთა ზარის ცდაში არასასიამოვნო ამბავი გავიგეთ — „კოლხეთი“ ლამისაა, დაიშალოსო. სიმართლის დასადგენად ვიცე-პრეზიდენტს შევეხმიანეთ და, სამწუხაროდ, ყველაფერი დადასტურდა. როგორც ხაინდრავამ გვითხრა, ხელფასპრემიებისა და საკონტრაქტო თანხების დავალიანება 90 ათას ლარს შეადგენს. ფეხბურთელები მიმოფანტულნი არიან, სანამ ფულს არ მოგვცემთ, ჩვენი თამაშის იმედი ნუ გექნებათო, ასე შეუთვლიათ „კოლხეთის“ ხელმძღვანელობისთვის.

ჯერჯერობით არაფერია გარკვეული, არც ის, ფოთის პორტი კლუბის სპონსორობას კვლავ თუ იკისრებს. ზღვაოსნებს კი სურთ, „კოლხეთს“ მხარში ამოუდგნენ, მაგრამ მთავარი — საშუალება არა ჰქონიათ (?!). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე კი, სხვა საკლუბო საქმეებზე ლაპარაკი ალბათ უადგილოცაა. ფოთელებს თავისი გასჭირვებიათ. ღმერთმა ნუ ქნას, მომავალ ჩემპიონატში და უეფას თასის მოახლოებულ გათამაშებაზე საერთოდ უკოლხეთოდ დავრჩეთ. არადა, საამისო წინაპირობა, საქმეს დროულად თუ არ მიეხედა, არსებობს.

კობა ინასარიძე

თსუ სტუდენტებს სტიპენდიებს არ უხდიან და იფანტებიან

სტუდენტები რექტორს ელიან

მეცხრე ეროვნული ჩემპიონატი თსუ-მ მეტად მობილური შემადგენლობით დაიწყო. სეზონის წინ გუნდი საპრიზო ადგილისთვის აცხადებდა პრეტენზიას. პირველ წრეში საქმეს ურიგო პირი არ უჭანდა, მაგრამ მერე ყველაფერი აირ-დაირია. გუნდს სერიოზული ფინანსური პრობლემა გაუჩნდა. მიუხედავად ამისა, ფეხბურთელები გაჭირვებას არ უშინდებოდნენ და მინდორზე თავს არ ზოგავდნენ. გაბელიას შეგირდებმა თასის გათამაშების ნახევარფინალშიც გაიკვლიეს გზა. გუნდის მატერიალური მდგომარეობის გამოსწორებას კი საშველი არ დაადგა და სტუდენტებმა რის ვაი-ვაგლახით მერვე ადგილზე ჩამთავრეს სეზონი.

ახალ, მეათე ჩემპიონატამდე კი ორი თველა დარჩა. რამდენიმე გუნდმა უკვე დაიწყო ინტენსიური ვარჯიში, შემადგენლობის გადახალისება-გაძლიერება. თუმცა არიან ისეთებიც, საერთოდ რომ არ შეკრებილან და ჩემპიონატში მათი მომავალი მიზნები კი არა, მონაწილეობის საკითხიც გაურკვეველია. სამწუხაროდ, ასეთი გუნდების ნუსხაში ირიცხება დღესდღეობით თსუ. ამ მიზეზის გამო გუნდის დატოვება რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს გადაუწყვეტია. ერთ-ერთმა მათგანმა, ჯონი შალამბერიძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა:

— რა თქმა უნდა, ჩემი წასვლის მიზეზი გუნდის მატერიალური მდგომარეობაა. რა ხანია, ხელფასები და პრემიები არ აგვიღია. მეორე წრეში ძალიან გაგვიჭირდა, ამიტომაც სეზონის ბოლოს ერთი თამაშიც ვერ მოვიგეთ. პირველ წრეში კი საქმე სულ სხვაგვარად იყო და ეს შედეგსაც ეტყობოდა — ხანდახან კუთვნილ თანხას წინასწარაც გვაძლევდნენ. ჩემპიონატის შემდეგ ქუთაისის „ტორპედოს“ პრეზიდენტი ბესო ჯიქია დამიკავშირდა და კარგი პირობები შემომთავაზა. მეც გამიჩნდა ქუთაისში თამაშის სურვილი. ერთი კვირაა, იქ ვარ და ყოველდღე სამჯერად ვარჯიშებს ვატარებთ. საამისოდ ფეხბურთელებს იდეალური პირობები აქვთ. იგრძნობა საქმისადმი პროფესიონალური დამოკიდებულება — „ტორპედო“ ხომ არა მარტო ინტერტოტოს გათამაშებისთვის, არამედ საგაისო ჩემპიონატისთვისაც სრულ მზადყოფნაში უნდა იყოს და თუ ასე გაგრძელდა, ვფიქრობ, შედეგიც არ დააყოვნებს. ჩემთან ერთად გუნდში ბევრი ახალწვეულია. მათი საქმე ფაქტობრივად გადაწყვეტილია. მეც დიდი სურვილი მაქვს, მათი ბედი გავიზიარო, მაგრამ თსუ-ს ხელმძღვანელობა ჩემს სანაცვლოდ რაღაც თანხას ითხოვს და სწორედ ამის დასადგენად ჩამოვედი ქუთაისიდან. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერავინ ვნახე...

თსუ-ს ერთ-ერთმა მწვრთნელმა ელგუჯა ხუციშვილმა გუნდისა და შალამბერიძის თაობაზე ეს გვითხრა:

— მზადება ჯერ არ დაგვიწყია. 12 ივნისისთვის ბატონ როინ მეტრეველის უცხოეთიდან ჩამობრძანებას ველით. გუნდს სხვადასხვა წარმოება-დაწესებულების სახით ახალი სპონსორები გამოუჩდნენ. სწორედ ამ საკითხის გასარკვევად და სამომავლო გეგმებზე სასაუბროდ შეკრიბებით ყველანი ბატონ როინთან ერთად და ამის შემდეგ ყველა საკითხზე ამომწურავად გაგცემთ პასუხს. მანამდე კი ვერც გუნდიდან თვითნებურად წასული შალამბერიძე და ვერც სხვა თსუ-ს ვერ დატოვებს.

ჯონი შალამბერიძეს ორწლიანი კონტრაქტი აქვს თსუ-სთან. ერთი წელი უკვე გავიდა. იმედია, სტუდენტთა ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს ფეხბურთელის სურვილს და საქმე მალე მოგვარდება. არადა, დრო მართლაც არ ითმენს...

ხვიჩა სანიკიძე

ლეგიონი ლევან კობიაშვილის მსურველთა რიგი იზრდება



ლევანი მოლოდინშია

კობიაშვილში 3 მილიონს იხდიან

დარჩება თუ არა კობიაშვილი „ფრაიბურგში“? ეს კითხვა ბუნდესლიგაში ხელახლა აღზევებული გუნდის მესვეურებს ახალი სეზონის წინ ყველაზე მეტად აღელვებთ. „ფრაიბურგის“ უძლიერესთა მარაქაში გარევა მნიშვნელოვანწილად ქართველი ლეგიონერების — ალექსანდრე იაშვილისა და ლევან კობიაშვილის დამსახურებაა.

უნიჭიერესი ქართველი ცაცია ფეხბურთელი (როგორც მას გერმანულ პრესაში მოიხსენებენ) ლევან კობიაშვილი იაშვილისგან განსხვავებით „ფრაიბურგს“ პირველი წრის დასრულების შემდეგ, იანვარში შეუერთდა. იგი გერმანელებმა თბილისის „დინამოსგან“ სეზონის ბოლომდე ითხოვეს. და ლევანი ჯერაც „დინამოს“ საკუთრებაა. „ფრაიბურგს“ კი მისი დატოვება განუზრახავს და ამისთვის ძალღონეს და ფინანსებს არ იშურებს.

მაგრამ კობიაშვილის გადაბირება სულ უფრო მეტ ევროპულ კლუბს სურს. გერმანული ყოველკვირეული „კიკერის“ ცნობით, ერთ-ერთი მათგანი ლევანის სანაცვლოდ 3 მილიონი მარკის გადახდასაა ყაბულს.

კობიაშვილის მსურველ გუნდთაგან ერთ-ერთი დორტმუნდის „ბორუსია“, რომელიც შარშანვე აპირებდა მის შეძენას და 2 მილიონ დოლარსაც იხდიდა, მაგრამ მაშინ ეს ტრანსფერი გარკვეული მიზეზების გამო ჩაშალა.

სავსებით შესაძლებელია, ფრაიბურგელებმა კობიაშვილი კიდევ ერთი წლით ითხოვონ. ისინი უეჭველად შეეცდებიან გერმანიაში მყოფ მერაბ ჟორდანიას დაყოლიებას.

გერმანული პრესის ცნობით, კობისთვის იტალიური კლუბების მენეჯერებსაც დაუდგამთ თვალი, თუმცა საქმე ჯერ ამაზე წინ არ წასულა.

ვანო თძროპირიძე

(არა)ჩვეულებრივი

დინამო საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირს თვალი ბრიტანეთისკენ გაურბის

ქართველ თავდამსხმელთა შორის ისეთებიც ყოფილან, რომელთაც სრულიად განსხვავებულ ამპლუაში დაუწყიათ თამაში და მერე ფუნქციაშეცვლილებს ქართველი მაყურებლისთვის თავი დუმახსოვრებიათ. ახლანდელი მეგოლეები — შოთა არველაძისა და პაატა მაჭუტაძის მაგალითებიც კმარა, რათა კაცმა ფეხბურთში ამ მხრივ არსებული გარკვეული კანონზომიერება იწამო. დიახ, ასეც ხდება, მაგრამ ძირითადად სჭარბობენ ფეხბურთელები, რომელთაც „პროფესია“ არ შეუცვლიათ და ბავშვობიდან ერთსა და იმავე ამპლუაში უწევდათ თამაში. ლევან ხომერიკიც ასეთი, „ჩვეულებრივი“ ფეხბურთელია. იგი თავდამსხმელი იყო, არის და ძნელი წარმოსადგენია, ოდესმე მისი სახით ნახევარმცველი ან მცველი ვიხილოთ. „რაც თავი მახსოვს და ფეხბურთს ვთამაშობ, მამაჩემის ხმა ჩემესმის ყურში — გოლი, გოლი უნდა გაიტანო“. ლევანსაც გაჰქონდა ხან ბათუმში, ხანაც თბილისში და ბოლოს, ოცდაოთხი წლისა, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ლაურეატი და 23 გოლით უპირველესი ბომბარდირიც გახდა. ამ სიტყვებს ვწერ და თვალწინ ისინი მიდგანან, ცალყბად რომ ილიმებიან, ეროვნულის ბომბარდირობა დიდი ვერაფერი ბედენაო. კი, ბატონო, ჩვენი ჩემპიონატი ბევრად ჩამორჩება სერია A-ს და ბუნდესლიგას, მაგრამ თუკი „სამშობლოს კვამლიც ტკბილია“, არც ჩვენი ჩემპიონატის სნაიპერობა უნდა იყოს ხელწამოსაკრავი საქმე.

წელან კანონზომიერება ვახსენეთ და ლევანის შემხედვარეს მეორე, პირწმინდად ჩვენეული კანონზომიერებაც მახსენდება: ათა-ბაბადან მოყოლებული, საქართველოს გუნდები თბილისის „დინამოს“ დონორობას უწევდნენ. ამაში ერთი შეხედვით საგანგაშო არაფერია — ქვეყნის პირველი გუნდი დიახაც რომ ღირსია მსგავსი პატივისა, თავსატეხად ის გვაქვს, რომ დონორი გუნდების ლიდერები ვეღარ იხსნებოდნენ ბოლომდე „დინამოში“ და ძალიან ხშირად სათადარიგოთა სკამზე უხდებოდათ ჯდომა. „ბათუმის“ ლიდერ ხომერიკსაც ასე დაემართა. „თბილისის „დინამო“ ნებისმიერი ქართველი ფეხბურთელის ოცნებაა, ეს უდიდესი სკოლაა და ვთვლი, რომ ყველა იმ მოთამაშემ, ვისაც კი რაიმე ამბიცია გააჩნია, ეს სკოლა უნდა გაიაროს“ — ხომერიკი ახალს არაფერს ამბობს — „დინამოში“ თამაში ქართველ ფეხბურთელთა ყველა თაობისათვის პატივია. ამიტომაც იყო, ყიფიანის პირველ დაძახილზევე რომ მიაშურა ლევან ხომერიკმა დიღმის ბაზას. მიაშურა იმედითა და სიამაყით ანთებულმა — ის ხომ „დინამოს“ ფეხბურთელი ხდებოდა. თუმცა ლევანი რომ ბჭობდა, თურმე ფორტუნა იცინოდა — იგი სათადარიგოთა სკამზე დამკვიდრდა.

„დავით ყიფიანი უდიდესი ქართველი ფეხბურთელი იყო. ის ბავშვობიდანვე ჩემი იდეალია, მაგრამ ერთია ფეხბურთელობა და მეორე მწვრთნელობა. მასთან, როგორც გუნდის თავკაცთან, ხშირად მჭონდა უკმაყოფილო საუბარი, რადგან ძალიან ცოტას მთამაშებდა.“ მართალია, ლევან ხომერიკს ტრავმებმაც შეუშალეს ხელი, მაგრამ „ბათუმის“ ლიდერი ისე გახდა თბილისის „დინამოს“ შტატიანი რეზერვისტი, ხეირიანად არც კი გაუგორებია ბურთი. ამ შემთხვევაში, ის ნიუანსი ჩაერია უცილოდ, რომ ახალწვეულნი ათი თავით მაღლა უნდა იდგე სხვებზე, ძირითადში რომ დამკვიდრდე. ამგვარი უპირატესობა კი, როცა სათამაშო პრაქტიკა

ბადრი ძმელაძის ფოტო

გოოოლ! ასე გახარებული ლევან ხომერიკი წელს ოცდასამჯერ ვნახეთ

ჩრდილო ირლანდიაში გატანილი გოლი. ბოლო ათი წუთი ვითამაშე სულ და ბურთთან პირველივე შეხება გოლით დავასრულე. არც ის გოლი დამავიწყდება და არც ის მატჩი.“

ხომერიკი ამჟამინდელ „დინამოში“ ძირითადი ცენტრფორვარდია. თუმცა თანამედროვე ფეხბურთში ასე მკაცრად უკვე აღარავინ ანაწილებს ფუნქციებს. „თავდამსხმელი რომ გქვია, ეს იმას არ ნიშნავს, მხოლოდ საჯარიმოს ცენტრში იდგე და მომენტს ელოდე. დღეს მანევრირება აუცილებელია. მარტო ფლანგები არა მაქვს მხედველობაში. თუ საჭირო გახდა, ნახევარდაცვასაც უნდა შეეშველო და დაცვასაც.“

ლევან ხომერიკის თამაშის მანერა არ არის ბობოქარი. იგი უფრო დადარაჯებულია კარის სიახლოვეს, მომენტი ჩაუვარდება და როგორც წესი, გაიტანს. „ჩემს უპირატესობადაც ეს მიმაჩნია, შეიძლება მთელი მატჩის განმავლობაში არაფერი ვაკეთო, მაგრამ გოლი გავიტანო.“ ამას საგოლე ალღო ჰქვია, ასე რომ ფასობდა და ფასობს. თამაშის მანერას რაც შეეხება, ხომერიკი, თავისი ფიზიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მთელი შეხვედრის განმავლობაში ვერ ირბენს. მისი ახოვანი აღნაგობა ნურავის მოატყუებს. „მე, როგორც წესი, ძნელად აღვიდგენ ხოლმე დაკარგულ ენერგიას და ამიტომაც ხშირად თან მდევს გადაღლილობა.“ ჩვენი დროის სპორტში დატვირთვეთში თამაშს ვისურვებდი. გახსოვთ, ალბათ, რამდენიმე საკონტროლო თამაში ჩავატარეთ იქ. იმათი სტილიც მომწონს და ქვეყანაც.“

პარტნიორებს რაც შეეხებათ, ამ მხრივ ხომერიკი ბედს ვერ დაემდურება: უჯმაჯურიძე, მაჭუტაძე, იაშვილი, დემეტრაძე, აშვეთია — ამ ბიჭებმა უკვე თქვეს თავიანთი სათქმელი ქართულ ფეხბურთში. „ამთვან მაინც აშვეთიას გამოვყოფ. ახალგაზრდაა, თან უდიდესი პოტენცია გააჩნია. მისეულ ალღოს კი ბარე ორი ვერ დაიკვეხნის. სხვებს რაც შეეხებათ — სკილეტას გამოვყოფდი. ყოველთვის შევნატროდი იმგვარ ფეხბურთელებს, მოედანზე ბოლომდე რომ იბრძვიან და ამ მებრძოლი სულის გამოვლინებაც ძალუძთ.“ სკილეტა იმიტომაცაა სკილეტა, რომ მისთვის არ არსებობს სათამაშო მოედანი, მისთვის სტადიონი უფრო სპრძოლო არენაა, თან მანერაც ასეთი აქვს, მკაცრი, ჯარიმის ზღვრამდე მისული. ლევან ხომერიკს კი ვერავინ მოსთხოვს მსავს თამაშს. იმის საქმე გოლების გატანაა და მასაც გააქვს. გააქვს ისე, რომ პროგრესი აშკარაა. შარშანდელი უწინდელს სჯობდა, შარშანდელს — წლევანდელი და...

ვინ იცის, ბედი რას უმზადებს „დინამოს“ ბომბარდირს. ჩვენ ერთი რამ გვჯერა — წლევანდელი წარმატებული სეზონი არ არის ლევან ხომერიკის „უკანასკნელი ტანგო“.

კონსტანტინე გოგიშვილი

აია «აია»?

პატრონ-მყვარეებელი არავინ გყავთ?

ქართველ და რუს მორაგბეთა ომის გმირი მალხაზ ურჯუკაშვილი კვალავაც ჩვეულად ზუსტია

აია 12:34 გუმარი

აია: 2ლ. გაბრიჩიძე, ცნობილაძე, გ. ახალაძე

გუმარი: 6ლ. ბუგიანიშვილი (2), გიორგაძე, ჯაველიძე, მათიაშვილი, ურჯუკაშვილი. 2გ. ურჯუკაშვილი

ოთხ მატჩში ოთხი წაგება — ასეთი რამ ქუთაისს არ ახსოვს. არადა, დრო იყო, „აია“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახლდათ. ახლა კი... პირველობას ვინ ჩივის, გუნდი დაშლის პირასაა და საშველიც არ ჩანს. დასუსტებული „აია“ ჩემპიონატში ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა. მასპინძლები იმით თუ ინუგეშებენ თავს, რომ ორი ლელოს გატანა მოახერხეს. ერთი გასაკვირი ამბავიც. თამაშს „აიას“ ხელმძღვანელობიდან არავინ დასწრებია. ეტყობა, ამათ საბოლოოდ ჩაიქნიეს ხელი, თორემ ყველა თუ არა, ერთი მაინც მოიცლიდა შეხვედრაზე მისასვლელად. ჩვენ ნიადაგ იმაზე ვდარდობთ, იქნებ ქალაქის ხელმძღვანელობამ როგორმე კლუბის შესანახად თანხა გამონახოსო და აქ კი რა ხდება? გუნდის უფროსობა რომ არ ესწრება თამაშს, სხვას რა უნდა მოსთხოვო. საბრალო „აია“.

ამ მატჩამდე კიდევ სამი მატჩი გაიმართა, რომელთაგან ცენტრალური ჩემპიონატის ლიდერების — „ყოჩებისა“ და ასკს პაექრობა იყო. აქამდე ორივე გუნდს 100-პროცენტიანი შედეგი ჰქონდა: არმიელებმა ოთხიდან ოთხივე მატჩი მოიგეს, ჩემპიონებმა კი სამიდან სამი. სხვა გზა არ იყო — რომელიმეს უნდა შეეწყვიტა გამარჯვებათა სერია და ამჯერად არმიელებმა დათმეს. ეს გასაკვირი არც არის, დღესდღეობით „ყოჩებს“ ბადალი არ ჰყავთ და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ზედიზედ მეორედაც გახდებიან ჩემპიონები. რაც შეეხება თავად მატჩს, ბრძოლა მხოლოდ საწყის თხუთმეტ წუთში მიმდინარეობდა, ამის შემდეგ უპირატესობას „ყოჩები“ დაეუფლნენ და აღარც გაუშვიათ ხელიდან — 38:15.

ასევე 100%-იანი მაჩვენებელი ჰქონდათ „დინამოს“ და თსუ-ს, ოღონდ — უარყოფითი. ამ ორი გუნდის ორთაბრძოლა სტუდენტთა გამარჯვებით დასრულდა — 16:11, რამაც მათ სატურნირო ცხრილში ორი საფეხურით ანაცვლების საშუალება მისცა. „ექსპრესისა“ და ბათუმელი „დათვების“ შეხვედრაში კი, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისელებმა 34:16 იმარჯვეს.

პაატა თოთაძე

ყოჩები	4	4	0	0	210:44	35:7	8
ასკ	5	4	0	1	148:60	24:8	8
გუმარი	3	3	0	0	123:19	20:3	6
ექსპრესი	4	3	0	1	125:38	23:3	6
დათვები	5	2	0	3	105:74	12:10	4
თსუ	5	1	0	4	32:216	2:32	2
დინამო	4	0	0	4	30:188	4:31	0
აია	4	0	0	4	21:155	2:26	0

მომდევნო ტური

15 ივნისი: თსუ — გუმარი, ყოჩები — აია;

16 ივნისი: დინამო — დათვები, ასკ — ექსპრესი.

ბავშვები, კაცები, ქალები...

ჭადრაკის სასახლის აშბეები

10 ივნისიდან თბილისის ჭადრაკის სასახლეში ჩვეული, ქრესტომათიული სიჩუმე გამეფდა. მანამდე კი, თითქმის ერთი თვე, ყველაზე მდუმარე სპორტსმენთა სახლი კრაზანების ბუდეს უფრო წააგავდა...

შესავალში თქმულს ძალიან ნუ გაიკვირვებთ, უცნაური არაფერი მომხდარა: მაისის მიწურულს და ივნისის დამდეგს ჭადრაკის სასახლე ძირითადად 10 წლამდე მოჭადრაკეებს დაეთმოთ. ზედიზედ მოეწყო შოთა ინწკირველისა და ვახტანგ ქარსელაძის მემორიალები, ქვეყნის პირველობა ხსენებული ასაკის ბიჭებსა და გოგონებს შორის. იმხანად ჭადრაკის სასახლე სავსე იყო დედაქალაქელი და პროვინციელი ჰალსტუხიან-ბაფთიანი ვუნდერკინდებით, რომლებიც ჭადრაკთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობდნენ ისეთ მნიშვნელოვან საქმეებს, როგორებიცაა: წინ და უკან განუწყვეტელი სირბილი, დედიკოებთან წუწუნი და, რაც მთავარია, ულევი „ჩუპა ჩუპსითა“ და ნაყინით ყელის ჩაკოკლოზინება. გარდა ამისა, მშობლებსა და მსაჯებს შორის დაფიქსირდა ორიოდე სრულიად არასაჭადრაკო კონფლიქტი თემაზე: „აქვს თუ არა მშობელს უფლება შევიდეს ოთახში, სადაც პარტიები თამაშდება და უფლებამოსილია თუ არა მწვრთნელი, თავის შეგირდს კარგი სვლა უკარნახოს (?!)“. მოკლედ, ცხოვრება დუღდა...

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ პატარებს ჭადრაკის სასახლის სრული ოკუპაცია არ მოუხდენიათ და ხანდახან უფროსებსაც აძლევდნენ თამაშის საშუალებას. მაისის ბოლოს შედგა რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების გუნდური ჩემპიონატი და, მოლოდინისამებრ, პირველობისთვის სახელმწიფო და ტექნიკური უნივერსიტეტების სტუდენტებმა იბრძოლეს. ბოლოს ორივე გუნდს თანაბარი ქულები დაუგროვდა და მხოლოდ ურთიერთშეხვედრაში მოპოვებულმა გამარჯვებამ არგუნა ტექნიკოსებს პირველი ადგილი. სამწუხაროდ, ვერ ვიხილეთ იმ შეჯიბრების გაგრძელება, რომელიც ყველაზე საინტერესოდ გვეჩვენებოდა. ჭადრაკის ფედერაციის გადაწყვეტილებით, საქართველოს ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი ნახევარფინალურ ეტაპზე შეწყდა და სტურუა, სუპატაშვილი და ჯანჯღავა გამარჯვებულებად გამოცხადდნენ. ჩემპიონატის შეწყვეტის ძირითადი მოტივაცია: ჩემპიონატმა თავისი უმთავრესი ფუნქცია უკვე შეასრულა, გამოავლინა ვაჟთა ეროვნული ნაკრების წევრები და ზონალური ტურნირის მონაწილენი, ამიტომაც მის გაგრძელებას პრინციპში აზრი დაეკარგა, რადგან ტურნირში გამარჯვებული მაინც არ იქნება საქართველოს ჩემპიონი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რამდენადაც ჩემპიონატში არ უთამაშია ქვეყნის უძლიერეს მოჭადრაკეს ზურაბ აზმაიპარაშვილს. თავს უფლებას მივცემ, ამ მოსაზრებას სავსებით დავეთანხმო და ფედერაციის გადაწყვეტილება მართებულად მივიჩნიო.

ბოლოს კი ის, რაც ახალი, ასე რომ, უფრო მნიშვნელოვანია. გუშინწინ ჭადრაკის სასახლეში დაიწყო საქართველოს ქალთა ოლიმპიური ნაკრების მეოთხე წევრის პირველი შესარჩევი მატჩი ნინო ხურციძესა და მაია ლომინეიშვილს შორის. მეტოქეებს სულ ცოტა ოთხი პატიის თამაში მოუწევთ და ორი უკვე შედგა. პირველი პარტია სარეკორდოდ სწრაფად დასრულდა. შავებით მოთამაშე ლომინეიშვილი დებიუტისა და მიტელშპილის ზღვარზე უხეშად შეცდა და 22-ე სვლაზე დანებდა. გუშინდელ მეორე პარტიას მეტოქეებმა ბევრად მეტი დრო მოანდომეს, 5-საათიანი ბრძოლის შემდეგ ამჯერად ხურციძეს მოუხდა კაპიტულაციის გამოცხადება და ანგარიში გათანაბრდა — 1:1. მესამე პარტია დღეს შედგება.

დავით გულუა

კეტბურთელები დაწინაურებას აპირებენ

შემთხვევით ან განზრახ იპოდრომზე შევლილნი ნუ გაიკვირვებთ, ცხენოსნებთან ერთად კეტბურთის მოთამაშეებსაც თუ იხილავთ. ჩვენი კეტბურთელები საერთაშორისო ტურნირებისთვის ემზადებიან და უბინაონი (რა მოედანი, რის მოედანი!) სხვაგან სად წავიდოდნენ. ძნელი შესატყობი არ იყო, რომ მოვარჯიშეთა ნაწილი უფრო ყმაწვილური გახლდათ და პირველებს მათ, უფრო სწორად, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და კლუბ „მერანის“ მთავარ მწვრთნელს ZIA ბრილაძეს მივადექი.

— ვიცი, რომ საერთაშორისო ტურნირებისთვის ემზადებით. ამნაირ შეჯიბრებებში გამოცლილხართ თუ ყამირის გატეხვა გიწევთ?

— ყამირზე ბოდიში: შარშან ახალგაზრდული ნაკრები ამერიკაში იყო შეკრებაზე. ვეთამაშეთ კიდეც იქაურებს, სამი მოვიგეთ, სამიც წავაგეთ. მერე ბრიტანეთში გადავინაცვლეთ, იქაც ვითამაშეთ, განსაკუთრებით ბირმინგემში მოგება დაგვამახსოვრდა. წელს კი, თანაც ძალიან მალე, „მერანი“ ევროპული თასების თასისთვის იბრძოლებს — უნგრეთში მასპინძლების, პოლონეთის, ავსტრიის, სლოვენიის, სლოვაკეთის კლუბებს შეეხვდებით.

— წარმატების იმედი ვიქონიოთ?

— კეტბურთი ისეთი თამაშია, სავსებით შესაძლოა, სუსტმა ძლიერს აჯობოს, ასე რომ, უიმედონი სულაც არ გახლავართ. ბიჭებს ბავშვობიდან აქვთ კეტბურთი შესისხლხორცებული და ამიტომაც მაქვს იმის იმედი, რომ თასის გათამაშების შემდგომ ეტაპზე გავალთ.

— მეტოქეებზე რა იცით?

— სამწუხაროდ, ბევრი არაფერი. ისე, ჩემი თქმა რად გინდათ, ევროპაში კეტბურთი, მეტი რომ არ ვთქვათ, ნაკლებად განვითარებულია, ფულიც, თავისთავად, ცოტა ტრიალებს ამ სახეობაში და უმრავლესობა ფონს ენთუზიაზმით გადის. ასე რომ, არა მგონია, სხვებს ბევრით ჩამოვრჩებოდეთ. ყველაზე ძლიერი გუნდი ალბათ მაინც პოლონელებს ეყოლებათ.

ახალგაზრდულის მწვრთნელმა მომბოდიშა, გამცილდა თუ არა, ოცდაათამდე ჭაბუკი შემოეხვია და წვრთნა გაგრძელდა. ამასობაში უფროსთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ნუგზარ ქაპანაძემ** მოიცალა.

— შარშან ევროპის პირველობის B ჯგუფში საქართველოს ნაკრებმა მეხუთე ადგილი დაიკავა. კმაყოფილები ვიყოთ ამ შედეგით თუ...

— ეჰ, მაშინ ძალიან არ გაგვიმართლა, არაერთი მოსაგები თამაში დავთმეთ. ეს უიღბლობა რომ არა, წელს ევროპულ A ჯგუფში ვიქნებოდით. ცოტაოდენი ხელშეწყობაც რომ გვქონდეს, არ გაიკვირვოთ და, თამამად გეტყოდით — საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონი თუ არა, პრიზიორი მაინც აუცილებლად იქნებოდა.

— წელს რას ველოდოთ?

— ყველანაირად ვეცდებით, A ჯგუფში გადავიდეთ, ბიჭებიც ძალიან მოწადინებულნი არიან. თან ოლიმპიადაც ახლოვდება და ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვებაც გვსურს. ევროპელებს სიდნეისთვის სამი ადგილი აქვთ გამოყოფილი. მათ A ჯგუფის სამი საუკეთესო მიიღებს. ცდას როგორ დავაკლებთ და, თუ ცოტაც გაგვიმართლა, წელსვე აგვისტოს, ვენაში გასამართ B ჯგუფის ტურნირში გამარჯვებას ვეცდებით, მერე კი ვნახოთ...

— ნაკრებზე, მის წევრებზე რას გვეტყვით?

— ნაკრების ბირთვი კლუბი „ივერიაა“. რუსეთიდან ოთ-ხუთ ლეგიონერს ველით. ადრე იქ ათი-თხუთმეტი ლეგიონერი გვყავდა, მაგრამ არც რუსი კეტბურთელები არიან ფინანსურად დალხენილნი და ბევრი გუნდი სულაც დაშალეთ. ძალიან დიდი იმედი მაქვს ნიკა ბეჟუაშვილის, ლექსო ვაშაკიძის და არა მარტო ამათი, რომელთაც გადამწყვეტ მომენტში თამაშის შემოტრიალება შეუძლიათ.

— ნაკრებს შეკრება თუ მოუხერხდა?

— რა შეკრება, რის შეკრება... ევროპის პირველობაზეც კი ყველას საკუთარი ფულით უწევს წასვლა, ნაკრების ფორმაც ამერიკელმა სპონსორებმა შეგვიკერეს. მთელი ჩვენი შეკრება ის იყო, რომ ზამთარში, როცა ლეგიონერები შინ დაბრუნდნენ, ერთად ვივარჯიშეთ...

ღვთის მადლით, ქართული კეტბურთის გვირაბის ბოლოს სინათლესავით გამოჩენილა, ასე რომ, მწვრთნელთან საუბარი ამ ჩვენს დუხჭირ ყოფაზე წუწუნით აღარ დასრულებულა: ბატონმა ნუგზარმა საიდუმლოდ გამანდო, რომ რამდენიმეწლიანი ლოდინის მერე, როგორც იქნა, გამოჩენილა საქვეყნოდ ცნობილი კომპანია, რომელიც ქართულ კეტბურთს დააფინანსებს. ამ ფირმის დასახელებისგან დაიმედებულმა მწვრთნელმა ჯერჯერობით თავი შეიკავა.

არჩილ მელიქიშვილი

ფინალი

იუტელებს ჯაზისთვის აღარ სცხელათ

მათ ახლა რექვიემი ჩაესმით

10 ივნისი

ჩიკაგო 3 იუტა 1

ჩიკაგო 86:82 იუტა

ჩიკაგო: ჰარპერი (6), ჯორდანი (34), პიპენი (28), კუკოჩი (8), ლონგლი (2); როდმანი (6), ბარელი (2), კერი, ბიუჰლერი

იუტა: სტოკტონი (7), ჰორნაჩეკი (8), რასელი (10), მელოუნი (21), კიფი (6); მორისი (9), ეისლი (8), ანდერსონი (7), ფოსტერი (4), კარი (2), ოსტერტაკი

„იუტა ჯაზი“, მელოუნ-სტოქტონის დუეტის გუნდი, ზედიზედ მეორედ გავიდა NBA-ს ფინალში, მაგრამ ჩიკაგოსთან პაექრობაში რა ხეირიც დაადგა, ყველამ მშვენივრად დაინახა. მასპინძლობისას შემთხვევით მოგებული მატჩი და შინ და გარეთ ზედიზედ სამი დამარცხება, ამათგან ერთი კი ისტორიული შერცხვენა, იმაზე მეტყველებს, რომ დღესდღეობით იუტა არ არის ჩიკაგოს მძლეველი რაზმი. არადა, ამ გუნდმა რეგულარულ ჩემპიონატში ყველა დაჯაბნა, მათ შორის ჩიკაგოც, თანაც ისე, რომ მაინცდამაინც დიდი ჯაფა არ დასდგომია. რეგულარულ ჩემპიონატში ჩიკაგოსთან ნათამაშევ ორივე შეხვედრაში იუტას ლიდერი კარლ მელოუნი საუკეთესო იყო — 30 ქულაზე მეტი გაუხერხა თავისიანებს, მაგრამ რეგულარული ჩემპიონატი სხვაა, NBA-ს ფინალური სერია კი სულ სხვა. აქ მელოუნი თავისივე ლანდს ჰგავს. ძნელი სათქმელია, ეს მისი მეურვე „ცუდი ბიჭი“ დენის როდმანის კარგი თამაშითაა გამოწვეული, თუ იმით, რომ, რაც უნდა იყოს, მის მეტოქე გუნდში ჰაერს შეზრდილი მაიკლ ჯორდანი თამაშობს. როდმანი ამ მატჩშიც მშვენივრად ეთამაშა მელოუნის. მართალია, ამ უკანასკნელმა 21 ქულა ჩააგდო, მაგრამ როდმანმა 14 ბურთი მოხსნა ფარიდან, ბევრით აჯობა მასზე საკმაოდ ღონიერ მელოუნს, რამაც ჩიკაგოს თავჭრელ თავდამსხმელს საბაბი მისცა, მატჩის შემდგომ დაეტრაბახა, მელოუნზე სწრაფი და მაგარი ვარო. როდმანს მისმა მწვრთნელმა ფილ ჯეკსონმაც აუბა მხარი.



იუტელები სკოტი პიპენმაც გვარიანად გაამწარა



კარლ მელოუნი ღმერთის იმედზეაა

თამაში „ჩიკაგო ბულზის“ სრული უპირატესობით წარიმართა და მასპინძლები მხოლოდ ოთხი ქულის სხვაობით მოგებას ძალების შემონახვის მიზნით თუ დასჯერდნენ. კვლავ შეუდარებელი იყო მაიკლ ჯორდანი. თავის ამოცანას სკოტი პიპენმაც იოლად გაართვა თავი. უმთავრესად სწორედ ამათი დამსახურებაა, რომ მასპინძლებს მატჩის სადავეები ხელიდან არ გაუშვიათ და არცთუ დიდ სხვაობას ყოველთვის ინარჩუნებდნენ. იუტამ მხოლოდ მესამე მეოფხედში გაიფაფხურა, მაშინ როდესაც ფილ ჯეკსონმა მთავარი ხარები ცოტა ხნით დაასვენა. სტუმრებმა ამით ისარგებლეს, ერთი მონაკვეთი 9:1 მოიგეს და 70:69 დაწინაურდნენ, მაგრამ სულ ეს იყო, რაც მათ იმ დღეს შეძლეს. ჯორდანი და პიპენი მოედანზე დაბრუნდნენ და მატჩიც ძველი სცენარით გაგრძელდა. იუტამ კვლავ დათმო შეხვედრა და წინ კიდევ ერთი მატჩი ელის ჩიკაგოში. იუტაში ყველას ყურები ჩამოუყრია და ჯაზის წევრებსაც ხელი აქვთ ჩაჭიანული — თავს ზევით ძალა არაა, ეგენი ჩვენზე ძლიერები ყოფილანო, უთქვამთ. მათი დაღონების მიზეზი ისა, რომ NBA-ს ისტორიაში ჯერ არ მომხდარა, გუნდი ფინალურ სერიას 1:3 აგებდეს და ჩემპიონი გამხდარიყოს.

მეხუთე მატჩი დღეს გაიმართება ჩიკაგოში. იუტამ თუ მოგება შეძლო, რაც ნაკლებ სავარაუდოა, მომდევნო შეხვედრებს იგი უმასპინძლებს სოლტ ლეიკ სიტიში.

ირაკლი ფირაშვილი

ერთ კაცს ზედიზედ ორ მატჩში თერთმეტმეტრიანის დარტყმა იშვიათად უნდება. არადა, რობერტო ბაჯოს ზუსტად ასე მოუწია: 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მისი დარტყმული ბურთი კარს აცდა, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ მატჩში კი მიზანს მიაღწია. ამ ფოტოებზე თერთმეტმეტრიანი დარტყმის შემდგომი წამებია აღბეჭდილი...

მაიკლ ოუენის ცხადი თუ სიზმარი

მთელს ბრიტანეთში 563 მაიკლ ოუენი, 380 ტედი შერინგემი და 12 ჰოლ გუსქოინია. ასეთი სახის სტატისტიკაც, მიხვდებოდით, მსოფლიოს თასის დაწყებასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა.

თორმეტიდან ერთი, მაგრამ ყველაზე სახელგანთქმული ჰოლ გუსქოინი გლენ ჰოდლმა გუნდიდან დაითხოვა და ახლა გაზა მაიამიში ცოლთან ერთად ნებივრობს, თან, როგორც იტუობინებიან, დღეში ორ ბოთლ შამპანურს (თითო 320 დოლარი) ცლის. 380-დან ერთმა ტედი შერინგემმა პორტუგალიაში ლოთობით კინაღამ გაზას ბედი გაიზიარა, მაგრამ ჭრესამ ისეთი ამბავი დაატეხა, კინაღამ აღარ ეთქმის. ამ დროს კი 563-დან ერთი მაიკლ ოუენი შინ იჯდა დედ-მამასთან და ოთხ დედმამიშვილთან ერთად და ფორთოხლის წვენს შეექცეოდა. ალბათ ამიტომაც ის ახლა ინგლისელთა უპირველეს იმედად იქცა.

„ლივერპულის“ თავდამსხმელი უკვე შევიდა ინგლისის ნაკრების ისტორიაში, როცა 18 წლისამ და 164 დღისამ მარაკოელებს ერთადერთი გოლი გაუტანა. ეს მისი მეოთხე სანაკრებო მატჩი იყო და, გგონიათ, ეს ჭირადად ოუენისთვის დიდი მიღწევაა? არა, ბატონო: მან ნამეტანი დაგვიანა ეროვნულ გუნდში პირველი გოლის შეგდება. თავად განსაჯეთ:

ქვეყნის სკოლების ნაკრებში ჩატარებულ პირველივე მატჩში, 1995 წლის 26 მაისს, მაიკლი გოლს უტანს. ომანის ნაკრებს; სამ თვეში 16-წლამდელთა გუნდშია და დებიუტს ფინეთთან 5 (!) გოლით აღნიშნავს; აბა, მაგას იქ რა უნდაო და, 20-წლამდელთა ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანეს — მოგება კოტ დივუართან 2:1 და, ცხადია, ჰიერელი ბურთი ოუენისაა; კიდევ 6 თვეში 21 წლამდელთა გუნდში დაწინაურეს და იქაც დებიუტი ბერმნებთან კარის აღებით მთავრდება; 1996 წლის 14 დეკემბერს ოუენი „ლივერპულთან “ კონტრაქტს დებს და ჭრემიერლიგის პირველივე შეხვედრაში „უიმბლდონთან“... ალბათ მიხვდით. ასეთივე შედეგიანია მისი დებიუტი ლიგის თასზე და უეფას თასის პირველივე მატჩში „ბელტიკთან“. თან, ჯეელობაში, მან რამის მიერ დამყარებული რეკორდი (72 გოლი ერთ სეზონში) გააბითურა, როცა 42 თამაშში მეტოქეთა მეკარეები 91-ჯერ გაამწარა. ასე რომ, მხოლოდ მეოთხე შეხვედრაში პირველი გოლის გატანა შეიძლება ხხვისთვის იეოს მიღწევა, მაგრამ არა მაიკლ ოუენისთვის.

და იცით, კიდევ რატომ აქვთ ინგლისელებს ამ ჰატარა ბიჭის იმედი? იმიტომ, რომ დღევანდლამდე მას 5 სანაკრებო მატჩი და 1 გოლი აქვს აქტივში. ზუსტად ასეთივე მაჩვენებელი ჰქონდა შორეული 1966-ის ზაფხულში ჯეფრი ჰერსტს, რომელიც დღემდე ერთადერთი ფეხბურთელია, ვისაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში შესრულებული ჰეთ-თრიქით შეუძლია იტრაბახოს.

და აი, გუშინ ჰოდლმა გუნდის საწვრთნელ ბაზაზე ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გაძართა, სადაც ისიც წამოსცდა, ტუნისის ნაკრებთან სასტარტო მატჩისთვის ოუენი იქნებ ძირითად შემადგენლობაში ვათამაშოო.

— მართალია, თამაშამდე ჯერ კიდევ დროა, მაგრამ დღესვე ვიცი იმ თერთმეტი ფეხბურთელის კვარი, რომლებიც ტუნისელებთან შეხვედრისას მოედანზე პირველივე წუთიდან იქნებიან. რაც შეეხება თავდასხმის ხაზს, შესაძლოა, გამოცდილი ტედი შერინგემის ნაცვლად სასტარტო შემადგენლობაში მაიკლ ოუენი დავაყენო. ეს ბიჭი ძალიან ნიჭიერია და თან არც შაი სამუშაოს შესრულებას თაკილობს. ჭრემიერლიგაში იგი მეტოქეებს მრავალ საზრუნავს უჩენდა და ვფიქრობ, ნაკრებში მოხვედრა საძარლიანად დაიმსახურა. ახლა კი სწორედ დროა, ყველამ ნახოს, რისი გაკეთება შეუძლია ოუენს მსოფლიოს ჩემპიონატზე — განაცხადა ჰოდლმა, რითაც დამსწრე აუდიტორიის გაოცება გამოიწვია. თავად ახალგაზრდა ლივერპულელი კი ალბათ ეურებს არ უჯერებდა. მას ხომ, სავარაუდოდ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრების პირველ მატჩში მოუწევს მინდორზე გასვლა. ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ ერთი წლის წინ საუმაწვილო ტურნირებზე ბურთაობდა. ახლა კი... არა, ასეთი რამ მართლაც რჩეულთა ხვედრია.

ზურაბ მეძველია ლონდონიდან

ეს ფოტო სან პაულუს ერთ-ერთ ბარში ბრაზილიისა და შოტლანდიის ნაკრებთა შეხვედრის დროსაა გადაღებული. კიდრე ფეხბურთელები ურთიერთობას არკვევდნენ, შორეულ ევზოტიკურ მხარეში სქოთები დროს უშმად არ კარგავდნენ...

ჩემპიონატი თაღლითებისთვისაც დაიწყო

სადაც კარგია, იქ ცუდიცაა, თუმცა ამ შემთხვევაში ცუდი არცთუ მნიშვლენოვანია. უბრალოდ, მსოფლიოს ჩემპიონატის გახურებამ თაღლითურად გამდიდრების შანსიც გააჩინა.

ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტი მკაცრად აფრთხილებდა ავისმქმნელებს, გასაქანს არ მოგცემთო, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, თაღლითებმა თავისი მაინც გაიტანეს. ორგკომიტეტის, კერძოდ კი მისი წარმომადგენლის მერილიზ ლებრენშუს თქმით, გახსნის მატჩისას „სენ დენის“ მახლობლად მსოფლიოს ჩემპიონატის 5 ათასამდე ყალბი სუვენირი აღმოაჩინეს.

— რაღა დაგიმალოთ და, გაგვაკვირვა ამდენი ყალბი ნივთის პოვნამ. ჩვენი სამსახურები გამალებული მუშაობენ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, აქ კი საიდან გაჩნდა ამდენი რამ, გაუგებარია — განაცხადა ლებრენშუმ. თურმე ნუ იტყვით, მავანი გამყიდველები უცხოელ გულშემატკივრებს საკმაოდ სარფიანად ასაღებდნენ სუვენირებს, მათ შორის საყვარელი ნაკრების მაისურებს და მსოფლიოს ჩემპიონატის სხვა ატრიბუტიკას. პოლიციელებმა 50 თაღლითი დააკავეს და უკლებლივ ყველა 1700 დოლარით დააჯარიმეს.

— გამოძიება დაიწყო. მალე ყველაფერი გაირკვევა და მთავარ ყალთაბანდებსაც მივაგნებთ.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, თაღლითები მარტო პარიზში არ მოქმედებდნენ. მაგალითად, მონპელიეში, სადაც მაროკო ნორვეგიას დაუპირისპირდა, არარეგისტრირებული საკვები პროდუქტები აღმოჩნდა.

— ყველანაირი საკვები, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელ ქალაქებში გაიყიდება, სამედიცინო შემოწმებას გადის და მხოლოდ ამის შემდეგ მიეწოდება მყიდველს. რანაირად შეაპარეს მონპელიელებს შეუმოწმებელი პროდუქტები, ჩემთვის გაუგებარია. დამნაშავენი პასუხს აგებენ — იგივე ლებრენშუ საკვების თაღლითებსაც დაემუქრა.

ყალბი ბილეთები — აი, ის, რისიც მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორებს ყველაზე მეტად ეშინოდათ. თუ იმავე ქალბატონს ვენდობით, ჩემპიონატის ორი დღის მანძილზე ყალბი ბილეთები არ აღმოუჩენიათ, თუმცა ის, რომ სტადიონების სიახლოვეს საეჭვო პირები, შესაძლოა, სწორედ ბილეთების გამყიდველები შენიშნეს, არ დაუმალავთ.

— გვსურს, საფრანგეთის სტუმრებმა, სამშობლოში რომ დაბრუნდებიან, აქ გატარებული დღეები სიხარულით გაიხსენონ. საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ, ბოროტმოქმედებს და ყალბისმქმნელებს ვერ შევეგუებით — მერილიზ ლებრენშუს სიტყვები კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ ფრანგები ყალთაბანდებს არ გაახარებენ.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში — კვირაში შვიდჯერ

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოვზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია პბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დეკვაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჯედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29